პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეთორმეტე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . 14 76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—56
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

განცხადების ფასი
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ., ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი"-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) 15 ნახევარ საათამდე. პროვინციაში—ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (საგაზეთო ბიუროებში). განცხადებები ტელეფონის საშუალებით არ მიიღება.

— წინასწარ ხელმოწერილია პოლონეთ საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტი.
— რუმინელმა ჯალათებმა [illegible] 5 კომკავშირელი.
— გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი ამხ. სტუჩკა.

ოთხშაბათი, 27 იანვარი 1932 წ. ყოველდღიური გაზეთი № 23 (3277) ფასი 5 კაპ.

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საქ. კ. პ. (ბ) ცკას 31 ოქტომბრის დადგენილება

ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენება საქ. კომპარტიის (ბ) მეორე ყრილობაზე *)

იდეოლოგიური ფრონტი საქართველოში

კლასობრივი ბრძოლა მწვავდება იდეოლოგიურ ფრონტზედაც.

ლენინიზმის წინააღმდეგ კლასობრივი მტრის ნიღაბაფარებული გამოსვლის ერთ-ერთ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ფარული ტროცკისტის სლუცკის ცდა, რომ ჩირქი მოეცხო ლენინის ბოლშევიზმისათვის.

ამხ. სტალინის ისტორიული წერილი „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ", რომელიც ნიღაბს ხდის თვალთმაქცურ კონტრ-რევოლიუციონურ ტროცკიზმს, წარმოადგენს ბოლშევიკური სიფხიზლისა და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყოველგვარ დამახინჯებათადმი შეურიგებლობის საუკეთესო ნიმუშს.

ოპორტუნიზმი ცდილობს „გაძვრეს ამჟამად ჩვენს რიგებში მალვით, მიტმასნებით, შეფარდებით, მუცელზე ხოხვით, ცდილობს შეიპრას ჭუჭრუტანებში, განსაკუთრებით კი გაძვრეს ის ჩვენი პარტიის ისტორიის ჭიშკრიდან" (კაგანოვიჩი).

ჩვენ ამხანაგებო, რამდენიმედ უფრო და წვრილებით უნდა შევჩერდეთ ტროცკიზმის საკითხებზე. საქართველოში. თქვენ იცით, რომ წარსულში ჩვენში გადატანილი იქნა ხენი—უკლონიზმი. უკლონისტების საგრძნობი რაოდენობა ავსებდა ტროცკისტების რიგებს.

პარტია გაუსწორდა ერთსა და მეორეებსაც, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებულ სიფხიზლესა და სიფრთხილეს უნდა ვიჩენდეთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარტიაში დაბრუნებულ თვითეულ ტროცკისტს ჩვენ ამჟამადაც ტროცკისტად უნდა ვთვლიდეთ: ვინც, ბოლომდე პატიოსნად აღიარა თავისი შეცდომები და თავისი მუშაობით ეს ნამდვილად დაამტკიცა, იგი არ არის ღირსი ჩვენი უნდობლობის. მაგრამ, ვიმეორებ, მხოლოდ ის, ვინც საქმით დაამტკიცა პარტიისადმი თავისი ერთგულება. ისეთებისადმი კი, ვინც ჯერ კიდევ განაგრძობს მერყეობას ვინც სავსებით პატიოსნად არ მოსულა ჩვენთან, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური სიფხიზლე, არ უნდა ავყვეთ ნათესაურ, მეგობრულსა, და სხვაგვარ გრძნობებს.

პარტიულისათვის არასაკმაო სიფხიზლის მაგალითები მოყვანილი იქნა თბილისის აქტივის კრებაზე და კონფერენციაზედაც.

მაგალითად ამხ. გაიოზ **დევდარიანი**—საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ყოფილი მდივანი.

მისი ძმა გოგი **დევდარიანი**, რომელიც ამჟამად სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში ზის, შემდეგს ჩვენებას იძლევა:

...„კოტე ცინცაძესთან ბახჩისარაიში ყოფნის დროს ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორი უნდა მოვქცეულიყავი ფულის შესახებ, მან სთქვა, რომ „საჭიროა შეიქმნა ექნის საშუალებით"... მე დავეთანხმე" ექნის მოწყობას, მაგრამ შემდეგ უარი განვაცხადე და სიტყვიერად განვუცხადე ამის შესახებ გაიოზ დევდარიანს, როცა იგი იყო ყაზბეგში".

იგივე გაუმეორა გოგი დევდარიანმა პირადათ გაიოზ დევდარიანს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში ამხ. ლორთქიფანიძისა და სხვების თანდასწრებით. ამხ. ლორთქიფანიძის მიერ გაიოზ დევდარიანისათვის მიცემულ შეკითხვაზე: „რატომ შენ არავის განუცხადე ამის შესახებ"-ო—გაიოზ დევდარიანმა უპასუხა: „მე დამავიწყდა"-ო.

მე დავკმაყოფილდები მოყვანილი ამონაწერით ჩვენებებიდან, თუმცა შეიძლებოდა სხვა, არა ნაკლებ მკაფიო ადგილების მოყვანაც. ის ფაქტი, რომ პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი (გაიოზ დევდარიანი მაშინ ითვლებოდა დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსად) თუნდაც ძმის განცხადებაზე „მე ტროცკისტი ვარ, მე დამავალეს ექნის მოწყობა"—არავითარ ზომებს არ ღებულობს, ეს მოასწავებს, მეტი რომ არა ვთქვათ, სიფხიზლის მეტისმეტად მოდუნებას.

იგივე გოგი **დევდარიანი**, რომელიც წარმოადგენს ტროცკისტს, ნახევრად ბანდიტს, გამფლანგველს, რომელიც სახელმწიფო თანხებიდან ფინანსების მიწოდებით ეწეოდა ტროცკისტულ მუშაობას, ინტიმურ თავშესაფარს პოულობდა ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკებთან ძველი შემადგენლობიდან, იმ მუშაკებიდან, რომლებიც აძლევდნენ მას რჩევას, რომლებიც აღუთქვამდნენ მას „საბრძოლო პოსტებს" მომავალში და სხვ:

რატომ ხდებოდა ეს? ეს იმიტომ ხდებოდა, რომ არ გააჩნდათ ამ ამხანაგებს ბოლშევიკური სიფხიზლე და გულისყური:

აი კიდევ ერთი ფაქტი: ზოგი ამხანაგი ფიქრობს, რომ შეიძლება იმყოფებოდე პარტიაში და ამავე დროს ყოველმხრივ დახმარებას უწევდე ტროცკისტებს, ამის აშკარა მაგალითს წარმოადგენს ჯავაირა **ხუტულაშვილი**—სოცდაზღვევის გამგე; ტროცკისტებთან მჭიდრო კავშირის შესახებ მისი მამხილებელი მასალა მოიპოვება ცა-კ-შიაც, ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოშიაც: თავისი გადასახლებული ტროცკისტი ქმრისათვის ამანათის სახით წაღებულ კვერცხებში, მაკარონსა და სხვა ნივთებში იგი ფარულად აწყობს ტროცკისტულ ლიტერატურას, წერილებსა და სხვ... იგი სარგებლობს თავისი მდგომარეობით, როგორც სოცდაზღვევის გამგე, და უფასოდ მკურნალობს ტროცკისტებს, უნიშნავს მათ პენსიას და სხვ... საკონტროლო კომისია, რასაკვირველია, გაარჩევს ჯავაირა ხუტულაშვილის საქმეს.

ვიმეორებ, ამხანაგებო, რომ სრულიად არასწორი იქნებოდა, რომ გადასახლებიდან დაბრუნებულ თვითეულ ტროცკისტს ჩვენ ვუყურებდეთ, როგორც ისეთ ადამიანს, რომელიც აწარმოებს მუშაობას ჩვენს წინააღმდეგ: მრავალი პატიოსნად მოვიდა პარტიაში და გულწრფელად მუშაობს ჩვენთან.

მაგრამ არის კატეგორია ადამიანების, რომლებიც წინასწარ უნდა შევამოწმოთ, კრიტიკულად უნდა შევხედოთ მათ მოქმედებას!

ყოველ შემთხვევაში, შეხვედრის გამართვა პურ-ღვინით იმათთვის. ვინც ეს არის რაც დაბრუნდა გადასახლებიდან და რომელიც ჯერ პარტიის წევრადაც არ ითვლება, არ არის დასაშვები.

ეს ცუდი მაგალითია, ეს ადუნებს ჩვენს სიფხიზლეს.

მაგრამ არა მარტო ტროცკისტებისადმი არის საჭირო ფრთხილი დამოკიდებულების გამოჩენა. მტერი ჩვენ ბევრი გვყავს, ისინი ძვრებიან, როგორც ამბობდა ამხ. კაგანოვიჩი, „ყველა ჭუჭრუტანებში", თან მოაქვთ ჩვენთვის უცხო იდეოლოგია, ჩქმალავენ ლენინიზმის საბრძოლო საკითხებს და სხვ.

აი, მაგალითისათვის, სამეული: **სიხარულიძე, ციხისთავი, ლორთქიფანიძე**—ავტორები წიგნისა „კლასთა ბრძოლის ისტორია", რომელიც გამოსცა სახელგამმა თბილისში 1931 წელს.

მე-84 გვერდზე ისინი სწერენ: „მუშათა, გლეხთა, წითელარმიელებისა და მატროსების დელეგატების საბჭოთა რესპუბლიკა წარმოადგენს მშრომელთა ინტერესების უფრო დამთავრებულ გამოხატვას, ვიდრე პარლამენტარული რესპუბლიკა".

ამ სახელმძღვანელოს ავტორები განსხვავებას საბჭოთა რესპუბლიკასა და პარლამენტარულ რესპუბლიკას შორის ხედავენ მხოლოდ იმაში, რომ საბჭოთა რესპუბლიკა დამთავრებულად გამოხატავს მშრომელთა ინტერესებს, ხოლო პარლამენტარული რესპუბლიკა, თუმცა ისიც აგრეთვე იცავს მშრომელთა ინტერესებს, მაგრამ „ნაკლებ დამთავრებულად". ამ განსაზღვრას არაფერი აქვს საერთო ლენინიზმთან. იგი აფუჩეჩებს პრინციპიალურ განსხვავებას, საბჭოთა რესპუბლიკასა და საერთოდ პარლამენტარულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებს შორის.

ან კიდევ მე-122 გვერდზე: „საკითხი „ვინ-ვის" მთლად არ არის გადაჭრილი. ეს პრობლემა არსებითად გადაჭრილია მრეწველობაში, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას სოფლის მეურნეობის შესახებ. ჩვენ უკანასკნელ შეტევას ვაწარმოებთ სწორედ შინაგანი კაპიტალიზმის წინააღმდეგ".

პარტიის შეხედულებათა წინააღმდეგ, ავტორები „ამტკიცებენ", რომ თითქოს ლენინის მიერ დასმული კითხვა „ვინ-ვის" არ არის გადაჭრილი სოფლის მეურნეობის დარგში სოციალისტური სექტორის სასარგებლოდ. ისინი სცნობენ, რომ ჩვენში არსებობს „შინაგანი კაპიტალიზმი".

რომელ „შინაგან კაპიტალიზმზეა" აქ ლაპარაკი? იმ დროს, როდესაც პარტია ლაპარაკობს კაპიტალისტურ ელემენტებთან გაშლილი ბრძოლის შესახებ, ჩვენს სახელმძღვანელოებში განაგრძობენ ლაყბობას რაღაც „შინაგან კაპიტალიზმის" შესახებ და სხვ.

კიდევ იმავე გვერდზე: „სოციალისტური საწარმოო დამოკიდებულება, რომელიც დამახასიათებელია მსხვილი სახელმწიფოებრივი წარმოებისათვის, ამჟამად, კოლმეურნეობათა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების განვითარებასთან დაკავშირებით, გადადის სოფლის მეურნეობაშიაც, ამრიგად ჩვენი ეკონომიკის საფუძველი უფრო მეტად სოციალისტური ხდება".

გამოდის, რომ თითქოს ჩვენი ეკონომიკის საფუძველი მხოლოდ ეხლა ხდება სოციალისტური, ხოლო დღემდე იგი არ იყო სოციალისტური.

აი სადამდი მივიდნენ ზოგიერთი უკაცრავად პასუხია „თეორეტიკოსები".

ჩვენი ქართული ინტელიგენცია მუდამ გვარწმუნებს ჩვენ, რომ იგი ჩვენთან ახლო სდგას, რომ იგი ჩვენთანაა და სხვ. ძირითადათ ჩვენს მხარეზე გარდატეხა, რასაკვირველია, არის. მაგრამ ვიღაც ჯერ კიდევ ცდილობს შექმნას ისეთი „თეორიები", რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვს ჩვენს იდეოლოგიასთან. მაგალითად, ნაციონალისტურ—წვრილ-ბურჟუაზიულად განწყობილმა სამეცნიერო მუშაკთა მცირე ჯგუფმა, რომელიც ეფარება უშინაარსო ფსევდომარქსისტულ ფრაზებს, თავის იდეურ საქმიანობაში განავითარა „საკუთარ ფეხების" თავისებური თეორია.

ეს თეორია მდგომარეობს შემდეგში: „ქართული მეცნიერება, ხელოვნება და კულტურა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, უნდა იდგეს „საკუთარ ფეხებზე" და მის შექმნაში მონაწილეობის მიღება შეუძლია **მხოლოდ ქართველებს**. ეს კონცეპცია გავრცელდა ზოგიერთ წრეებში და მას იყენებენ აღნიშნული ფენების გავლენის დასაცავად სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სამეცნიერო მუშაკების და თითქმის იმ ქართული პარტიული ახალგაზრდობის კრიტიკისაგან, რომლებიც სწავლის დამთავრების შემდეგ ბრუნდებიან მოსკოვიდან.

ჩვენ ვალდებული ვართ გავაორკეცოთ ჩვენი სიფხიზლე, ჩვენი ბრძოლა ლენინიზმის პრინციპების სიწმინდისათვის, ჩვენში ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის შემოპარების წინააღმდეგ.

როგორ ვართ ჩვენ მომზადებული ამ ბრძოლისათვის, რა მდგომარეობაშია ჩვენში მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმე?

1930-31 წელს პარტგანათლების საქმის სუსტად დაყენების შედეგად, წინა წელთან შედარებით, ჩვენ მივიღეთ: კ.პ. (ბ) წევრების პარტგანათლებაში ჩაბმის შემცირება 87 პროცენტიდან 1929—30 წელს 20,5 პროცენტამდე 30—31 წელს, გამოშვებულ მსმენელთა პროცენტის შემცირება 30.606-დან 25.906-დე (ესე იგი 14 პროცენტით), უპარტიო მსმენელების ჩაბმის პროცენტის შემცირება 10.733-დან 8.657-დე (ან 20 პროცენტით), კოლმეურნე მსმენელთა ჩაბმის პროცენტის შემცირება 7.416-დან 6.120-დე (ან 18 პროცენტით).

1931—1932 სამოსწავლო წელს განზრახულია ერთგვარი გარდატეხა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. პარტგანათლების ქსელში 44.828 კომუნისტიდან ჩაბმულია 35074 პარტიის წევრი და კანდიდატი. მიუხედავად ამისა მუშაობის ხარისხი მოიკოჭლებს. ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზია—პარტიული განათლების მნიშვნელობის ოპორტუნისტული შეუფასებლობა, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება.

პარტაქტივის მომზადების და გადამზადების მიზნით ეწყობა მთელი რიგი რესპუბლიკანური, სარაიონთაშორისო და რაიონული კურსები, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს კურსები საქართველოს მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტთან.

ამრიგად ძირეულ და ხელმძღვანელ პარტაქტივიდან სხვადასხვა კურსებში უნდა გატარდეს 4.500 კაცი. ც. კ-ის დადგენილებით დაარსებულია საქართველოს კომუნისტური უმაღლესი სასწავლებელი 200 კაცისათვის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების მოსამზადებლად.

ძირითადათ ასეთივე ნაკლი ახასიათებს კომკავშირის პოლიტგანათლების მდგომარეობას. კომკავშირელების და უპარტიო მუშა კოლმეურნე და მოჯამაგირე ახალგაზრდობის პოლიტიკურ სწავლებაში ჩაბმის რიცხვობრივი ზრდის მიუხედავად (110 ათასი მსმენელი), ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გაშლილი ბრძოლა კომკავშირელების ასი პროცენტით ჩაბმისათვის პოლიტსწავლებაში (აჭარისტანი, ოზურგეთი, ჩხარი, [illegible], თიანეთი და სხვ.).

თავისი ისტორიული გამოსვლის დროს სამეურნეო მუშაკების თათბირზე ამხ. სტალინმა ერთ-ერთ ექვს პირობათაგანში დაგვისახა „მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს ყავდეს თავისი საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია".

პარტიამ გაშალა უდიდესი მუშაობა მუშათა კლასის და კოლმეურნეთა რიგებიდან საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის შექმნისათვის. ამ მხრით ერთგვარი გარდატეხა მოხდა ჩვენშიაც—საქართველოში. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უმაღლესი პოლიტექნიკური სასწავლებლების რიცხვი გაიზარდა 6-დან 15-დე (1930—31 წელს). მოსწავლეთა რიცხვი 10.512-დან 13.857-დე გაიზარდა, ხოლო სამეცნიერო მუშაკების—719-დან 1.450-დე.

საგრძნობლად გაუმჯობესდა სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობა. 1931-32 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულია მუშები—40 პროცენტი, კოლმეურნეები—24 პროცენტი. პირველი ხუთწლედის დამლევისათვის ჩვენ უნდა გვყავდეს 1.757 საკუთარი ინჟინერი, 3.014 აგრონომი, 2000 ეკონომისტი, 2.500 ექიმი, 4.000 უმაღლესი კვალიფიკაციის პედაგოგი და სხვ.

დიდ გარდატეხას იძლევა ძირეული და საშუალო სკოლა, რომელიც მოწოდებულია ემსახუროს გაშლილი სოციალისტური შენების ინტერესებს.

სკოლის ასაკამდე აღზრდაში ჩაბმულია 25.847 ბავშვი ([illegible] 1931 წლის), რაც შეადგენს საქართველოს ბავშვთა მოსახლეობის 11.9 პროცენტს. ამ მიღწევების მიუხედავად, ბავშვთა მოსახლეობის უდიდესი მასები ჯერ კიდევ დარჩენილია მოწესრიგებულ საზოგადოებრივ აღზრდის გარეშე, იმ დროს, როდესაც მრეწველობის საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ზრდა ამ მხრით განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს აყენებს. უახლოეს პერიოდში ჩვენ უნდა ჩავატაროთ საყოველთაო სავალდებულო სკოლის ასაკამდე აღზრდა, პირველ რიგში კი მუშებისა და კოლმეურნეებისათვის და ამ ამოცანის ირგვლივ უნდა დავრაზმოთ პარტორგანიზაციები და ფართო პროლეტარული საზოგადოებრიობა.

1929-30 წელს პირველი საფეხურის სკოლაში ჩაბმული იყო ბავშთა 60 პროცენტი 8-დან 11 წლის ასაკამდე. საქართველოში საყოველთაო სწავლების განხორციელების გეგმა შედგენილი იყო სამი წლით 1930-31 32-33 წ. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ნაცუმცირესობათა რაიონების მეორე და მესამე წლებისათვის მიკუთვნებით.

საყოველთაო - სავალდებულო სწავლისათვის ბრძოლის პირველი წლის შედეგები გამოიხატა შემდეგში: პირველი საფეხურის სკოლებში ჩაბმულ სასკოლო ასაკის ბავშთა რიცხვი 61 პროცენტიდან 1929-30 წელს გაიზარდა 83,6 პროცენტამდე 1930—31 წელს. საყოველთაო სწავლების გეგმა პირველი წლის განმავლობაში შესრულებულია 97.5 პროცენტით.

ჩვენი ამოცანაა—შევასრულოთ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 31 ოქტომბრის დირექტივა საქართველოში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების 1932 წელს დამთავრების შესახებ.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში მიღწეულ საგრძნობ წარმატებების მიუხედავად (1931 წლის განმავლობაში სალიკვიდაციო სკოლებში წერა-კითხვა შეისწავლა 215.562 კაცმა), წერა-კითხვის უცოდინარობა ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. 1931 წლის 1 სექტემბრისათვის მთელს რესპუბლიკაში ირიცხებოდა 170.000 უცოდინარი. სასწავლო წლის დასაწყისში სალიკვიდაციო სკოლებში ჩაბმულ იქნა—90.000 კაცი. სკოლის გარეშე ჯერ კიდევ დარჩენილია 80.000 კაცი.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 31 ოქტომბრის დადგენილება გვავალებს ჩვენ აღმოვფხვრათ წერა-კითხვის უცოდინარობა საქართველოში არა უგვიანეს 1932 წლისა. ამის გამო, საჭიროა გავაძლიეროთ პარტიისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება ბრძოლის ამ ფრონტისადმი კულტურული რევოლიუციისათვის და თავის დროზე ბოლშევიკურად განვახორციელოთ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დირექტივა.

იზრდება ბეჭდვითი სიტყვა—კულტურული რევოლიუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი

საქართველოს მუშების, კოლმეურნეების და ფართო მშრომელი მასების კულტურულ პოლიტიკური სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით, განუწყვეტლივ ფართოვდება ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების ქსელი თუ 1929 წელს საქართველოში გამოდიდა 18 გაზეთი, 1931 წელს გაზეთების რაოდენობა 63-ს აღწევს. მათგან: ცენტრალური რესპუბლიკანური გაზეთები—6, სასოფლო რაიონული გაზეთები—30, საფაბრიკო-საქარხნო გაზეთები,—უმაღლეს სასწავლებლების ნაბეჭდი გაზეთები—27.

1929 წელს საქართველოს ყველა გაზეთების ერთდღიური ტირაჟი უდრიდა—248.000-ს 1931 წელს გაზეთების ტირაჟი 650.000-მდე აღწევს.

წიგნის პროდუქციის ზრდის დინამიკა შემდეგი სახით იხატება: 1926 წელს ყველა გამომცემლობებმა გამოსცეს 610 სახელწოდების წიგნი 1.585.860 ეგზემპლიარი ტირაჟით, ყველა გამომცემლობების მიერ 1931 წ. გამოცემულია 900 სახელწოდების წიგნი 2.545.800 ეგზემპლიარი ტირაჟით. თუ ვიანგარიშებთ, რომ 1920 წელს საქართველოში გამოვიდა სულ 99 სახელწოდების წიგნი, მივიღებთ, რომ ათი წლის განმავლობაში სახელწოდებათა რაოდენობის მხრით ქართული წიგნის ზრდა გამოიხატება 1.078 პროც.

ჩვენ გვაქვს ისეთი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, როგორც „კაპიტალის" გამოცემა ქართულ ენაზე და ლენინის თხზულებათა 27 ტომიანი კრებულის გამოცემა (უკვე გამოცემულია 6 ტომი, გადათარგმნილია ქართულ ენაზე 20 ტომი, მზადაა დასაბეჭდათ 5 ტომი).

ძველი ხელმძღვანელობის შეცდომები და საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. ახალი შემადგენლობის მუშაობა

საკ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებამ ახალი გვერდი გადაშალა ჩვენს მუშაობაში, როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე საქართველოში. რითი იყო გამოწვეული ეს დადგენილება? როგორც თქვენ იცით, ამხ. სტალინს, გასული წლის ზაფხულზე საქართველოში ყოფნის დროს, შესაძლებლობა ჰქონდა პირადათ გასცნობოდა საქართველოს მთელ რიგ რაიონების და ხელმძღვანელობის მდგომარეობას. მაშინვე იყო დასმული საკითხი მთელ რიგ საჭირო ზომების მიღების შესახებ. მაგრამ ძველმა ხელმძღვანელობამ ამხ. სტალინთან საუბრის და მისი მითითებათა შემდეგაც გამოიჩინა თავისი სრული უმწეობა შეცდომათა გამოსწორების საქმეში და მან სრულიად ვერ გაიგო პარტიის ბელადის მითითებანი.

ამის შედეგად საკითხი დაისვა საკ. კ.პ. (ბ) ც.კ-ში და მიიღო ჩვენთვის უკვე ცნობილი გადაწყვეტილება. საერთოდ რაში გამოიხატებოდა, ამხანაგებო, ძველი ხელმძღვანელობის შეცდომები?

უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის მოწინავე მარცვლეულ რაიონების მეთოდების საქართველოს სოფელში მექანიკურად გადმოტანაში, რაც წარმოადგენდა საქართველოს სოფლის სინამდვილის არცოდნის, მისგან მოწყვეტის და საქართველოს განსაკუთრებული პირობებისათვის ანგარიშის გაუწევლობის შედეგს.

„შეცდომა იქნებოდა,—ამბობს ლენინი,—რომ ამხანაგებს უბრალოდ, შაბლონურად გადმოეწერათ დეკრეტები რუსეთის ყველა ადგილებისათვის, რომ ბოლშევიკებს—კომუნისტებს, უკრაინისა და დონის საბჭოთა მუშაკებს დაეწყო გაურჩევლად და ხელაღებით მათი გავრცელება სხვა ოლქებზე"... ვინაიდან „ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვბოჭავთ ჩვენს თავს ერთნაირი შაბლონით არ ვსწყვეტთ ერთხელ და სამუდამოთ, რომ ჩვენი გამოცდილება, ცენტრ. რუსეთის გამოცდილება, შესაძლებელია მთლიანად გადატანილ იქნას ყველა განაპირა მხარეებში" (ტ. 16, გვ. 106).

ლენინი შემდეგ ამბობს, რომ

„უდიდესი სისულელე იქნებოდა დაგვექვემდებარებია ერთგვარი შაბლონისათვის ცენტრალური რუსეთი, უკრაინა, ციმბირი" (ტ. 16, ნაწილი 1-ლი, გვ. 143).

„ბოლოს, ლენინი ავალებს კავკასიის კომუნისტებს, რომ მათ „გაიგონ თავისი რესპუბლიკის თავისებურება, რ.ს.ფ.ს.რ.-ის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ, რომ საჭიროა არა ჩვენი ტაქტიკის გადმოღება, არამედ მისი მოფიქრებულად შეცვლა კონკრეტულ პირობების განვითარებასთან შეფარდებით". (ტომი მე-18, ნაწ. 1, გვ. 200).

შემდეგ, ამხანაგებო! უხეში გადახვევები დამზადების დარგში, ადგილებისათვის აშკარა გადაჭარბებული დასამზადებელი გეგმების მიცემა, სოფლად როგორც კოლმეურნეების, ისე ინდივიდუალური გლეხების სამომხმარებლო და სათესლე ფონდის ნაწილობრივი შეხება, კოლექტივიზაციის ზრდა დეკრეტების საშუალებით, ადმინისტრატიული ზეგავლენის ზომები, როგორიც კოლმეურნეობებში მიზიდვის მეთოდი, უხეში დამახინჯებები ფულადი სახსრების მობილიზაციის კამპანიის პროცესში, სესხის ობლიგაციების იძულებითი გავრცელება და თვალის ახვევა ამ საქმეში, დამახინჯებანი გადასახადით დაბეგვრის დარგში, კულაკთა სიებში ღარიბ და საშუალო გლეხების შეტანის შემთხვევები და შეძლებულთა და საშუალო გლეხთა „განკულაკება", განკულაკების ჩატარება არა მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე (კახეთი), მიწადმოწყობის არა სწორად ჩატარება, დამზადებისა და კონტრაქტაციის პროცესში გლეხებისათვის მიცემული დასაქონლიანებისა და პურის შეტანის შესახებ დაპირებების შეუსრულებლობა,—აი საერთოდ როგორ შეიძლება დავახასიათოთ „გლეხობის საკითხში დაშვებული შეცდომები", რომელთა შესახებ ლაპარაკია საკ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის გადაწყვეტილებაში.

შემდეგ—„ატამანშჩინა", ხოლო „ატამანშჩინის" შედეგად „თავისი კაცების" და ისეთი ადამიანების შერჩევა, რომლებიც მორჩილნი იყვნენ ძველი ხელმძღვანელობის და მხარს უჭერდნენ მას; ადამიანების შერჩევა არა საქმიანი მოსაზრებით, არამედ იმ მოსაზრებით, თუ ვისი კაცია, ვისთან არის და სხვ.

ამხანაგებო, საკ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება მეტად მკაცრია, მაგრამ სავსებით სწორი და დროულია.

ჩვენ,—ახალმა ხელმძღვანელობამ მეტად მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ.

რა გადავკეთეთ ჩვენ ამ ორი თვის განმავლობაში?

პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ძალების გადანაწილება იმ დარგებში, სადაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით სერიოზულ შეცდომებსა და გადახვევებს. საჭირო იყო ამ დარგების გამაგრება ისეთი ადამიანებით, რომელნიც შესძლებენ შეცდომების გადაჭრით გამოსწორებას.

„არავითარი პოლიტიკა", ამბობს ლენინი, არ შეიძლება განხორციელებულ იქნას დანიშვნებისა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის გარეშე.

შემდეგ საჭირო იყო უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონოდა სოფლის მდგომარეობაზე. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გადაწყვიტა გაგზავნოს ავტორიტეტული კომისიები საქართველოს მთელ რიგ რაიონებში: კახეთში, ზესტაფონის, ჩხარის, ქიათურის, ვანის, ბაღდათის რაიონებში, ახალქალაქის, ახალციხის, [illegible], ადიგენის, ბოგდანოვკის სანაპირო რაიონებში, შემდეგ ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონებში და სამეგრელოში აბაშიდან წალენჯიხამდე.

კომისიებს ამოცანას შეადგენდა, როგორც რაიონების გამოკვლევა, ისე შეძლებისდაგვარად გამომჟღავნებულ შეცდომების, გადახრების და სხვ. დაუყოვნებლივ გამოსწორება ადგილობრივად.

კომისიებმა დაამთავრეს მუშაობა. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ რამდენიმე სხდომაზე მოისმინა მათი მოხსენებები და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებისათვის დარაზმულ იქნება მთელი ორგანიზაცია.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ კომისიებმა თავისი მუშაობის შედეგად ერთხელ კიდევ დაადასტურეს სოფლის მდგომარეობის შეფასება, რომელიც მოგვცა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა.

კომისიებმა უამრავი ფაქტი წარმოგვიდგინეს. ამ ფაქტების გადმოსაცემად ძალიან ბევრი დრო დამჭირდებოდა, ამიტომ დავკმაყოფილდები მხოლოდ ზოგიერთი უფრო დამახასიათებელი ფაქტებით.

ზესტაფონის რაიონში უკანასკნელ დრომდე არსებობდა პარტიის რაიონული კომიტეტის ცირკულიარი კოლმეურნეობებიდან გასულ ან გაწმენდილ გლეხებისათვის კონტროლის გაწევისა და მათი შევიწროების შესახებ. ცხრა-წყაროში არის სამსონ მამულიას სახელობის კოლმეურნეობა. ამ ბოლო დროს ძალიან გამრავლდა ისეთი კოლმეურნეობები, რომელთაც უწოდეს პასუხისმგებელ მუშაკთა სახელები. თითქოს ეს უმნიშვნელო საკითხია, მაგრამ მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. ამხ. გ. **სტურუა** მოხვდა სენაკში—მისი სახელობის კოლმეურნეობაში. ვინ არის გიორგი სტურუა?—ეკითხება იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. „არ ვიცი—უპასუხებს თავმჯდომარე,—რაიონიდან ჩამოვიდა ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი და გვითხრა, რომ სტურუა წესიერი და საიმედო კაცია და წინადადება მოგვცა გვეწოდებია კოლმეურნეობისათვის მისი სახელი". აქა-იქ კოლმეურნეობებს ხელმძღვანელ მუშაკთა ცოლებისა და შვილების სახელებსაც კი უწოდებდენ. ეს ყოვლად დაუშვებელია. ეს არის იმ ამხანაგების მიმართ მლიქვნელობის ერთ-ერთი ელემენტი, რომელთა სახელს უწოდებდენ კოლმეურნეობებს.

ვუბრუნდები **მამულიას** სახელობის კოლმეურნეობის ამბავს. ამ კოლმეურნეობაში უნდა მისულიყო ამხ. **მამულია** რაიკომის მდივან **ბერიძესთან** ერთად. კოლმეურნეობაში სწარმოებდა მზადება შესახვედრად, სწავლობდნენ იმას, თუ როგორ უნდა წარედგინათ პატაკი, ადგენდნენ კედლის გაზეთსა და სხვ. კოლმეურნეობაში აღმოჩნდა 50 პროც. დამუშავებული მიწა, გაზეთებში და პატაკში კი სწერდნენ 125 პროცენტს. იმისათვის, რომ დაემალათ ამხ. მამულიასათვის დაუმუშავებელი მინდვრები, გზა ზესტაფონიდან ცხრა-წყარომდე დახერეს სპეციალურად გაკეთებული [illegible], ხოლო ამხ. **მამულია** წაიყვანეს მეორე გზით, ინდივიდუალურ მეურნეთა დამუშავებული მინდვრებით, რომელთაც კოლმეურნეობათა მინდვრებად ასაღებდნენ. ძველი ხელმძღვანელობა კოლმეურნეთა მასებს ზრდიდა ტყუილებისა და თვალის ახვევის ატმოსფერაში. კომისიის წევრის შეკითხვაზე—რატომ არ სთქვეს მათ პატაკში სიმართლე დამუშავებული მიწის რაოდენობის შესახებ,—კოლმეურნე გლეხმა ვინმე **ბოცაძემ** უპასუხა, რომ როცა მდივანი ლაპარაკობდა შესრულების დიდ პროცენტზე, მან ეს გაიკვირვა და იფიქრა, რომ, ალბად, კომუნისტებს „აქვთ პროცენტების გამოანგარიშების თავისი სისტემა"-ო.

თვალის ახვევას მიმართავდნენ, როგორც სისტემას.

იმავე ზესტაფონის რაიონში ამხ. ბერიძეს ფულადი რესურსების მობილიზაციის საგრძნობი შეუსრულებლობა ჰქონდა შემნახველ სალაროში ანაბარების შეტანის ხაზით. ამხ. **ბერიძეს** დიდხანს არ უფიქრია, აიღო მან სახელმწიფო ბანკიდან სათანადო თანხა, შეიტანა შემნახველ სალაროში, აცნობა თბილისს გეგმის 125 პროცენტით შესრულების შესახებ, ხოლო მეორე დღეს ფული უკან წაიღო შემნახველი სალაროდან.

ან კიდევ, მაგალითად: მოვიდა სამინჟინრო-ტექნიკური კომისია ფერო-მარგანეცის ქარხნის დასათვალიერებლად. ამხ. ბერიძემ დაათრო კომისია, უკანასკნელმა დადებითი დასკვნა დასწერა და ისე გაბრუნდა იგი უკან, რომ არც კი დაუთვალიერებია მშენებლობა.

ზესტაფონის რაიონში არიან ისეთი უბნის მდივნები, რომელთაც ოთხ-ოთხი საყვედური აქვთ გამოცხადებული დამზადების შესახებ სწორი ციფრების მიწოდებისათვის. რაკი დაინახეს, საყვედურის მეტი არაფერი გამოდიოდა, დაბალი საფეხურის მუშაკებმა გადასწყვიტეს ეგზავნათ გაბერილი ციფრები თავიანთი მუშაობის შესახებ. ურთიერთ თვალის ახვევის ეს სისტემა ფართოდ არის გავრცელებული ამ რაიონში.

ამხ. **მზარეულაშვილმა** გვიამბო შემდეგი: გურიაში ყიდდენ მანუფაქტურას წონით, კილოს 12 მ. 50 კაპიკად, მანუფაქტურის კილო იმდენ სხვადასხვა ნაჭრისაგან (რიცხვით ოცამდე) შესდგებოდა, რომ თუ გლეხი ნაყიდ ნაჭრებისაგან პერანგს შეიკერავს, უკეთეს შემთხვევაში დაემსგავსება ჟონგლიორს ან ცირკის კლოუნს.

სამეგრელოში, თუ შენ რაიონული ცენტრიდან ხარ მოსული, ემალის კრუშკას მოგყიდიან 1 მ. 20 კაპიკად, ხოლო თუ იქ გლეხი მივა იმავე სოფლიდან, სადაც ეს კრუშკა იყიდება, მას მოსთხოვენ 30 კვერცხს და კიდევ 20 კაპიკს. თუ ამ კვერცხების საშუალო ღირებულებას ავიღებთ, მაშინ გლეხს ეს კრუშკა დაუჯდება 9 მან. და 20 კაპიკად, ხოლო რაიონის მცხოვრებს —1 მან. 20 კაპიკად.

თვითდაბეგვრას ხშირად ახდენდნენ გლეხების მიერ მონაწილეობის მიუღებლად. ბეგრავდნენ როგორც მოესურვებოდათ და ვისაც მოისურვებდნენ, ხოლო ფულს ხარჯავდნენ არა დანიშნულებაზე, არამედ ადმინისტრატიულ და სხვა ყოველგვარ საჭიროებაზე. ც. კ-ის ხაზი რაიონების მიმართ წარსულში ასეთი იყო: განხილვაში ნუ შედიხარ, კრიტიკას ნუ ეწევი, საწინააღმდეგოს ნუ ამბობ. ხომ მოგვცეს შენ ციფრები, ხომ მოგვცეს შენ ნორმა, შეუდექი დამზადებას, შესრულებას, არავითარი ლაპარაკი აღარ იყოს.

ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგები, რომლებიც რაიონში გაეცნენ ყველა ამ უმსგავსოებას, ეუბნებოდნენ ამის შესახებ ამხ. **მამულიას**, მაგრამ საპასუხოდ ამხ. **მამულიამ** წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელშიაც მან სთქვა: „ყველა ექსცესები და გამოსვლები ამ რაიონში მოწმობენ იმას, რომ ამხანაგები იქ კარგ მუშაობას აწარმოებენ კლასობრივ მტერზე შეტევის ხაზით". ეს მიუხედავად იმისა, რომ ორმა კომისიამ ორჯერ არანორმალურად სცნო მდგომარეობა რაიონში. ნაცვლად იმისა, რომ მოეხსნათ **ბერიძე**, იგი კოოპტაციის წესით შეიყვანეს ც. კ-ის შემადგენლობაში.

ლანჩხუთის რაიონში, როგორც განაცხადა რაიკომის მდივანმა ამხ. ამბ. რამიშვილმა და სხვებმა, რაიონული მუშაკების განცხადებაზე გეგმის შესრულების შეუძლებლობისა და მისი არარეალურობის შესახებ, ამხ. **მამულიამ** უპასუხა: „საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ი ჩვენთან არ ვაჭრობს, და ჩვენც არ ვივაჭრებთ თქვენთან"-ო.

ჩოხატაურის რაიონში, რაიკომის მდივნის შეკითხვაზე:—რა უნდა გააკეთონ მათ, გეგმა ძალიან დიდია და რაიონი მის შესრულებას ვერ შესძლებს,—ამხ. **მამულია** უპასუხებს: „ბისმარკი გლეხებს ზარბაზნებით აიძულებდა დაერგოთ კარტოფილი"-ო.

აი კიდევ აღმაშფოთებელი ფაქტი, რომლის შესახებ მოხსენება გააკეთეს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე: გლეხებს თურქების მოსაზღვრე რაიონში წინადადება მისცეს ჩაებარებია 20 კილო მატყლი ერთ ცხვარზე 1 კილო მატყლის ანგარიშით. გლეხი აცხადებს: „მე მყავს 10 ცხვარი და ჩავაბარებთ ათ კილო მატყლს". მას კი ეუბნებიან: „იყიდე კერძო ბაზარზე რაც მატყლი გაკლია". მატყლის შესაძენად ფულის უქონლობის გამო გლეხმა გამოსავალი იპოვა იმაში, რომ გაკრიჭა ჯოგის ძაღლი, აურია ცხვრის მატყლს ძაღლის ბალანში და ჩააბარა საჭირო რაოდენობა. ეს ამბავი მოედო მთელს რაიონს.

მოსაზღვრე რაიონებში კომისიებმა საწყობებში აღმოაჩინეს დაურიგებელი დეფიციტური საქონლის დიდი რაოდენობა, რომელიც სპეციალურად იყო გაგზავნილი ამ რაიონის მოსახლეობისათვის, მაგალითად 50 ფუთი საპონი და სხვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია ხელს მოჰკიდებს ამ საქმეს, რადგან დროა ბოლო მოეღოს მთელი რიგი ადგილობრივი მუშაკების არაფრით გამოწვეულ უთაურობას.

შემდეგ, ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს ცენტრალური ორგანიზაციების — მომარაგების სახალხო კომისარიატის, ცეკავშირის, მემინდვრეობის კავშირისა და სხვების დიდი დავალიანება გლეხების წინაშე დამზადების დარგში. უმთავრესი აქ ის არის, რომ არავის ცენტრში არ ძალუძს მოგვცეს დავალიანების მეტად თუ ნაკლებად ზუსტი ციფრები. ამჟამად მუშაობენ სპეციალური კომისიები, რომლებიც იკვლევენ, თუ ვის ვისი და რამდენი მართებს.

არევ-დარევა აქ ძალიან დიდია. უნდა მიიღონ სასწრაფო ზომები, როგორც ცენტრმა, ისე პერიფერიებმაც.

აი, ამხანაგებო, ზოგიერთი ფაქტები კომისიების შეგროვილი რიცხვიდან. კომისიების მუშაობა მეტის-მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მან გადაგვიშალა ჩვენ უფრო ნათელი და, რაც უმთავრესია, მდგომარეობის კონკრეტული სურათი ადგილებზე და საშუალება მოგვცა დავსახოთ პრაქტიკული ღონისძიებანი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების იმ ნაწილის რეალიზაციისათვის, რომელიც შეეხება შეცდომების გამოსწორებას გლეხთა საკითხში.

ორიოდე სიტყვა ამხ. მამულიას შესახებ, რომელიც უეჭველად გვაგონდება როცა ვეხებით შეცდომებს.

ცენტრალურ კომიტეტში მოიპოვება ორი დოკუმენტი: ერთი დაწერილია ამხ. **სუხიშვილის**, ხოლო მეორე ამხ. **მამულიას** მიერ. თქვენ ყველამ იცით, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა დამუშავება ჩატარდა მთელი ჩვენი პარტორგანიზაციის, როგორც თბილისში ისე რაიონებშიაც, უაღრესად ფართო აქტიური მონაწილეობით.

მრავალმა ამხანაგმა ძველ შემადგენლობიდან ბოლშევიკურად გასცა პასუხი თავიანთ შეცდომებს, მუშების მოთხოვნებს, პარტიის წევრ. მოთხოვნას, რომ გამოეთქვათ მათ თავიანთი აზრი. მრავალი ამხანაგი მაშინვე გამოვიდა, მაგრამ ორი „წინამძღოლი" ჯიუტობდა, მიუხედავად იმისა, რომ მიეპოვებოდათ სრული შესაძლებლობა ამისათვის. ჩვენ თვითონ მოუწოდებთ მათ გამოსვლისაკენ. მაგრამ ამხ. **სუხიშვილი** და **მამულია** სდუმდენ. მართალია ამხ. **სუხიშვილმა** დასწერა განცხადება თბილისის კონფერენ. სახელზე, ამ დოკუმენტში იგი აღიარებს თავის შეცდომებს, სწორად სთვლის საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას და აღუთქვამს, რომ ყრილობაზე გამოვა გაშლილი თვითკრიტიკით, კონფერენციამ შეაფასა ეს დოკუმენტი, მაგრამ მაინც ეს დოკუმენტი ატარებს არაგულწრფელობის ნიშნებს. არც ისე ავად ყოფილა ამხ. ლადო რომ ვერ მოსულიყო კრებაზე და ვერ გამოსულიყო. არ არის მართალი ეს. თქვენ გქონდათ საშუალება გამოსულიყავით რომელ უჯრედშიაც კი მოისურვებდით, კონფერენციაზე, თბილისის კომიტეტის პლენუმზე, ცენტრალურ კომიტეტის ბიუროში, თქვენ მიემგზავრებოდით თბილისიდან, ბრუნდებოდით უკან, მაგრამ ვერ ახერხებდით ნახევარი [illegible] გაკეთებას თავის უჯრედში [illegible]. აქ საგრძნობი ხდება სხვაგვარი მოტივი: „მე დიდი ხელმძღვანელი ვარ და ამიტომ უნდა ვილაპარაკო, ყოველ შემთხვევაში, კონფერენციას".

ყოველ შემთხვევაში, ამ დოკუმენტით ამხ. **სუხიშვილმა** გადასდგა ერთი ნაბიჯი, მეორე ნაბიჯი კი იქნება მისი გამოსვლა ყრილობაზე, ხოლო მესამე ნაბიჯი—მისი პრაქტიკული მუშაობა ჩვენთან ერთად.

მეორე დოკუმენტს წარმოადგენს ამხ. **მამულიას** განცხადება: იგი საგრძნობლად განსხვავდება ამხ. სუხიშვილის განცხადებისაგან. გაგზავნილია განცხადება ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროში. ბიურომ იგი ჯერ კიდევ არ განუხილავს. მთელ დოკუმენტს არ წავიკითხავ, მოვიყვან მხოლოდ ცალკე ადგილებს. აი ერთი ადგილი: „დახარჯულ იქნა მეტი დრო, ვიდრე საჭირო იყო, ძველი შემადგენლობის დამუშავებაზე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ნამდვილი დამუშავების საზიანოდ ამიერ-კავკასიის საკითხისა და პრაქტიკული მუშაობის საკითხის შესახებ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო და პოლიტიკურ დავალებათა შესასრულებლად".

ეს არის ცილისწამება. ყველა დამსწრემ იცის, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების დამუშავება ხდება სწორედ ბოლშევიკურად, ამომწურავად და შეცდომების გაშლილი თვითკრიტიკით. იხსენიებენ ამასთან მამულიასაც, რადგან ძნელია ის არ გავიხსენოთ, როცა ვლაპარაკობთ შეცდომებზე. მამულიამ კი წარმოიდგინა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მას ეხებიან. ის, ასე გასინჯეთ, სწუხს კიდეც და გვაფრთხილებს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებები დაუმუშავებელი რჩებაო. ის სიგნალს გვაძლევს, საკითხავია,—რა გააკეთა მან, პატივცემულმა ამხ. მამულიამ? სრულიად არაფერი.

შემდეგ თავის განცხადებაში ის ამბობს. „ყოველთვის ვიყავი აქტიური მებრძოლი პარტიასთან ერთად პარტიის გენერალური ხაზისათვის—ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ ამ ხაზიდან და მრავალ იმათგანის წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ, რომ ჯვარს მაცვან მე. ამის შესახებ იცის ყველამ, ვინც კი მიცნობს მე" (ხმაურობა დარბაზში).

დაე სთქვას ამხ. მამულიამ, თუ ვის წინააღმდეგ იბრძოდა ის, ვისგან იცავდა პარტიის გენერალური ხაზის სიწმინდეს, ვისი გადახრების წინააღმდეგ იბრძოდა ის იმათ რიცხვიდან, რომლებიც ეხლა ხელმძღვანელობენ პარტიას, ჩვენ ვერ ვიპოვეთ ცენტრალური კომიტეტისა და სამხარეო კომიტეტის ახალ შემადგენლობაში ისეთები, რომელთა წინააღმდეგაც იგი აწარმოებდა მუშაობას.

შემდეგ—„სურთ ჯვარს აცვან იგი", ვის სწადია მისი ჯვარზე გაკვრა? ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით იგი დანიშნულ იქნა ამიერ-კავკასიის მომარაგების სახალხო კომისრის მოადგილედ. ეს არის ჯვარზე გაკვრა? თუ მუშები მოითხოვენ იმისგან მუშათა აუდიტორიის წინაშე გამოსვლას საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესახებ, განა მისი მისვლა მუშა-კომუნისტებთან კონფერენციაზე ან კრებაზე ჯვარზე გაკვრას ნიშნავს? ამხანაგი მამულია მეტად უცნაურ კვალიფიკაციას აძლევს პარტიულ ყრილობაზე გამოსვლას.

მე ყველა მიცნობს—აცხადებს მამულია, მე ვფიქრობ, რომ ყრილობაც იცნობს მას, ხოლო ეხლა კიდევ უფრო კარგად გაიცნობს მან იგი. მას შეეძლო მუშაობა და იმუშავებს, თუ გაიგებს თავის შეცდომებს, არ აჰყვება ჯიუტობას და არ დაიწყებს არასწორი დოკუმენტების თხზვას. ეს მისთვის უფრო სასარგებლო იქნება. სენაკის ორგანიზაციამ თავისი ინიციატივით გამოიყვანა ამხ. მამულია რაიკომის შემადგენლობიდან. მაშინ ამხ. მამულიამ მოიხმო რაიკომის ერთერთი წევრი გულორდავა და უთხრა მას: „როგორ გაბედეთ თქვენ პარტიის სენაკის რაიკომის შემადგენლობიდან ჩემი გაყვანა, ეს ცენტრის დირექტივა არის, თუ თქვენ თვითონ ჩაიდინეთ"?

აქ მოჩანს პატარა ატამანი, დაჯგუფების ელემენტები. თუ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სწორია, დაე სთქვას მან, რომ იგი სწორია. მაგრამ მას არაფერი გაუკეთებია, იგი არსად არ გამოსულა, მას არავითარი წვლილი არ შეუტანია ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების ბოლშევიკურად დამუშავების საქმეში.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ იმის შესახებ, რომ საქართველოში შეიქმნა „სენსაციური" ლაპარაკი: „ვინ სად ვისთან მუშაობს, როგორ მუშაობს". ამბობენ, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში ჩხუბი მოუვათ? ბაქოს ორგანიზაცია—პოლონსკი საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტთან, საქართველოს პარტიის ცენტრალური კომიტეტი საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტთან, მამია **ორახელაშვილი**, **ბერიასთან**, **ბერია პოლონსკისთან** თუ **ხანჯიანთან**. ყოველივე ეს ამტკიცებს იმას, რის შესახებაც იყო ლაპარაკი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტების საორგანიზაციო ბიუროში, რომ აქ არ შეუძლიათ შეურიგდნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ერთიან ბოლშევიკურ ნების ყოფას.

ამგვარი ლაპარაკით მოსვენებას არ აძლევენ ამხ. კახიანსაც კი, რომელიც დიდი ხანია მუშაობს კაზაკსტანში სამხარეო კომიტეტის მდივნად ეწევა იქ ბოლშევიკურ მუშაობას პარტიის გენერალური ხაზისათვის.

აქ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სწერენ მას წერილს: „ეცადეთ, რომ აწარმოებენ თქვენს დამუშავებას". რისთვის იყო ეს საჭირო? თუ ვილაპარაკებთ ამხ. **კახიანის** შესახებ, უნდა ითქვას, რომ ამხ. **კახიანის** დამუშავებას ეწეოდა არა ეს ხელმძღვანელობა, არამედ ძველი ხელმძღვანელობა—ამხ. **მამულია**, გაიოზ **დევდარიანი** და სხვები (**მუსაბეკოვი**: „დი ქართველიშვილიც"). ამხ. **ქართველიშვილის** კარნახით. ამას მე ვამბობ არა იმისათვის, რომ ამხ. **კახიანი** დაუჯერებს ცილისწამებას და ჭორებს, არა იმიტომ, რომ საჭიროა ვისიმე დაშინება, არამედ იმიტომ, რომ ასეთ რასმეს არა აქვს ადგილი, ხოლო ადამიანები კი ჰქმნიან ამბებს. ჩვენ გადაჭრით ბოლოს მოუღებთ ამგვარ ლაპარაკს.

ვუბრუნდები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის მუშაობას.

იმ ზომებთან ერთად, რომლებიც ჩვენ მივიღეთ საკოლმეურნეო სისტემის გასაჯანსაღებლად და რომელთა შესახებ თქვენ უკვე იცით — ეს მხოლოდ არის დასაწყისი, რომელიც საჭიროებს გაგრძელებას,—ჩვენ მოვიწვიეთ რაიკომების მდივნებისა და კოლმეურნეობათა მუშაკების თათბირი, რომელზედაც დავამუშავეთ საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა საკითხები, მთელი ბოლშევიკური გულახდილობით ვამხილეთ შეცდომები და მარცხი ამ ხაზით და დავსახეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, რაც საფუძვლად დაედვა ჩვენი შემდგომი მუშაობის პროგრამას შეცდომების გამოსწორებას შემდგომი მუშაობის დარგში.

მაგრამ მოვკიდოთ ხელი ჩვენ ჩაის საკითხებს.

ჩაი

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში მოცემულია დირექტივა: „მეორე ხუთწლედში ამიერ-კავკასიამ, ძირითადად, უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრით". ამით განისაზღვრება საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების ტემპები. ყოველგვარი ლაპარაკი „რეალური" გეგმების მიცემის შესახებ მიმართულია განვითარების ტემპების შემცირებისაკენ და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ ჩაის კულტურის განვითარების შესახებ მოცემულ დირექტივის წინააღმდეგ.

1931 წელს ჩაის ეჭირა 22 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი.

ამასთან, ყველა ობიექტიური პირობების არსებობის მიუხედავად (სახსრებით ნორმალური მომარაგება, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით და ტრაქტორებით საკმაო უზრუნველყოფა), საქართველოს ჩაი უკანასკნელი სამი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის განმავლობაში სისტემატიურად ვერ ასრულებს საწარმოო დავალებებს.

(1931 წლის წლიური გეგმა შესრულებულია 65 პროცენტით).

მეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში გაშენებული პლანტაციები ნიადაგის ცუდი დამუშავების და პლანტაციების გაშენების სწორად დასაბუთებულ მეთოდების უქონლობის მეოხებით; იმის გამო, რომ თავის დროზე არ სწარმოებს ჩაის გამარგვლა, ჩაის ბუჩქის დალუპვა მთელის საჩრდილობელა ბალახებისაგან; განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებში; ხშირია შემთხვევები, როცა საბჭოთა მეურნეობათა ჩაის პლანტაციებს ანადგურებს პირუტყვი. 1930 წელს 6.000 ჰექტარზე ჩაი დათესილია არა სწორად (ხშირი ნათესი) სამუშაოების მექანიზაციის შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად; იმის გამო, რომ ჩაი დარგულია ფერდობებზე, პლანტაციები ირეცხება წყლისაგან და ილუპება, ხოლო ნაწილი დარგულია ჭაობიან მიწებზე.

სად არის მთავრობის დავალების შეუსრულებლობის და ჩაის პლანტაციების ასეთი ცუდი მდგომარეობის მიზეზი?

ცენტრალური კომიტეტი სცნობს, რომ ჩაის საქმის ასეთი მდგომარეობის შექმნაში დამნაშავეა „საქართველოს ჩაი"-ს ოპორტუნისტული, დამპალი ხელმძღვანელობა, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში თვალს უხვევდა პარტიას და უმალავდა მას თავისი მუშაობის უარყოფით მხარეებს.

ცხადია, რომ ც. კ-ი გვერდს ვერ აუვლიდა ამ ფაქტს, მან მოხსნა „საქართველოს ჩაი"-ს ხელმძღვანელები და მათი საქმე გადასცა საკონტროლო კომისიას პარტიული პასუხისგებაში მისაცემად; ამასთან ერთად განამტკიცა „საქართველოს ჩაი"-ს ხელმძღვანელი შემადგენლობა ახალი მუშაკებით, გადასინჯა საბჭოთა მეურნეობათა დირექტორების შემადგენლობა და ამ სამუშაოზე გაგზავნა მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები.

საქართველოს ბოლშევიკების წინაშე სდგას ამოცანა—გავგზავნოთ ჩაის ფრონტზე ჩვენი საუკეთესო ძალები და განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ჩაის კულტურის დარგში განზრახულ სამუშაოების განხორციელებას. 1932 წელს ჩვენ ახლად უნდა გავაშენოთ 20.000 ჰექტარი ჩაი, ჩაის ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოარკვიონ იმ პლანტაციების რაოდენობა, რომლებიც მოითხოვენ აღდგენას. 1932 წლის განმავლობაში 20.000 ჰექტარი ჩაის გეგმის აუცილებლად შესრულების გარდა, ჩვენ უნდა მივაღწიოთ წინად გაშენებულ პლანტაციების სრულ რემონტს.

საკურორტო მშენებლობა

სოციალისტური მშენებლობის წარმატებები, მუშათა კლასის ზრდა და მისი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება აყენებენ ჩვენი კურორტების კეთილმოწყობის და გაფართოების გადაუდებელ ამოცანას.

საქართველოს თავისი კლიმატიური თავისებურებით, ბუნებრივი სიმდიდრეებით და სამკურნალო წყლებით უდიდესი შესაძლებლობები აქვს ამ მხრით.

ამჟამად საქართველოში არის 44 კურორტი, მათ შორის: საკავშირო მნიშვნელობის კურორტები—6, რესპუბლიკანური მნიშვნელობის კურორტები—12, ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები—26.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის განმავლობაში ჩვენ თითქმის 14-ჯერ გავადიდეთ საწოლების რაოდენობა კურორტებზე.

თუ 1924 წ[illegible] საქართველოს საკურორტო მშენებლობაში სულ დაბანდებული იყო 186.000 მანეთი, 1931 წელს დაბანდებული თანხის რაოდენობამ უკვე 2.318.000 მანეთს მიაღწია.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა:

არსებული ცნობებიდან სჩანს, რომ ჩვენ ძლივს ვიყენებთ იმ ბუნებრივ შესაძლებლობათა ერთ მეათედს, რომლებიც მოეპოვება საქართველოს საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის კურორტებს.

ამასთან საჭიროა აღინიშნოს საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების შედარებით უმნიშვნელო მონაწილეობა ჩვენი კურორტებით სარგებლობის საქმეში. 42.700 ავადმყოფიდან, რომლებმაც ისარგებლეს ბორჯომის, აბასთუმნის, წყალტუბოს და ქობულეთის კურორტებით, საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებზე ძლივს მოდის 25 პროცენტი (10.000 ავადმყოფი).

ამავე დროს საქართველოს კურორტები არამც თუ არ ჩამოუვარდებიან საბჭოთა კავშირის სხვა კურორტებს, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში თავისი ღირსებით სჯობნიან ევროპის საუკეთესო კურორტებს, რომლებიც განთქმულნი არიან მთელს მსოფლიოში.

საქართველოს კურორტებს აქამდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. მეფის მთავრობა აშენებდა მათ მეფის გვარეულობის ცალკე წევრების კაპრიზების მიხედვით (აბასთუმანი, ბორჯომი), ხოლო მენშევიკები ნაკლებად ზრუნავდენ მუშათა მასების ჯანმრთელობაზე და არაფერი არ გაუკეთებიათ კურორტების კეთილმოწყობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის განმავლობაში საქართველოს კურორტების კეთილმოწყობისათვის დაბანდებული იყო 1.677.500 მანეთი.

ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში საკურორტო მშენებლობისათვის გადადებულ მეტად მცირე თანხებიდან გამოყენებულ იქნა სულ 20 პროცენტი.

აქ ადგილი აქვს საკურორტო მშენებლობის, როგორც საკავშირო მნიშვნელობის მქონე ობიექტის—აშკარა ოპორტუნისტულ შეუფასებლობას.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი თავის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში ჩვენს წინაშე აყენებს შემდეგ ამოცანებს საკურორტო მშენებლობის დარგში:

„დაევალოს ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს და საქართველოს ც. კ-ს დაამუშაონ ამიერ-კავკასიაში საკურორტო საქმის ყოველნაირად განვითარების და ამიერ-კავკასიაში ამ მხრით არსებულ უმდიდრეს შესაძლებლობათა გამოყენების კონკრეტული გეგმა.

წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს და ნაცკომპარტიების ც. კ-ებს, პირველ რიგში კი საქართველოს ც. კ-ს, განამტკიცონ საქართველოს საკურორტო მეურნეობის გაერთიანების ხელმძღვანელობა და ამ გაერთიანების ხელმძღვანელობით მოაწყონ სპეციალური [illegible] სანატორიუმების მშენებლობისათვის. კერძოდ, წინადადება მიეცეს [illegible] საქართველოს [illegible] 1932 [illegible] სანატორიუმების და [illegible] სახლების მშენებლობა ამიერ-კავკასიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან კურორტებზე (წყალტუბო, აბასთუმანი, ბორჯომი, შავი ზღვის ნაპირები").

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 22.

ჩვენი ღონისძიებანი

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ძირითადათ დავსვით საკურორტო მშენებლობის საკითხები და დავაყენეთ ეს საკითხები ჩვენი მუშაობის უმნიშვნელოვანეს ობიექტების გვერდით. დასახულია, დამუშავებულია და უკვე დაწყებულია ცენტრალური კომიტეტის მიერ ღონისძიებათა მთელი პროგრამის რეალური განხორციელება საკურორტო მშენებლობაში.

საქართველოს რესპუბლიკის და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების ყველა ის კურორტები გაერთიანებული იქნება ერთ ორგანიზაციაში სრულიად საქართველოს საკურორტო სამმართველოს სახით.

საკურორტო მშენებლობის საწარმოებლად, თანახმად ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, მოწყობილია სააქციო საზოგადოება „საქსკმშენი".

მიღებულია ზომები, რომ საქართველოს კურორტების მშენებლობაში სააქციო საფუძველზე მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირის დანარჩენმა რაიონებმაც.

1932 წელს საქართველოს საკურორტო მშენებლობაში განზრახულია დაბანდებულ იქნას:

საქართველოს საკურორტო სამმართველოს ხაზით 49.499.300 მანეთი

საბჭოთა კავშირის ცენტ. დამზღვევ სამმართველოს ხაზით 11.750.000 მანეთი სულ 61.249.300 მანეთი.

იმ რვა მილიონ მანეთთან შედარებით, რაც დაბანდებული იყო საკურორტო მშენებლობაში საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების მომენტიდან მთელი ხნის განმავლობაში.

საქართველოს საკურორტო ფონდი დიდდება 4.100 საწოლით, ე. ი. რვა პროცენტით. მუშაობა იმ ვარაუდით იწარმოებს, რომ მშენებლობის ძირითადი ობიექტები მზად იყოს უკვე 1932 წლის დამლევისათვის.

დაახლოებით 25 მილიონი მანეთი დაიხარჯება კურორტების კეთილ მოწყობის ხაზით.

რადგან საკურორტო მშენებლობას მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ვახდენთ მის გარშემო მთელი ჩვენი პარტიის და საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაციას.

საქართველო უნდა გადაიქცეს სრულიად საკავშირო ჯანმრთელობა — სიხალისის კერად. ჩვენ ამას შევასრულებთ.

ნავთის შესახებ

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტსა და რესპუბლიკანურ ცენტრალურ კომიტეტების მოხსენების გამო ნათქვამია შემდეგი:

„ცენტრალური კომიტეტი სრულიად დაუშვებლად სთვლის, რომ საქნავთმა, რომელსაც სამეურნეო განვითარების სერიოზული პერსპექტივები აქვს, აქამდე ვერ მიიქცია ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და და საქ. ცენტრალურ კომიტეტის საჭირო ყურადღება.

დაევალოს ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქ. ცენტრალურ კომიტეტს, რათა საბჭოთა კავშირის ს. მ. უს-თან ერთად დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას საქნავთის სათანადო სამეურნეო ხელმძღვანელობა, საქნავთის მომარაგება მოწყობილობით და კვალიფიციური ადმინისტრატიულ-ტეხნიკური მუშაკების საჭირო კადრებით, იმ პირობით, რომ 1932 წელს უკვე დაწყებულ იქნას სამრეწველო ამოღება". ამ დადგენილების მიხედვით ჩვენ მტკიცედ მოვკიდეთ ხელი საქნავთის საკითხებს.

იმისათვის, რომ გამოგვერკვია მდგომარეობა ადგილებზე, რომ გაგვეგო რა არის იქ და რა არ არის გასაკეთებელი, ჩვენ მოგვიხდა სპეციალური კომისიის გაგზავნა შირაქში აზნავთის საუკეთესო სპეციალისტების, პასუხისმგებელი მუშაკების და სხვების მონაწილეობით.

რა გამოარკვია ამ კომისიამ?

კომისიის მასალამ ყოველი ეჭვის გარეშე გამოარკვია, რომ რაიონი (საქნავთი) მეტად სერიოზული ყურადღების ღირსია და მოეპოვება მას ყველა საჭირო პირობები ნავთის სამრეწველო ამოღების განვითარებისათვის.

ამგვარად, საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სრულიად სწორად ამახვილებს ყურადღებას საქნავთის მუშაობაზე, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს ჩვენი სამეურნეო ამოცანათაგანის გარშემო.

იმ დროს, როდესაც საქნავთის განვითარებას მეტად მდიდარი პერსპექტივები მოეპოება, მეტის-მეტად ცოტა არის გაკეთებული ამ პერსპექტივების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

კომისიის მასალა აშკარავებს საკმაოდ უნუგეშო მდგომარეობას სარეწაოებში.

ტრესტის გეგმა საერთოდ შესრულებულია 42,9 პროცენტით.

ამასთან თვითეულ მეტრის გაბურღვის თვითღირებულება 74 პროცენტით აღემატებოდა გეგმის ვარაუდებს.

საქართველოს ნავთის მუშაობაში ღრმა ჩავარდნების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ტრესტის მიერ სრულიად არა დამაკმაყოფილებელი პოლიტიკური, სამეურნეო და ტეხნიკური ხელმძღვანელობის გაწევა.

არის შემოღებული სამეურნეო ანგარიში. განუკითხავად ბატონობდა გაუპიროვნება.

თითქმის არაფერი იყო გაკეთებული გათანასწორების ლიკვიდაციისათვის, მოიკოჭლებდა დისციპლინა: ათი თვის განმავლობაში დაიკარგა გაცდენის გამო 10.342 დღე, რაც მუშების მცირე რაოდენობასთან შედარებით, მეტად საგრძნობ ციფრს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს მუშების სრულიად არადამაკმაყოფილებელი საბინაო-საცხოვრებელი პირობები: სარეწაოს მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ მოდის 3,3 კვადრატიული მეტრი საცხოვრებელი ფართობი (მირზაანის სარეწაოებში კი 2,5 მეტრიც კი).

ცუდი მდგომარეობაა კადრების მხრივ. არ მოიპოვებოდა კვალიფიციური მუშებისა და კარგი სპეციალისტების საკმაო რაოდენობა. ცუდი მდგომარეობაა ტრანსპორტის დარგშიაც ხოლო კიდევ უფრო მწვავედ სდგას გზების საკითხი, და ელექტროენერგიის მიწოდების საკითხი.

აი, საერთოდ, ის, რაც ჩვენ გვაქვს საქნავთში ცენტრალური კომიტეტის ცნობის მიხედვით.

ჩვენი ღონისძიებანი ნავთის დარგში

ცენტრალურ კომიტეტის ბიურომ და ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა, მოისმინეს რა კომისიის მოხსენება, დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი.

კომისიის ცნობებისა და პროფესორ გუბკინის დასკვნის მიხედვით 1932 წლისათვის მიღებულია ბურღვის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 47,771 მეტრის გაბურღვას, აქედან: საძიებელი ბურღვა—36.711 მ. და საექსპლოატაციო—10.950 მეტრი. საერთო კაპიტალური დაბანდება 1932 წლისათვის შეადგენს 20-21 მილიონ მანეთს.

განახლებული იქნება ტრესტის მთელი ხელმძღვანელობა, განახლდება და განმტკიცდება ძირითადი კადრები.

განზრახულია საბინაო მშენებლობის გაშლა 15.000 კვადრ. მეტრის ფარგლებში, გარდაიქმნება პარტიული მუშაობა.

ყოველგვარი ზომები იქნება მიღებული იმისათვის, რომ ამხ. **სტალინის** ექვსი პირობა შესრულდეს.

დიდი მუშაობა იქნება გაწეული გზების გასასწორებლად და ახალი გზების მშენებლობისათვის, აგრეთვე მისასვლელი გზების გასაყვანად, საწყობების ასაგებად და სხვ. სარეწაოების წყლით უზრუნველსაყოფად საჭირო იქნება შირაქის წყალსადენის მშენებლობის დაჩქარება, რის შესახებ საკითხი უკვე დასმულია ცენტრში.

მაგრამ მთავარ საკითხს წარმოადგენს ტეხნიკური მომარაგება. უწინარეს ყოვლისა კი მილები. ზოგ რამეს ჩვენ, რა თქმა უნდა, მივიღებთ აზნავთისაგან, მაგრამ ამაზე დიდი იმედი არ უნდა დავამყაროთ.

მაქსიმალური შესაძლებლობანი უნდა გამოვიყენოთ საქნავთის განვითარებისათვის.

ნავთი არის, იგი ამოღებული იქნება.

აი, ამხანაგებო, ის მთავარი საკითხები, რომლებზედაც ჩვენ ვმუშაობდით ამ ორი თვის განმავლობაში.

საქართველოს კომპარტიის წინაშე დასახული ამოცანები რა თქმა უნდა არ ამოიწურება ამით.

საქართველოს კომპარტიის ამოცანები

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება წარმოადგენს საქართველოს კომპარტიის წინაშე დასახულ ამოცანათა გაშლილ კონსპექტს. იგი წარმოადგენს ჩვენი მოქმედების პროგრამას. ყველაზე უფრო მთავარი, რაც უნდა გავაკეთოთ ჩვენ პირველ რიგში—ეს არის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომების გადაჭრით გამოსწორება. ზოგი რამ ჩვენ უკვე გავაკეთეთ როგორც დაინახეთ ჩემი მოხსენებიდან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

მოგვიხდება დიდი მუშაობის გაწევა.

ამასთან ჩვენ უნდა ავინაზღაუროთ დანაკლისი და მხედველობაში მივიღოთ ჩვენი თავისებურებანი, არ უნდა შევანელოთ ტემპები, მაგრამ არ უნდა გამოვედევნოთ გაბერილ ციფრებს, ამავე დროს არ უნდა გადავეშვათ ნელი ტემპებისა და მცირე გეგმების მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკაში

მრეწველობის დარგში უნდა ავიღოთ კურსი ჩვენი ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაციაზე, კურსი საქართველოს სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად გადაქცევაზე. ძველი ხელმძღვანელობა საკმაო ყურადღებას არ აქცევდა მრეწველობის საკითხებს. ამას მოწმობს ახალ მშენებლობათა გაჭიანურება.

თბილისში ლითონის ქარხნის აგების საკითხი აღიძრა 1926 წელს, მშენებლობა დაიწყო 1928 წელს და მხოლოდ მიმდინარე წელს ამუშავდება იგი.

თბილისის მაუდის ფაბრიკა შენდებოდა 4 წელიწადს.

იგივე ითქმის სახურავი ფიქალის წარმოებაზეც.

ინგურის ქაღალდის ფაბრიკაზე დაიხარჯა 2 ნახ. მილიონი მანეთი, შემდეგ მშენებლობა შეჩერდა და მხოლოდ ეხლა განახლდა.

1928 წლიდან მოყოლებული არა ერთხელ ყოფილა დასმული თბილისში ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის აშენების საკითხი, მაგრამ ეს საკითხი ყოველთვის გადაიდო.

ასეთ ტემპებს არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ბოლშევიკურ ტემპებთან.

ჩვენ ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი მძიმე ინდუსტრიის განვითარებას მოცემულ გეგმების ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშაობის ხარისხს, წარმოების მექანიზაციას და ამხ. **სტალინის** ექვსი მითითების რეალიზაციას.

ელექტროფიკაციის შესახებ. ჩვენ გვაქვს ჰიდრორესურსების დიდძალი მარაგი, რომლის საშუალო წლიური სიმძლავრე, უკანასკნელი გამოანგარიშების მიხედვით, უდრის 14 მილიონ ცხენის ძალას (16 დნეპრომშენი).

იაფი ჰიდროენერგიის მარაგი ელექტროტევად საწარმოთა აშენების ფართო პერსპექტივებს შლის ჩვენს წინაშე. (ფეროშენადნობი, ალიუმინი და სხვ.), ამასთან შესაძლებელი იქნება ჭარბი ენერგიის მიწოდება საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისათვის.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში (1927-31 წლები) ჩვენ ელექტრო ჰიდროენერგიის გამომუშავება გავადიდეთ 21 მილიონ კილოვატ საათიდან 75 მილიონამდე, ე. ი. სამნახევარჯერ უფრო მეტად.

მიმდინარე წელს ამუშავდება რიონჰესის პირველი რიგი და ზაჰესის მეორე რიგი, ამასთან დაკავშირებით გატარდება სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია სტალინისსა და ზესტაფონს შორის.

წელს დაიწყება დიდი ელსადგურის მშენებლობა მდინარე ხრამზე (სამი საფეხურით—192 ათასი ცხენის ძალა) და თბოსადგურის მშენებლობა ტყვარჩელის ქვანახშირზე.

გეოლოგიური კვლევა-ძიება

ცუდათ არის ჩვენში გეოლოგიური კვლევა-ძიების საქმე. ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში დიდძალი მადნეული მოიპოვება.

საქართველოს ბევრ რაიონში არის სპილენძის, ტყვიის, თუთიის, ვერცხლის და ოქროს (ბორჩალო, სვანეთი) საბადოები, რკინის მადანის საგრძნობი რაოდნობა, იშვიათი ლითონები, როგორიცაა მოლიბდენი და სურმა, ალიუმინის მადანი გურიასა და აჭარისტანში, ქვანახშირი ახალციხეში, ალმადანი, ტალკი, აზბესტი, ალებასტრი, მარმარილო, ტორფი და სხვ.

უკანასკნელ დრომდე ყველა ამ სიმდიდრის თითქმის სრულიად არ შეხებია გეოლოგიური კვლევა-ძიება. ამ სიმდიდრის შესახებ უმთავრესად ცნობებს ვკრებთ ძველი მასალებიდან.

ხუთი წლის განმავლობაში (1926-30 წ წ.) ყველა საძიებელ სამუშაოებზე სულ დაიხარჯა 441 ათასი მანეთი. ამ თანხით მარტო ერთი ობიექტის (მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირის) სავსებით გამოკვლევის უზრუნველყოფაც კი არ შეიძლება. 1931 წელს საძიებელ სამუშაოებზე დაიხარჯა 1. 300.000 მანეთამდე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებით ჩვენს წინაშე დასახა ამოცანა—„ფართოდ განვავითაროთ სამთა-მადნო მრეწველობა".

წელს გაიშლება პირველად შედარებით ფართოდ გეოლოგიური საგამოკვლევო მუშაობა მთელ რიგ რაიონებში: გამოკვლეული იქნება ჩათახის, დღვდორაკის, რაჭის და აჭარისტანის რკინის მადანი, ტყვია და თუთია (სამხრეთ-ოსეთი, აფხაზეთი, ზემო-რაჭა), ქვანახშირის საბადოები (ახალციხე, ბზიბი, მაგანა, ჭალა), ალმადანი (ოზურგეთი), ალიუმინი (აჭარისტანის ლატერიტები), მოლიბდენის (იშვიათი ლითონის) საბადოები და მთელი რიგი სხვა ძვირფასი მადნეული. 1932 წლის საძიებელ სამუშაოებისათვის გადადებულია დაახლოებით 3 ნახ. მილიონი მანეთი.

ნავთის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე და ამიტომ გადავალ ტრანსპორტის საკითხებზე.

რკინის გზის ტრანსპორტი

საკ. კ.პ. (ბ) ც.-კ-ტის ჯერ კიდევ ივნისის პლენუმმა, რომელმაც, ჩვენი რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობაში, კერძოთ ტვირთზიდვის ხაზით საგრძნობი მიღწევების დადასტურებასთან ერთად, აღნიშნა მთელი რიგი დეფექტები, რასაც ხაზი გაუსვა საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ტის ოქტომბრის პლენუმმაც:

„ძირითად დეფექტებად რკინისგზის ტრანსპორტის მუშაობაში, ნათქვამია ოქტომბრის პლენუმის რეზოლიუციაში,—კვლავ რჩება: გაუპიროვნება და უპასუხისმგებლობა, რაც ჯერ სრულიად არ არის აღმოფხვრილი რკ. გზის ორგანოების მუშაობაში, დაწყებული ძირეული რგოლებით და გათავებული გზათა სახალხო კომისარიატით; არ სწარმოებს ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა გაწყვეტილებული სვლის ჩაშლასთან ორთქლმავლებზე; ვერ იჩენენ უნარს გამოიყენონ შინაგანი რესურსები და მიაღწიონ უსასტიკეს ეკონომიას საშუალებების და მასალების ხარჯვაში".

ეს დადგენილება მთლიანად შეეფარდება ამიერ-კავკ. რკინის გზების საქართველოს ხაზსაც.

1-ლი და მე-2 საექსპლოატაციო რაიონის პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებსაც აქვთ მთელი რიგი უდაო მიღწევები საორთქლმავლო პარკის გაჯანსაღების, ტვირთზიდვისა და ტრანსპორტის ძირითადი საექსპლოატაციო მაჩვენებლების შესრულების დარგში, მაგრამ სამუშაოთა საერთო მდგომარეობა ამ რაიონებში ჯერ-ჯერობით ვერ უზრუნველყოფს საკ. კ.პ. (ბ) ც.-კ-ტის ივნისის და ოქტომბრის პლენუმების დირექტივების განხორციელებას. ასე, ტვირთზიდვის გეგმა არ სრულდება. აქ დამნაშავეა არა მარტო თვითონ გზა, არამედ უეჭველად მისი კლიენტურაც, რომელიც არარეალურ მოთხოვნებს ადგენს და უშვებს შემხვედრ ტვირთზიდვას.

განსაკუთრებით არაჯანსაღ მოვლენად რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობაში უნდა ჩაითვალოს თვალის ახვევა, ე. ი. აშკარად არასწორი ცნობების წარდგენა გზის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების შესახებ.

ასე, 1-ლი საექსპლოატაციო რაიონის მუშაობაში საქართველოს კ.პ. (ბ) ც.-კ-ტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ აღმოაჩინა, რომ:

1. შესრულებული მუშაობის შესახებ სადისპეტჩერო გრაფიკებში სისტემატიურად შეჰქონდათ არასწორი ცნობები, რომლებიც არ შეეფარდებოდა მატარებლების ფაქტიურ მოძრაობას.
2. დაზიანებული ორთქლმავლების პროცენტს ხელოვნურად ნაკლებს უჩვენებდნენ.
3. ადგილი ჰქონდა გაწყვეტილებული სვლის ჩაშლას.

რაიონის ცნობებით, სამტრედიის დეპოს მიერ გაწყვეტილებული სვლის გეგმა 1931 წლის სექტემბერში შესრულდა 97,9 პროცენტით, ოქტომბერში—98,4 პროცენტით, შემოწმების დროს კი აღმოჩნდა, რომ საშუალო შესრულება უდრის 40,8 პროც.

ანალოგიური მდგომარეობაა 1-ლი რაიონის სხვა დეპოების მუშაობაში და მე-2 რაიონში.

სარემონტო ქარხნის მუშაობაში უნდა აღინიშნოს ერთგვარი გაუმჯობესება ორთქლმავლების და ვაგონების რემონტის მხრით.

მოძრავი შემადგენლობის სარემონტოდ გაცდენა ჯერ კიდევ ჩამორჩება დაწესებულ ნორმებს.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოთა მდგომარეობა

უდიდესი მნიშვნელობა რკინის გზის ტრანსპორტის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში აქვს საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციას. 1931 წლის ივნისამდე სამუშაოთა მდგომარეობა იქ არ იყო დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

ივლისიდან არსებითი გარდატეხა დაისახა. მუშაობის ტემპები საგრძნობლად გადიდდა, მოეწყო დამკვრელი ბრიგადები, გაიშალა მუშაობა მუშების ჩასაბმელად სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში, აყენებდნენ შემხვედრ გეგმებს და სხვ.

ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოები, სტალინისის სადგურის და გადაცემის ხაზის მონტაჟის გარდა, უნდა დამთავრდეს 1932 წლის 1-ლი კვარტალის განმავლობაში.

საერთო ჩამორჩენა, რასაც წარსულში ადგილი ჰქონდა, იმით აიხსნება, რომ მომარაგების ცენტრალური სამმართველო და გზათა სახ. კომისარიატის ელექტროფიკაციის სამმართველო აგვიანებდნენ შეკვეთილი საქონლის ჩაბარებას და საკავშირო ელექტროგაერთიანებამ ვერ უზრუნველჰყო მანქანების საძირკვლის პროექტების შედგენა.

შემდგომი ჩვენი ამოცანები ტრანსპორტის გაჯანსაღების დარგში იგივეა, რაც აღნიშნულია საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებაში.

თქვენ მათ იცნობთ. მათზე არ შევჩერდები. ჩვენ გადაუხრელად უნდა ვიბრძოლოთ ამ ამოცანების რეალიზაციისათვის და, გარდა ამისა, უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ:

დაწესებული ვადისათვის დავამთავროთ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოები, ჩავატაროთ გზის რეკონსტრუქცია და შევასრულოთ მოსამზადებელი სამუშაოები, რომ 1933 წლისათვის მოხდეს ნავთლუღ- სტალინისის-ზესტაფონ-სამტრედიის და ნავთლუღ-აქსტაფის უბნების სრული ელექტროფიკაცია, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებასთან შეფარდებით.

შავი ზღვის რკინის გზა და ტყვარჩელის შტო

როგორც განსაკუთრებული ამოცანა, ჩვენს წინაშე სდგას შავი ზღვის რკინის გზ. მშენებლობა. ეს მშენებლობა, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო, ხოლო 1918 წელს მიტოვებულ იქნა, განახლდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, 1926 წელში. ამ ხნის განმავლობაში გზა გაყვანილ იქნა და მოძრაობა გაიხსნა 56 კილომეტრის მანძილზე (ახალსენაკიდან გალის სადგურამდე).

მაგრამ ეს, რათქმა უნდა, საკმარისი არ არის. საჭიროა მივაღწიოთ მშენებლობის ტემპის გაძლიერებას იმ ანგარიშით, რომ მიმდინარე წელს გზა მივიყვანოთ ოჩემჩირემდე, კვეზანის შტოს გაყვანის (ტყვარჩელის ქვანახშირის გამოსატანად), და შემდეგ სოხუმამდე. გზის გაყვანილი ხაზის ექსპლოატაციამ კი გვიჩვენა მისი სრული რენტაბელობა, რომელმაც ბევრად გადააჭარბა ცენტრალური ორგანიზაციების ეკონომიურ ვარაუდებს. ასე, გზის საანგარიშო ცნობებით, 1929-30 წელს სამგზავრო და საქონლის მატარებლების მოძრაობის ინტენსიობა შესაბამისად 3 და 8-ჯერ აღემატებოდა გზათა სახალხო კომისარიატის ვარაუდს.

ამიერ-კავკ. რკინის გზის მშენებლობის სამმართველომ, რომელიც ამ მშენებლობას ახორციელებს, უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური ინიციატივა ადგილობრივი სამშენებლო რესურსების მობილიზაციის საქმეში (გარდა ცენტრალური მომარაგებისა), რაშიაც მას უნდა დაეხმარონ ჩვენი სათანადო ორგანიზაციებიც.

გზატკეცილები

ტვირთ-ზიდვისა და მგზავრთა მიმოსვლის სწრაფი გადიდება, რაც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან, ინდუსტრიალიზაციასთან, საკურორტო მშენებლობის გაშლასთან და სხვ., მოითხოვს საგზაო მშენებლობის ფართოდ გაშლას, რადგან ეს მშენებლობა ჩამორჩება საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებს.

საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების საერთო მანძილი უდრის 1.438 კილომეტრს აქედან 300 კილომეტრამდე გაუვალ მდგომარეობაშია,

უფრო ცუდ მდგომარეობაშია რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზები. 764 კილომეტრიდან გავლა არ შეიძლება დაახლოებით 200 კილომეტრზე.

სამეურნეო მნიშვნელობის (ნავთი, ბამბა, ჩაი, მინერალური მადანი და სხ.) გზებისათვის 1931 წელს განზრახულ დაბანდებიდან —2.317 ათას მანეთიდან გამოყენებულია— 1.369.000 მანეთი, ე. ი. 59 პროცენტი და შესრულებულია ამ თანხის სამუშაოები.

კაპიტალური დაბანდების საერთო ჯამი 1931 წლის გეგმით უდრის 7.742.000 მანეთს. გადადებული თანხა სავსებით გამოყენებულია, მაგრამ საწარმოო დავალებანი შესრულდა მხოლოდ 80 პროცენტით.

სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, რომელთა მანძილი უდრის 6.500 კილომეტრს. რაიონული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ამ გზების მშენებლობის საკითხებს, რაც ხდება შრომის და ხაზინის ბეგარის საფუძველზე (კასპი, გურჯაანი, წალკა, თბილისი, აფხაზეთი, აჭარისტანი და სხვ.).

1931 წელს რაიონული მნიშვნელობის გზებისათვის გათვალისწინებულ 2.500.000 მანეთიდან მიღებულ იქნა მხოლოდ 700.000 მანეთი.

ჩვენი ამოცანები

1932 წელს უნდა მივაღწიოთ 1931 წელს დაწყებული გზების მშენებლობის დამთავრებას და რიგიან მდგომარეობაში მოვიყვანოთ უმნიშვნელოვანესი გზები. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია: ზემო-სვანეთის, სურამ-ძირულას, ოსეთის სამხედრო გზა, ზეკარის სამხედრო გზა და გორი-ცხინვალი-ჯავის გზა. გზების სათანადო ქსელით უნდა უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობის ის დარგები, რომლებიც ახლად ვითარდება (ჩაი, ბამბა, ნავთი, მინერალური სიმდიდრე, კურორტები და სხვ.).

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს თბილისის გარშემო არსებულ გზებს. საქართველოს და ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქს უნდა ჰქონდეს ისეთი გზები, რომლებიც იდგომება საგზაო მშენებლობის თანამედროვე მიღწევების დონეზე.

კომუნალური მეურნეობა

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ტის ივნისის პლენუმმა, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქალაქო მეურნეობაში მიღწეული წარმატებანი, ამასთან ერთად თავის დროზე და სწორად მიგვითითა ამ მშენებლობის ჩამორჩენაზე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან.

ამის მიხედვით საკ. კ.პ. (ბ) ც.კ-ტი ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების წინაშე საბრძოლო ამოცანად სახავს მიღწეულ იქნას: „საქალაქო მეურნეობის საერთო განვითარებისაგან ჩამორჩენის უსწრაფესი ლიკვიდაცია და გადამწყვეტი გარდატეხა მისი განვითარების ტემპებში".

ეს ამოცანა ჩვენს წინაშეც სდგას.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ჩვენ გვაქვს საგრძნობი მიღწევები საქართველოს კომუნალურ მეურნეობაში.

მოვიყვან რამოდენიმე ციფრს.

ასე, თბილისში: თუ ტრამვაის გზის სიგრძე 1921 წელს უდრიდა 30 კილომეტრს, 1931 წელს უკვე აღწევდა 68 კილომეტრს; გადაყვანილ მგზავრების რიცხვი 1921 წელს შეადგენდა 6 მილიონ კაცს, ხოლო 1931 წელს უკვე—105 მილიონ კაცს; ელექტრონის ენერგიის აბონენტების რიცხვი 1920 წელს უდრიდა 5.000 კაცს, ხოლო 1931 წელს—42.000-ს; ენერგიის გასავალი ერთ კაცზე 1922—23 წელს შეადგენდა 7,1 კილოვატ საათს, 1931 წელს კი—152 კილ. საათს.

წყალსადენის ქსელის სიგრძე თუ 1921 წელს უდრიდა 126 კილომეტრს, 1931 წელს იგი აღწევდა 200 კილომეტრს, ამასთან გაფართოება ხდებოდა, უმთავრესად, მუშათა რაიონებში. შენდება ახალი წყალსადენი, ნატახტარის წყალსადენი. წარმოებს თბილისის ხელახლად დაგეგმვა და სხვ.

რესპუბლიკების სხვა ქალაქებშიც ადგილი აქვს საგრძნობ მიღწევებს კომუნალური მშენებლობის დარგში (ელექტროქსელის მშენებლობა ფოთში, ქუთაისში, სენაკში, თბოსადგურების გაფართოება ბათომში, სოხუმში და სხ.).

გაფართოებულია წყალსადენები ბათომში, სოხუმში, დაწყებულია ქუთაისის წყალსადენის მშენებლობა. ნაწილობრივ დამთავრებულია წყალსადენი ცხინვალში, შენდება წყალსადენი ახალქალაქში, ფართოვდება ახალციხის წყალსადენი და სხვ. სწარმოებს კანალიზაციის მშენებლობა ბათომსა და სოხუმში.

მაგრამ, მიუხედავად ამ მიღწევებისა, კომუნალური მშენებლობის ზრდა ჩვენში საგრძნობლად ჩამორჩება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს, პირველ რიგში—მრეწველობას.

ასე, მიმდინარე ხუთწლედის კაპიტალური დაბანდების მთელი ჯამიდან—591,5 მილიონი მანეთიდან—მრეწველობის წილად მოდის 156,5 მილიონი მანეთი, ანუ 26 პროც. ხოლო კომუნალურ-საბინაო მშენებლობაზე —სულ 90,6 მილიონი მანეთი, ან 15,3 პროცენტი.

კომუნალური და საბინაო მშენებლობის ეს ჩამორჩენა ქალაქის მუშათა მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ცხადია, გამოხატულებას ჰპოულობს კომუნალური მომსახურეობის არასაკმაო დონეშიც და იწვევს მის ჩამორჩენას მუშათა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მოთხოვნილებისაგან, რომელიც იზრდება.

აქ საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს ჩვენი საქალაქო საბჭოების და სხვა ორგანიზაციების არასაკმაო მუშაობა კომუნალური და საბინაო მშენებლობის დარგში.

1931 წლის გეგმის შესრულება, მაგალითად, საქართველოში გამოიხატება 65,1 პროცენტით (15.077 ათასი მანეთის ნაცვლად, დამრგვალებული ციფრებით, საბინაო მშენებლობის ხაზით გეგმა შესრულებულია 52,1 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული იყო 18.825 ათასი მანეთი, შესრულებულია 9.918 ათასი მანეთის სამუშაო).

ამის შედეგად ისეთი უმნიშვნელოვანეს ნაგებობათა მშენებლობის დამთავრება, როგორიცაა ნატახტარის წყალსადენი თბილისში ქუთაისის წყალსადენი და სხვ., გადატანილია 1932 წლისათვის.

ჩვენი ამოცანები

„ამჟამად, აღდგენითი პროცესის დამთავრებასთან ერთად, იქ, სადაც საქალაქო მეურნეობა ჯერ კიდევ არ არის სავსებით აღდგენილი, მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაიშალოს მუშაობა საქალაქო მეურნეობის გაფართოებისა, გარდაქმნისა და განვითარებისათვის იმ მოთხოვნებთან შეფარდებით, რომლებსაც ახლა აყენებენ ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპები, ქალაქის მოსახლეობის გადიდება, მშრომელთა ფართო მასების საყოფაცხოვრებო და კულტურული მოთხოვნილების ზრდა" (საკ. კ. პ. (ბ)) ც. კ.-ტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან).

1932 წელს კომუნალური და საბინაო მშენებლობისათვის საქართველოში დაიხარჯება 37.500 ათასი მანეთი (კომუნალურზე — 17.500 ათასი მანეთი, საბინაოზე — 20 მილ. მან.).

მთავარ სამუშაოებიდან, რომლებიც მიმდინარე წელს უნდა განხორციელდეს, საჭიროა აღინიშნოს:

1) ნატახტარის (თბილისში) და ქუთაისის წყალსადენების დამთავრება.

2) ჩვენი ტრამვაის გაფართოება და მისი მოძრავი შემადგენლობის გადიდება, აგრეთვე საავტომობუსო მოძრაობის გადიდება.

3) საკანალიზაციო მშენებლობის დამთავრება ბათომსა და სოხუმში.

4) აბანოების მეურნეობის გაუმჯობესება ახალი აბანოების მშენებლობით თბილისში, ქუთაისში, ბათომში, სოხუმში, სტალინისში.

5) ქუჩების კეთილმოწყობის გაუმჯობესება თბილისში, მადათოვის კუნძულის კეთილმოწყობა, ნარგავების მძლავრი რკალის შექმნა, ტყის გაშენება და კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობა მტკვრის ორივე მხარეზე.

ამ ამოცანებს ჩვენ განვახორციელებთ, თუ ყურადღებას მივაქცევთ მასალის მომარაგების საკითხის მოწესრიგებას. უნდა გავატაროთ ივნისის პლენუმის გადაწყვეტილება დეფიციტური საშენი მასალის უფრო იაფი და რაციონალური საშენი მასალით შეცვლის შესახებ.

უნდა განვავითაროთ ხის წყალსადენი მილების წარმოება დეფიციტური თუჯის მილების ნაცვლად.

უნდა შევავსოთ და გავაძლიეროთ კომუნალური მეურნეობის ორგანოები სათანადო კვალიფიციური მუშაკებით, შევქმნათ სასწავლებლების ქსელი კომუნალური მეურნეობის სისტემაში (ტეხნიკუმები, საფაბრიკო - საქარხნო სკოლები და სხ.).

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჩვენს სამრეწველო ქალაქებს, სადაც მუშათა კლასის ხვედრითი წონა ყოველწლიურად იზრდება, და ახალ სამრეწველო კერებს არსებული ქალაქების ზოლის გარედ (კასპი, შირაქი, ტყვარჩელი, ანდეზიტი და სხ.).

ამოცანები სოფლის მეურნეობაში

სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენს წინაშე, ამხანაგებო, დგანან უაღრესად სერიოზული ამოცანები. ამაზე ბევრი ითქვა. მე მხოლოდ რამოდენიმე შენიშვნით დავკმაყოფილდები. ჩვენ, ამხანაგებო, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის მარტო ტეხნიკური მხარით გატაცებას საკმაო პოლიტიკური მოსამზადებელი მუშაობის ჩაუტარებლად შეუძლებელია გამოიწვიოს მეტად სერიოზული შეცდომები. ამ დებულებით უნდა ვიხელმძღვანელოთ მთელს ჩვენს მუშაობაში, პირველ ყოვლისა — კოლექტივიზაციის დარგში. აქ ჩვენს წინაშე ძირითადი ამოცანაა — არსებულ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება და ამ საფუძველზე კოლექტივიზაციის შემდგომი ზრდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ტის, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ტის მითითებათა ფარგლებში ადგილებზე არსებულ რეალურ შესაძლებლობათა აღნუსხვით.

ამ მუშაობაში მთელ საკოლმეურნეო სისტემას არსებითი დახმარება უნდა აღმოუჩინონ სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომელნიც წარმოადგენენ სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის და კულტურულ რევოლიუციის ნამდვილ კერებს სოფლად.

დამზადებათა და კონტრაქტაციის ხაზით ჩვენი მუშაობის სისწორეს გაადვილებს მათდამი მტკიცე კლასობრივი მიდგომა. დაპირებანი, რომლებსაც გლეხობას ვაძლევთ, აუცილებლად უნდა შესრულდეს მთლიანად და ვადაზე. ეს ერთბაშად გააუმჯობესებს დამზადებათა მიმდინარეობას და ხელს შეუწყობს მათი გადაჭარბებით შესრულებას.

კიდევ შევჩერდები ორ საკითხზე. მეცხოველეობაზე და სპეციალური ტეხნიკური კულტურების გავრცელებაზე.

მეცხოველეობის შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ტის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება ჩვენ წინადადებას გვაძლევს გავაძლიეროთ ღონისძიებანი მეცხოველეობის შემდგომი გაფართოებისათვის. ეს გაფართოება უნდა მოხდეს კოლმეურნეობებში მეცხვარეობის სპეციალური საქონლის ფერმების მშენებლობის, ძველი საბჭოთა მეურნეობების შემდგომი გაფართოების და ახლების ორგანიზაციის ხაზით.

ამ დარგში გვაქვს ერთგვარი მიღწევები, მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღება ექცევა ამ საკითხებს, მეურნეობათა ორგანიზაციის, სწორი მოვლის, საკვები ბაზით უზრუნველყოფის საქმეს და სხ. ამის აშკარა მაგალითია სხვილფეხა პირუტყვის შოვის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც თითქმის უკვე ერთი წელიწადია, რაც პატრონი არა ყავს და, სადაც პირუტყვი მოუვლელობის გამო იღუპება.

ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რომ მივაღწიოთ გადამწყვეტ გარდატეხას მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ჯოგის რიცხვის გაფართოების საქმეში მიმდინარე წელს პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება უნდა მიექცეს მკვიდრი საკვები ბაზის შექმნას, უნდა გვახსოვდეს, რომ საკვებით უზრუნველყოფა — ესაა ბრძოლის უმნიშვნელოვანესი პირობა, რათა მივაღწიოთ მეტ წველადობას, პირუტყვის გამრავლებას, მეტ საქონლიანობას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ტეხნიკური და სპეციალური კულტურების გავრცელების შესახებ

უკანასკნელ წლებში ჩვენ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ ტეხნიკური და სპეციალური კულტურების გავრცელების საქმეში.

თამბაქო და ბამბა

თამბაქოს გეგმა 1932 წლისათვის მიღებული გვაქვს 28.000 ჰექტარის რაოდენობით, 1931 წლის 25.000 ჰექტარის ნაცვლად, ხოლო ბამბისა აგრეთვე 28.000 ჰექტარის რაოდენობით 1931 წლის 20.000 ჰექტარის ნაცვლად.

მიმდინარე წლის ცენტრალურ ამოცანას როგორც თამბაქოს და ბამბის, ისე სხვა კულტურების ხაზით წარმოადგენს მოსავლიანობის გადიდება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. აქედან გამომდინარეობს პარტიული ორგანიზაციების კონკრეტული ამოცანები, რომელთა გარშემო უნდა დავრაზმოთ ჩვენი ძალები.

თავის დროზე უნდა დამთავრდეს თესვა და დარგვა. რაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა მივაღწიოთ მოსავლის თავისდროზე და მთლიანად დამუშავებას, მაქსიმალური აღებისათვის, რაც არის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის საპასუხისმგებლო პერიოდი.

აი, ის ძირითადი საკითხები, რომელთა გადასაჭრელად უნდა იბრძოლოს ყოველი უჯრედი, ყოველი კომუნისტი და კოლმეურნე მომავალ წელს.

რამი და ქარხალი

განსაკუთრებულად საჭიროა შევჩერდეთ კიდევ ორ ტეხნიკურ კულტურაზე, რომელთაც მომავალ წელს შედარებით ფართო გასაქანი ეძლევა. ესაა რამი და ქარხალი. 1932 წელს რამის ფართობი 500 ჰექტარიდან მიაღწევს 3000 ჰექტარამდე, ხოლო ქარხალისა — 600 ჰექტარიდან 3000 ჰექტარამდე.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომელნიც ამ კულტურების გეგმების შესრულებას უდგებიან, წინასწარ უნდა მიიღონ მხედველობაში დაშვებული შეცდომები.

მეაბრეშუმეობა

საჭიროდ მიმაჩნია ყრილობის ყურადღება შევაჩერო სოფლის მეურნეობის ერთ დარგზე, რომელიც წლით-წლობით მთლიანად არ ასრულებს თავის გეგმებს და რეალურ საფრთხეს უქმნის ხუთწლედის ოთხწელიწადში შესრულებას მეურნეობის ამ დარგში. ესაა მეაბრეშუმეობა. მეაბრეშუმეობის ხაზით გეგმების არამთლიანად შესრულების ძირითადი მიზეზია საკვები ბაზის უქონლობა. 1930 წელს თუთის ხის ნარგავების ფართობის გადიდების გეგმა შესრულდა მხოლოდ 32 პროც., 1931 წელს კი საკოლმეურნეო სექტორში—12 პროც., საბჭოთა მეურნეობებში—39 პროც. მეაბრეშუმეობის საკითხებს მიმდინარე წელში მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილება მეაბრეშუმეობის შესახებ დაწვრილებით ჩერდება ამა წლის ამოცანებზე და ამიტომ მათზე არ ვილაპარაკებ.

კოოპერაცია და ვაჭრობა

რამოდენიმე სიტყვა კოოპერაციის და ვაჭრობის შესახებ.

ყველა ორგანიზაციების ოპერატიული საქმიანობის ამიერ-კავკასიის მასშტაბით ცენტრალიზაციამ გამოიწვია მთელი რიგი დამახინჯება საქართველოს კოოპერაციის და ვაჭრობის დარგშიც. სხვადასხვა ძირითადი საქონლის მთელი საბითუმო და საცალო ვაჭრობაც კი [illegible] იყო „ზაკსოიუზ"-ის დარგობრივ გაერთიანებებში, რამაც თავისი სახე დაუკარგა სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებს (საქართველოში—ცეკავშირს), ხოლო მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების საქმე სრულიადაც არ ყოფილა გაუმჯობესებული.

ამჟამად სწარმოებს გარდაქმნა ამ დარგობრივ გაერთიანებათა ლიკვიდაციის და მათი ცეკავშირის სისტემაში გამოყოფის ხაზით.

სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი სისტემის ხაზით გახსნილია 340 ახალი მაღაზია, სავაჭრო კარავი, ფარდული, სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის ხაზით კი—135.

დეფექტები: მუშათა რაიონებში ახალი წერტილები არასაკმაო რაოდენობითაა გახსნილი, ეტანებიან დიდ (უნივერსალურ) მაღაზიებს და გვერდს უვლიან სავაჭრო კარვებს, ფარდულებს, საცალო ვაჭრობას. საქონლის ასორტიმენტი არ არის დამაკმაყოფილებელი.

რაც შეეხება სხვა სისტემების—საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობების, მსუბუქი ინდუსტრიის და სარეწაო კოოპერაციის სისტემების საცალო ვაჭრობას, ამ მხრივ ან ძალიან ცოტაა გაკეთებული (კოლმეურნეობებს აქვთ 15 მაღაზია, აქედან 9 თბილისში), ან და სრულიად არაფერია გაკეთებული.

ფასების და ზედნადების საკითხი დღემდე არ არის მოგვარებული.

ერთი და იმავე საქონლის გასაცემი ფასები სხვადასხვანაირია. სახვაჭრობის მაღაზიებში ერთნაირი ხარისხის ჩულქები იყიდება: ლენინგრადის ფაბრიკის წარმოების— 75 კაპიკად, მოსტრიკოტაჟის—1 მ. 13 კ. და სარეწაო კავშირის—მანეთად. ესევე ითქმის ფეხსაცმლის, ტანისამოსის და სხვა საქონლის ფასების შესახებ.

საქონლის ბრუნვის გაყინვა. ცალკე გამოკვლევათა ფაქტები გვეუბნება, რომ მოვაჭრე ორგანიზაციების საწყობებში საქონელი ბლომად ეწყო მაშინ, როცა მაღაზიები ცარიელი იყო. მაგალითი—საქხილბოსტანის გამოკვლევამ გამოაშკარავა:

რამდენი თანხის საქონელი იყო საწყობებში და სავაჭრო წერტებში:

1-ლი აგვისტოსათვის	211.502 მ.	8.659 მ.
1-ლი სექტემბრისათვის	103.380 მ.	22.431 მ.
1-ლი ოქტომბრისათვის	255.996 მ.	55.011 მ.
1-ლი ნოემბრისათვის	304.907 მ.	6.603 მ.

საქონლის ბრუნვის გაყინვას ვხედავთ ჩვენი სხვა მოვაჭრე ორგანიზაციებშიც.

ჩვენი ამოცანები იმაში მდგომარეობენ, რომ:

1) განვამტკიცოთ ჩვენი მოვაჭრე ორგანიზაციები კომუნისტების და კომკავშირელების საუკეთესო კადრებით.

2) დავეუფლოთ სავაჭრო საქმის ტეხნიკას.

3) დავაწესოთ მომწესრიგებელი ორგანიზაციების სწორი და სისტემატიური კონტროლი არა სიტყვით, არამედ საქმით, საბჭოთა ვაჭრობის მთელ სისტემაზე და მუშათა გეგმიანი მომარაგების საკითხებში.

4) მივაღწიოთ გადამწყვეტ გარდატეხას საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სარეწაო კოოპერაციის, მსუბუქი ინდუსტრიის საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაში, და, ფასების საბჭოთა პოლიტიკის საფუძველზე, გავაძლიეროთ საცალო ვაჭრობის ქსელი, უმთავრესად სამრეწველო რაიონებში.

5) გადამწყვეტი ბრძოლა გავაჩაღოთ მუშათა მომარაგების არსებული ფონდების განიავებას, საქონლის ბრუნვის გაყინვას, საქონლის გაჭრობის წინააღმდეგ და სხვ.

6) აღმოვფხვრათ მოვაჭრე ორგანიზაციების მთელს სისტემაში ნეპმანური ჩარჩული სული, მოვსპოთ გამოძიებება მუშა-მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ.

7) გავამახვილოთ ყურადღება ადგილობრივ. დამზადებათა და დამხმარე საწარმოთა განვითარებაზე ცენტრალიზებული მომარაგების გარეშე.

პარტიული ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობა

განვლილ პერიოდში, მე-7 ყრილობის შემდეგ, საქართველოს კომპარტიამ მიაღწია საგრძნობ წარმატებებს პარტიული ორგანიზაციის რიცხვობრივი და ხარისხობრივი განმტკიცების მხრივ. პარტია გაიზარდა, მას 35,326 წევრისა და კანდიდატის ნაცვლად ეხლა ჰყავს 51,332 წევრი კომუნისტი. გადიდდა მუშების ხვედრითი წონა პარტორგანიზაციის შემადგენლობაში 54,3 პროცენტიდან 58,2 პროცენტამდე.

პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცებამ, პარტიული ორგანიზაციის ბრძოლის უნარიანობის აწევის საქმეში სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე უდიდესი როლი ითამაშა ოლქების ლიკვიდაციამ. რაიონები უკვე ხდებიან ხელმძღვანელობის სისტემაში იმ რგოლად, რომელიც მოწოდებული არის განახორციელოს კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა სოციალისტური მშენებლობის მთელ მიმდინარეობაზე სოფლად. მიღწევები აქ იმდენად დიდია, რომ საჭირო არ არის რაიონული სისტემის უპირატესობის მტკიცება მანამდე არსებულ სისტემასთან შედარებით.

ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მიღწევები უჯრედთა მუშაობის ორგანიზაციული გარდაქმნის საქმეში საკავშირო კ. პ (ბ) ც. კ-ის მითითებათა საფუძველზე.

უკანასკნელი საანგარიშო-საგადარჩევნო კამპანიის შემდეგ ჩვენ მივაღწიეთ ერთგვარ შედეგებს ძირეული პარტიული რგოლის—ბრიგადის, საამქროს და სხვების— განმტკიცების საქმეში, განსაკუთრებით, ქალაქად, მთელ რიგ სოფლის რაიონებში მოეწყო უჯრედები კოლმეურნეობებთან და სხვ. ყველა ამ ღონისძიებებს თან სდევდა პარტიული ხელმძღვანელობის გაწევის გაძლიერება საწარმოსათვის ქალაქში, კოლმეურნეობისათვის—სოფლად. ამ მიღწევათა ფონზე განსაკუთრებით ნათლად გამოიყურება ის ნაკლოვანებანი და სუსტი ადგილები საერთო მუშაობაში პარტორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონის ასაწევად და ოპერატიული ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად, რასაც ჰქონდა ადგილი ჩვენს მუშაობაში. ეს სუსტი ადგილი ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში, ყოველ შემთხვევაში, სამია: **პირველი**—პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ ვერ შევასრულეთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის დადგენილება დაზგის მუშების რაოდენობის აყვანის შესახებ პარტიაში მთელი მისი შემადგენლობის 50 პროცენტამდე. პარტიულ ორგანიზაციაში დღეისათვის ჩვენ გვყავს დაზგის მუშა მხოლოდ 43,9 პროც.

საჭიროა უფრო სერიოზულად მოვკიდოთ პარტიის ზრდის საკითხს და ახლო მომავალში შევასრულოთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დირექტივები დაზგის მუშების პროცენტის საქართველოს კომპარტიის შემადგენლობაში 50 პროცენტამდე აყვანის შესახებ. ამ ამოცანის შესრულებაში მთავარი როლი უნდა ითამაშონ ჩვენმა პროლეტარულმა ორგანიზაციებმა, პირველ რიგში, თბილისის პარტორგანიზაციამ,

მეორე—საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა თავის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში სრულიად სამართლიანად მიგვითითა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მეტის-მეტ სისუსტეზე სოფლად. მართლაც, ჩვენი სოფლის ორგანიზაციები მეტისმეტად სუსტია, დაქუცმაცებულია, ერთი უჯრედის კომუნისტები ხშირად გაფანტული არიან რამდენიმე სოფელში. შეხვდებით ძალიან ბევრ, წარმოიდგინეთ, სოფლის საბჭოს, მსხვილ კოლმეურნეობასა და უპარტიო უჯრედს, რომლებთაც არ გააჩნიათ პარტიული ხელმძღვანელობა. ჩვენი პარტიული ორგანიზაციები სოფლად ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულან იმ ამოცანებამდე, რაც მათთვის დასახული აქვს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას. პარტუჯრედების რაოდენობა სოფლად უდრის 983, კოლმეურნეობა კი საქართველოში არის 3.381 თუ არას ვიტყვით სოფლის სხვა ორგანიზაციების შესახებ (სოფლის საბჭო, კოოპერატივი, სკოლა და სხვ.), რომელთა მუშაობასაც ხელმძღვანელობას უწევენ ჩვენი სოფლის უჯრედები.

სოფლად შექმნილი დასაყრდენი პუნქტები ჯერ-ჯერობით ვერ გამხდარან ნამდვილ დასაყრდენ პუნქტებად, გაშლილი პარტიულ-მასიური და პოლიტიკური მუშაობის მოწინავე რგოლად სოფელში.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ბოლშევიკურად განმტკიცება სოფლად—საკავ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებათა საფუძველზე, მისი ნამდვილი პოლიტიკური დონის აწევა, მისთვის დახმარების აღმოჩენა ყოველმხრივ ზრდაში, მუშათა კლასის ავანგარდის ბრძოლის უნარიანობის ამაღლება სოფლად—აი საქართველოს კომპარტიის სოფლად მუშაობის ცენტრალური ამოცანა უახლოესი პერიოდისათვის.

მესამე—პარტიული ორგანიზაციის სისუსტის მიზეზი უნდა ვეძიოთ პარტიული მუშაობის სუსტ, ხოლო ხშირად ფორმალურ გარდაქმნაში. პარტმუშაობის სიმძიმის ცენტრი არ არის გადატანილი კოლმეურნეობებში, საამქროებში, ბრიგადებში, ამ მხრივ არსებული მიღწევა ჯერ-ჯერობით წარმოადგენს მხოლოდ მუშაობის გარდაქმნის დასაწყისს ამ მიმართულებით.

პარტიული მუშაობის შინაარსად სამეურნეო-საწარმოო დავალებათა შესრულების მიზნად დასახვა ბრიგადაში, საამქროში, საწარმოსა და კოლმეურნეობაში საერთოდ, ამ ამოცანისათვის პარტიული მუშაობის ფორმისა და მეთოდების დაქვემდებარება ადგილებზე—ეს არის პარტმუშაობის მთელი გარდაქმნის შინაარსი და საფუძველი.

ბოლშევიკური ბრძოლა დიად სამუშაოთა გეგმების შესასრულებლად დაკვრითი მშენებლობის ყველა დარგებში—ეს არის თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეულ კომუნისტი ბოლშევიკის ამოცანა, ეს არის მისი სიამაყის საქმე.

საჭიროა ჩვენ იმგვარად გარდავქმნათ პარტმუშაობა, რომ თვითეული კომუნისტის ავამაღლოთ პასუხისმგებლობის გრძნობა პარტიის წინაშე მისთვის დაკისრებული საქმისათვის.

შემდგომშიაც რაიონებისა და სოფლების განმტკიცებით, მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანით უჯრედის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ც. კ.-ისა და რაიკომების მიერ მიცემულ დავალებათა შესრულებისათვის კონტროლის გაწევისა და ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის მათ შესრულებაში დახმარების აღმოჩენის გაძლიერებით შევძლებთ იმ ამოცანების შესრულებას, რაც დასახულია ჩვენს წინაშე.

საქართველოს კომკავშირის მუშაობა

საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციის მდგომარეობა ხასიათდება იდეურ-თეორიული დონის საგრძნობი ზრდით, იდეოლოგიური სიმტკიცით და კომკავშირელთა და მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასების პრაქტიკული მონაწილეობის გაძლიერებით ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში.

ამასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა ორგანიზაციის რიცხვიც, მაგ, 1931 წლის პირველ იანვრისათვის კომკავშირში ირიცხებოდა 114.923 წევრი და კანდიდატი, ხოლო 1931 წლის პირველ ოქტომბრისათვის —140163 კაცი. ამ ხნის განმავლობაში ზრდა უდრიდა 35.240 კაცს, ანუ საერთო რაოდენობის 30,7 პროცენტს. საგრძნობლად გაიზარდა პროლეტარული ფენაც: მუშა ორგანიზაციაში პირველი იანვრისათვის იყო— 28.663, ანუ 20,6 პროცენტი, ამჟამად კი— 38.258, ანუ 22,1 პროცენტი; მოჯამაგირე —8.666 კაცი, ანუ 5,8 პროცენტი; ღარიბი გლეხი—75.011 კაცი, ანუ 49,9 პროცენტი; ახალგაზრდა ქალი ამჟამად კომკავშირში არის—32.286, ანუ 25 პროცენტი, 1931 წლის იანვრისათვის კი იყო—26264, ანუ 22,8 პროცენტი. საჭიროა ამჟამად, უმთავრესად, განმტკიცებულ იქნას უდიდესი ზრდა, რასაც მიაღწია კომკავშირმა, რადგან „რიცხვობრივი ზრდის შემდგომმა დაჩქარებამ, თუ სათანადოთ არ იქნა გაუმჯობესებული მისი ხარისხობრივი მხარე, შეიძლება გამოიწვიოს კომკავშირის შესუსტება, განსხვავების წაშლა კომკავშირსა და დანარჩენ მუშათა და კოლმეურნე ახალგაზრდობას შორის, მისი იდეურ-პოლიტიკური დონის დადაბლება" (პოსტიშევი).

მიმდინარე წელს კომკავშირის 3383 პოლიტსკოლაში გაერთიანებულია 102077 კაცი, ასეთი უდიდესი მასის სწავლება არ ძალუძს მარტო კომკავშირს. საჭიროა პარტიის მიერ ყოველდღიური დახმარება და ხელმძღვანელობა, მისთვის მომზადებული პარტიული პროპაგანდისტების გადაცემა (რადგან კომკავშირელთა პროპაგანდისტების უმრავლესობის თეორიული მომზადება ჯერ ისევ დაბალია). საგრძნობლად გაიზარდა კომკავშირის მონაწილეობა ბრძოლაში სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის, წარმოების რაციონალიზაციისა და დაგეგმვაში, სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლაში, თანამედროვე ტეხნიკის გამოყენებაში და სხვ. მთელ რიგ საწარმოებში კომკავშირელთა დამკვრელი ბრიგადები ახორციელებენ გმირული მუშაობის ნამდვილ ბოლშევიკურ ტემპებს თავიანთი სამრეწველო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებით. შემდგომისათვის საჭიროა კომკავშირმა გადაჭრით აღმოფხვრას ნაკლოვანებანი სამეურნეო მუშაობაში ბრძოლის გაძლიერების ხაზით ამხ. სტალინის 6 მითითების რეალიზაციისათვის, მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს თავის მუშაობაში საქართველოს გადამწყვეტი მნიშვნელობის სოციალისტური მშენებლობის დარგებს (რიონჰესი, ტყვარჩელი, საქნავთი, ფერო-მარგანშენი) ჭიათურა, ტყიბული, საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაცია, ტრანსპორტი და სხვ.) და იმგვარად უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა, რომ მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი იქნას საამქროში, ბრიგადაში, რგოლში, ჯგუფსა და უბანში.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის დარგშიაც კომკავშირმა, პარტიის ხელმძღვანელობით, აგრეთვე დიდი მუშაობა ჩაატარა. გაძლიერდა კომკავშირის ბრძოლა ტეხნიკური კულტურების დანერგვისათვის შაბათობის მოწყობისა და კომკავშირელთა მობილიზაციის საშუალებით დასამუშავებლად და მოსავლის აღებად (ჩაის, ბამბის, თამბაქოს) კომკავშირის ინიციატივით ტეხნიკური კულტურების თესვის დროს გაზაფხულზე მოწყობილ იქნა საქართველოში 755 შაბათობა 55840 კაცის მონაწილეობით.

კომკავშირის მთელი მუშაობისათვის პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას დღითიდღე გვიკარნახებს ჩვენი მუშაობის სულ უფრო გაძლიერებული ტემპი. ამჟამად საჭიროა კომკავშირ. ხელმძღვანელობის გაწევა არა „საერთოდ და მთლიანად, არამედ კონკრეტულად ცალკე კვანძ-საკითხებში, შემოწმება და დახმარების აღმოჩენა მისთვის მუშაობაში და ბრძოლაში სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის, კოლმეურნეობათა საორგანიზაციო - სამეურნეო განმტკიცებისათვის, საწარმოო ტეხნიკის დაუფლებისათვის.

პარტიამ უნდა უზრუნველჰყოს ამ ამოცანის შესრულება.

კადრები

ამოცანები კადრების დარგში სავსებით გამომდინარეობენ ჩვენი გუმბერაზული სოციალისტური მშენებლობის ამოცანებიდან და ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ჩვენს ქვეყანაში, ბიუროკრატიული გადაგვარების და მავნებლობის ელემენტების გამოაშკარავებასთან (კაგანოვიჩი).

როგორ მიმდინარეობს ჩვენი მუშაობა კადრების მოსამზადებლად?

ძირითადათ ჩვენ შევასრულეთ პარტიის მე-16 ყრილობის დადგენილება იმის შესახებ, რომ ჩაგვეტარებინა ჩვენი უმაღლეს სასწავლებლების ძველი სისტემის რეორგანიზაცია და შეგვექმნა სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები დარგობრივი საწარმოო ნიშნის მიხედვით.

ასეთივე სპეციალიზაცია გავატარეთ საშუალო სკოლაშიაც და შევქმენით მთელი რიგი სპეციალური ტეხნიკუმები. მაგრამ რეორგანიზაცია ჯერ კიდევ არ განხორციელებულა სავსებით ყველა უმაღლეს სასწავლებლებში და მას ახასიათებს მთელი რიგი დეფექტები.

გაუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ მოგვარებული, ამ საქმეს წინ ეღობება ბურჟუაზიული პროფესურის წინააღმდეგობა და ოპორტუნისტული შეუფასებლობა ზოგიერთი პარტიელის მხრივ.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვენში ტეხნიკურ სასწავლებლების სოციალური შემადგენლობა: 1930 წელს მუშათა და კოლმეურნეთა რიცხვი შეადგენდა 57,8 პროცენტს, 1931 წელს კი 86 პროცენტამდე ავიდა.

პროლეტარულ - კომუნისტური ბირთვის ზრდა ხელს უწყობს ჩვენი პროლეტარული ასპირანტურის, ჩვენი სამეცნიერო კადრების შექმნას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დღემდე მთელმა რიგმა საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ვერ შეიგნეს უმაღლეს სასწავლებლების ოპერატიული ხელმძღვანელობის მნიშვნელობა, ვერ აღმოფხვრეს სამომხმარებლო ტენდენციები უმაღლეს სასწავლებლების მიმართ და საერთოთ იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ კადრების მომზადებას.

დღემდე მთელმა რიგმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და უმაღლესმა ტეხნიკურმა სასწავლებლებმა არ იციან რამდენი და რა ხასიათის სპეციალისტი უნდა მოამზადონ მათ სოციალისტური მშენებლობის შესაფერი ხელმძღვანელი პოსტებისათვის.

ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ სტუდენტთა მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფის ხაზით (მაგალითად, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებისა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლების სტუდენტთა თითქმის 70 პროცენტი ღებულობს სტიპენდიას, ხოლო ტეხნიკუმებში—მოსწავლეთა 50 პროცენტზე მეტი, თითქმის ყველა სტუდენტი უზრუნველყოფილია საერთო საცხოვრებელი ბინით, თუმცა არა ყოველგვარი მოწყობილობით და სხვ.). მიუხედავად ამისა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები ჯერკიდევ საკმაოდ ვერ უზრუნველყოფენ უმაღლეს სასწავლებლებისა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლების იმ გრანდიოზულ გარდაქმნას, რომელიც უნდა გაგრძელდეს შემდეგში ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური დარგების ზრდის მიხედვით.

„ჩვენ უნდა მოვამზადოთ ისეთი კადრები, რომლებსაც ექნებათ საკმაო ღრმა სპეციალურ-ტეხნიკური და ეკონომიური ცოდნა, ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჰორიზონტი და თვისებები, რომლებიც აუცილებელია მშრომელთა ფართო მასების საწარმოო აქტივობის ორგანიზატორებისათვის".

ეს მითითება საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმის რეზოლიუციიდან და ამხ. **სტალინის** 6 ისტორიული პირობა საფუძვლად უნდა დაედოს ბრძოლას პროლეტარული სპეციალისტების ხარისხისათვის. მხოლოდ ლენინური მეთოდის სწორი გამოყენებით პარტიული დირექტივებისა და ამხ. სტალინის მითითებათა რეალიზაციის დროს, ბურჟუაზიული იდეოლოგიის და ტროცკისტების კონტრრევოლიუციონური გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლით, აგრეთვე სხვადასხვა ფერის ოპორტუნისტებთან, განსაკუთრებით მემარჯვენე ოპორტუნისტებთან და ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის მიერ დამპალი ლიბერალიზმის გამოაშკარავებასთან ბრძოლით არის შესაძლებელი შემდეგი სოციალისტური წარმოების პროლეტარული კადრების მომზადების უზრუნველყოფა.

მავნებლობის ლიკვიდაციის შესახებ

კადრებისათვის ბრძოლის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი ბურჟუაზიული, ტეხნიკურ ინტელიგენციისადმი დამოკიდებულების საკითხთან.

ამხ. **სტალინმა** თავის სიტყვაში სამეურნეო მუშაკების თათბირზე შემდეგი სთქვა: „ორი წლის წინად ისეთი მდგომარეობა იყო ჩვენში, რომ ძველი ტეხნიკური ინტელიგენციის უფრო კვალიფიციური ნაწილი შეპყრობილი იყო მავნებლობის სენით. კიდევ მეტი. მავნებლობა მაშინ წარმოადგენდა ერთგვარ მოდას. ზოგი ჩადიოდა მავნებლობას, ზოგი ფარავდა მავნებლებს, ზოგი ხელს იბანდა და ნეიტრალიტეტს იცავდა, ზოგი მერყეობდა საბჭოთა ხელისუფლებასა და მავნებლებს შორის".

მავნებლობას საბჭოთა კავშირში განმანადგურებელი ლახვარი ჩაეცათ.

იგი გავანადგურეთ და ვამხილეთ.

შახტის პროცესმა და „სამრეწველო პარტიის" გასამართლებამ მთელი ქვეყნის წინაშე ცხადჰყო მავნებლების კლასობრივი ბუნება. ამ პროცესებმა ცხადჰყვეს, რომ მავნებელთა ორგანიზაციები წარმოადგენდნენ ჩვენი კლასობრივი მტრის აგენტურას, ინტერვენტების აგენტურას.

ეს ყველასათვის ნათელი გახდა.

მაგრამ ჩვენში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს მავნებლობა, რომ თითქოს ქართველი ნაციონალისტური ინტელიგენცია არ გამოიჩენს მავნებლობას „ნაციონალური" მრეწველობის

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის გამოუქვეყნებელი დოკუმენტები

ქვემოდ მოყვანილი ლენინის ორი დოკუმენტი დაწერილია 1910—1911 წლებში, იმ პერიოდში, როდესაც ჩვენი პარტიის შეურიგებელმა ბრძოლამ, ლენინის და ბოლშევიკების ბრძოლამ ორ ფრონტზე—ლიკვიდატორების წინააღმდეგ მარჯვნიდან და „მარცხნიდან“ (ვპერიოდოველები) და შემარიგებლების წინააღმდეგ განსაკუთრებულ განვითარებას და სიმწვავეს მიაღწია. 1905—7 წ.წ. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის შავბნელ ხანაში, იმ პირობებში, რომელიც იწვევდა დაცემულობის, სასოწარკვეთილების, დემორალიზაციის განწყობილებას და რენეგატობას რევოლიუციონურ პარტიების შიგნით—მხოლოდ ერთი პარტია არ შედრკა, არ შეირყა, ძირს არ დახარა თავისი დროშა—ეს იყო რევოლიუციონური პროლეტარიატის პარტია, ბოლშევიკ-ლენინელები. ცარიზმის გამარჯვების და კონტრრევოლიუციის ზეიმის მძიმე პირობებში ბოლშევიზმი განაგრძობდა მუშათა კლასის მომზადებას ახალი რევოლიუციისათვის და დაუზოგველ ბრძოლას აწარმოებდა ძველი, არალეგალური რევოლიუციონური პარტიის შესანარჩუნებლად, მისი რიგების გასაწმენდათ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებისაგან, სოციალ-დემოკრატიის ყველა ნამდვილ რევოლიუციონურ ელემენტების შესამჭიდროებლად.

1910—1911 წლებში რუს. ს.-დ. მ.პ. ფორმალურად მთლიანად ითვლებოდა, მიუხედავად მთელ რიგ ფრაქციებისა და ჯგუფების არსებობისა მის შიგნით („ოფიციალურად“ ბოლშევიზმიც ფრაქციათ ითვლებოდა, ნამდვილად კი ის იყო რევოლიუციონური პროლეტარიატის დამოუკიდებელი პარტია). ამ მთლიანობის გარეგნული გამოხატულება იყო საერთო ცეკა, რომელიც არჩეულ იქნა პარტიის მე-5 ყრილობაზე (1907 წ.) და საერთო ცენტრალური ორგანო („სოციალ-დემოკრატი“). იმ ბრძოლაში, რომელსაც ბოლშევიკები აწარმოებდნენ პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლების წინააღმდეგ, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების და შემარიგებლების წინააღმდეგ,—ამ ბრძოლაში ერთ-ერთი ეტაპი იყო ცენტრალური კომიტეტის ეგრედ წოდებული „გამაერთიანებელი“ პლენუმი (1910 წლის იანვარი). პლენუმზე დამსწრე (სათათბირო ხმით) ლენინმა წამოაყენა ორ ფრონტზე ბრძოლის—მემარჯვენე და „მემარცხენე“ ლიკვიდატორების წინააღმდეგ ბრძოლის ნათელი და მკაფიო ხაზი. ამ ბრძოლის წარმატებით ჩატარებისათვის ლენინი სასურველად სცნობდა ბოლშევიკების დაახლოებას მენშევიკ-პლეხანოველებთან, რამდენადაც პლეხანოველები ბრძოლას აწარმოებდნენ ლიკვიდატორების წინააღმდეგ და რამდენადაც მათ ჯერ კიდევ მიჰყვებოდა მუშების ერთგვარი ნაწილი. ლენინისათვის აშკარა იყო რაიმე გაერთიანების შეუძლებლობა ლიკვიდატორებთან, რომლებიც ლეგალურ პრესაში („ჩვენი განთიადი“) ბრძოლას აწარმოებდნენ პარტიის წინააღმდეგ; ესენი იყვნენ საზღვარ-გარეთელი ლიკვიდატორები „გოლოსოველები“, („გოლოს სოციალ-დემოკრატა“—მენშევიკების (საზღვარგარეთული ორგანო), რომლებიც ხრწნიდნენ პარტიას შიგნიდან; ესენი იყვნენ ვპერიოდოველები, რომლებიც ბოლშევიკებმა დიდი ხანია უკვე გამორიცხეს თავისი წრიდან; ესენი იყვნენ ტროცკისტები, რომლებიც რევოლიუციონური ფრაზებით ფარავდნენ ოპორტუნისტებს. არსებითად ლენინი უკვე პლენუმის პერიოდში სავსებით მომწიფებულად და აუცილებლად სთვლიდა კავშირის სრულიად გაწყვეტას ყველა ამ მიმდინარეობებთან და მიმართულებებთან. მაგრამ პლენუმზე უმრავლესობა ჰყავდათ შემარიგებლებს, რომლებიც ცდილობდნენ განურჩევლად გაეერთიანებინათ ყველანი. შემარიგებლები (მათ რიცხვში ბოლშევიკებიდან—კამენევი, ნოგინი და სხვები) გაერთიანებას საფუძვლად უდებდნენ არა საერთო პოლიტიკურ შეხედულებებს, არამედ „ამა თუ იმ პირების, ჯგუფების და დაწესებულებების“ „მორიგებას“. პლენუმზე ყველაზე უფრო უპრინციპო პოზიცია ეჭირა „შემარიგებელი ფრაზის გმირს“, „ლიკვიდატორების და ოტზოვისტების“ ნაფიც ვექილს ტროცკის, რომელიც არაფრაქციულობის დროშის ქვეშ ცდილობდა უზრუნველეყო ლიკვიდატორების გამარჯვება ბოლშევიკებზე. ლენინი ასე გვიხატავდა ამ ობივატელური შემარიგებლობის ფილოსოფიას: „მთლიანობა... შეხედულებებისა პარტიულ მუშაობაზე ამ მუშაობის ხაზზე—მეორე ხარისხოვანი საქმეა. უთანხმოება უნდა ვუცადოთ მივიჩქმალოთ და არა გამოვარკვიოთ მისი ფესვები, მისი მნიშვნელობა. მისი ობიექტიური პირობები. „მოვარიგოთ“ პირები და ჯგუფები—ეს არის მთავარი. თუ ისინი ვერ შეთანხმდნენ საერთო ხაზის გატარებაზე,—ეს ხაზი უნდა დავახსიათოთ ისე, რომ ის მისაღები იყოს ყველასათვის. „იცხოვრე და სხვასაც მიეცი ცხოვრების საშუალება“. (ნაწერები, ტომი მე-14, გვ. 302). პლენუმის მუშაობას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მის გადაწყვეტილებაში შევიდა ლენინის და ბოლშევიკ-ლენინელების წინადადებების ნაწილი. (მაგ. ლიკვიდატორობის და ოტზოვიზმის გაკიცხვა). პლენუმის მუშაობის დანარჩენი შედეგი, რომელიც წარმოადგენს შემარიგებლების მოღვაწეობის პროდუქტს, მხოლოდ შეაფერხა ბოლშევიკების ბრძოლა ლიკვიდატორებთან, გააძნელა მუშათა კლასის პარტიის გაწმენდა ანტიპარტიულ ელემენტებისაგან. „საერთო შემარიგებლური დომხალი გაერთიანების იდეური ბაზისის ნათლად გამორკვევის გარეშე“ (ტომი მე-14, გვ. 333), „პლენუმის სულელური შემარიგებლური შეცდომები“ (ლენინის ნაწერების კრებული, ტ. მე-18, 26)—ასე ახასიათებდა ამ შემარიგებლურ შედეგებს ლენინი.

ლენინის პირველი დოკუმენტი, რომელიც ქვევით იბეჭდება, დაწერილია 1910 წლის დეკემბერში და ახასიათებს შინაპარტიულ ბრძოლას პლენუმზე და ერთი წლის განმავლობაში მის შემდეგ. მეორე დოკუმენტი დაწერილია 1911 წელში და „იუდუშკა“ ტროცკის მოკლე, მაგრამ მკაფიო დახასიათებას შეიცავს. შემარიგებლების ცდებმა,—იმ შემარიგებლების, რომლებიც ყოველთვის პარტიის მოწინააღმდეგე ელემენტების სათამაშო იარაღს წარმოადგენდნენ,—დაეფარათ ლიკვიდატორები და ვპერიოდოველები ვერ შეაჩერეს ბოლშევიკ-ლენინელების ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ეს ბრძოლა გრძელდებოდა შეუსუსტებლად, სანამ მან შედეგად არ მოიტანა ლიკვიდატორების და სხვა ანტიპარტიული ელემენტების სავსებით გამომჟღავნება და გაძევება პარტიის რიგებიდან პრაღის კონფერენციაზე. (1912 წლის იანვარი).

ვლადიმერ ილიჩის ამ ორ დოკუმენტს, რომლებიც დაწერილია 20 წლის წინად, არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვს განსაზღვრულ ეტაპისათვის ბოლშევიზმის განვითარებაში. მათ შეინარჩუნეს მთელი თავისი ღირებულება ეხლანდელი მომენტისათვისაც.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი.

I

ღია წერილი ყველა სოციალ-დემოკრატ პარტიელებს

(1910 წლის დეკემბერი)

ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1910 წლის იანვარში ჩვენ, როგორც ბოლშევიკების ფრაქციის წარმომადგენლებმა, დავშალეთ ჩვენი ფრაქცია და მისი კუთვნილი თანხები და სხვა ქონება გადავეცით საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის სამ ცნობილ მოღვაწეს 1)

ეს გადაცემა ისე, როგორც ფრაქციის დაშლა, პირობითი ნაბიჯი იყო. თუ რა პირობებში გადავდგით ჩვენ ეს ნაბიჯი, ცნობილია ჩვენი განცხადებიდან იმავე პლენუმზე,—განცხადებიდან, რომელიც პლენუმმა მიიღო და გამოაქვეყნა ცენტრალური ორგანოს პირველსავე ნომერში (№ 11), რომელიც პლენუმის შემდეგ გამოვიდა. 2)

მოკლედ, რომ ვთქვათ, ეს პირობები გამოიხატებოდა იმაში, რომ სხვა ფრაქციებს (და პირველ რიგში გოლოსოველების ფრაქციას, ე. ი. მენშევიკებს, რომლებიც ხელს და მხარს უჭერენ „გოლოს სოციალ-დემოკრატა“-ს) ლოიალურად, ე. ი. პატიოსნად და ბოლომდე შეესრულებიათ თავისი მოვალეობა, სახელდობრ (1) ბრძოლა ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის წინააღმდეგ, რაც პლენუმის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში აღიარებულია პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოხატულებათ და (2) თავისი ფრაქციების დაშლა.

ამჟამად ერთი წლის გამოცდილების, ერთი წლის ლოდინის შემდეგ ჩვენ სავსებით და საბოლოოდ დავრწმუნდით იმაში, რომ არც ერთი და არც მეორე პირობა არ არის შესრულებული არც გოლოსოველებისა და არც ვპერიოდოველების მიერ.

ჩვენი ასეთი რწმენის შედეგი იყო ჩვენს მიერ განცხადების შეტანა ფულისა და ქონების დაბრუნების შესახებ; ეს განცხადება შეტანილია ჩვენს მიერ ცენტრალურ კომიტეტში ამ დღეებში, 5.XII.10.

ამ განცხადების შემდეგ საქმე ფორმალურად და არსებითად ასეთ მდგომარეობაშია: ჩვენ პირობით გავიღეთ მთელი ქონება და მთელი ჩვენი ძალები ანტილიკვიდატორობისა და ანტიოტზოვიზმისათვის მხარის დასაჭერად, პარტიის და მისი სრული მთლიანობის აღდგენისათვის სამუშაოდ. გოლოსოველებისა და ვპერიოდოველების მიერ მათი პირობების დარღვევა არღვევს ჩვენს ხელშეკრულებას. ვარღვევთ რა ლიკვიდატორობისა და ოტზოვისტების მიერ დაშლილ ხელშეკრულებას, ჩვენ წინანდებურად ვიმუშავებთ პარტიის და მისი სრული მთლიანობის აღსადგენად, ანტილიკვიდატორული და ანტიოტზოვისტური ხაზის გასატარებლად. მაგრამ ეს მუშაობა ჩვენ უნდა ჩავატაროთ არა იმ მოკავშირეებთან ერთად (რომლებიც საქმით მტრები აღმოჩნდნენ), რომლებიც დაშვებული იყვნენ პლენუმზე (რადგან სწამდათ მათი დაპირებები) პარტიულ ცენტრებში მონაწილეობის მისაღებად. 3)

ვინაიდან საერთო შეხედულების მიხედვით და ნაციონალური და სხვა პარტიული ორგანიზაციების დელეგატების არაერთი განცხადების თანახმად პლენუმზე და სხვა პარტიულ კრებებზე, კონფერენციებზე და სხვა, სწორედ ჩვენი, ბოლშევიკების ფრაქცია ითვლებოდა ყოველთვის ყველაზე უფრო პასუხისმგებლად საქმეთა მდგომარეობისათვის პარტიაში, ამიტომ ჩვენ მოვალეობათ მივაჩნია აშკარად გამოვსთქვათ ჩვენი შეხედულება პარტიის საქმეთა მდგომარეობაზე და ჩვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯების მნიშვნელობაზე.

—:—

1910 წლის იანვრის პლენუმს ჩვენი პარტიის ისტორიაში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან საბოლოოდ გამოარკვია პარტიის ტაქტიკური ხაზი კონტრრევოლიუციის ეპოქისათვის, აღნიშნა რა 1908 წლის დეკემბრის რეზოლიუციის განვითარების მიზნით 4), რომ ლიკვიდატორობაც და ოტზოვიზმიც პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოხატულებაა. შემდეგ პლენუმმა წამოაყენა საკითხი ფრაქციების გაუქმების შესახებ ჩვენს პარტიაში,—ე. ი. საკითხი მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნამდვილი მთლიანობის შექმნის აუცილებლობის შესახებ, და ეს საკითხი დაუკავშირა პარტიის იდეურ-პოლიტიკურ ამოცანების გამორკვევას ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში.

ეს ორი საქმე, რომელიც გააკეთა პლენუმმა 1910 წლის იანვარში, ჩვენის აზრით ისტორიული მნიშვნელობისაა და მათი შედეგები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, გაცილებით უფრო ცხოველმყოფელია, გაცილებით უფრო მტკიცეა, ვიდრე ეს ეჩვენება ზერელე მეთვალყურეს.

მაგრამ ეს შედეგები ძალიან გააფუჭა მათ გარშემო დახლართულმა ფრაზამ. არ არსებობს სოციალ-დემოკრატიისათვის იმაზე უფრო მტრული და საზარალო რამ, ვიდრე ფრაზა. „შემარიგებლური“ ფრაზა კი არა ნაკლებ საზიანოა და არა ნაკლებ გზას უბნევს ადამიანს, ვიდრე ოტზოვისტური და ლიკვიდატორული ფრაზა. ეს „შემარიგებლური“ ფრაზა აბნელებს საქმის შინაარსს, კეთილ სურვილებს აყენებს რეალურ ტენდენციების და პარტიაში ძალთა რეალურ ურთიერთ დამოკიდებულების აღრიცხვის ადგილზე, ზიანს აყენებს იმათ დაახლოებას, რომელთა დაახლოვებაც შეიძლება და საჭიროც არის, ზიანს აყენებს ცდებით—გაერთიანება ითამაშონ იმათთან, ვისაც ეხლა არ უნდა და არ შეუძლია გაერთიანება.

იმ ერთი წლის განმავლობაში, რომელიც გავიდა იანვრის პლენუმის შემდეგ, ამ ფრაზამ ამოსწურა თავისი თავი და დაგვანახვა თავისი ნაყოფი. თუ პარტია ისწავლის ეხლა „შემარიგებლურ“ ფრაზის გმირების მწარე გამოცდილებაზე, ისწავლის თუ როგორ არ უნდა მოკიდოს ხელი „შერიგების“ და ფრაქციების მოსპობის საქმეს, მაშინ პლენუმის შემდეგ გასული წელი არ იქნება უნაყოფოდ დაკარგული.

ფრაზა მდგომარეობდა იმაში, რომ საკმარისია მოვაგვაროთ „დაპირებები“ ფრაქციების მოსპობის შესახებ, საკმარისია შევაკოწიწოთ ცენტრალური დაწესებულებები სხვადასხვა ყალიბის ელემენტებისაგან, საკმარისია „წონასწორობა“ დავამყაროთ მოწინააღმდეგე ელემენტებს შორის—და ფრაქციების მოსპობისათვის გადადგმული იქნება სერიოზული ნაბიჯი.

ერთი წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, და არ შეეძლო არ დაენახვებია, რომ ფრაზის მომხრეთა მეთოდი გაკოტრდა. „დაპირებებზე“ არაფრის აგება არ შეიძლება, სასაცილოა რაიმეს დაყრდნობა სხვადასხვა ელემენტების გაერთიანებაზე — ისეთი ელემენტების, რომელთა გაერთიანებაც არ შეიძლება. გადაწყვეტილებები, რეზოლიუციები და ხელოვნურად შეკოწიწებული დაწესებულებები ნამდვილად მკვდარი ასოები, მკვდარი დაწესებულებები აღმოჩნდნენ. ის კი, რაც რეალური იყო პლენუმის საქმეებში, ის განვითარდა, განმტკიცდა, დაგვანახვა თავისი თავი მუშაობაში, გამონახა თავისთვის არსებობის ახალი ფორმები რეზოლიუციების გარეშე, ურეზოლიუციობოთაც.

ძნელია წარმოიდგინო რამე უფრო თვალსაჩინო და უფრო სამაგალითო გაკვეთილი, ვიდრე იმ ამბების გაკვეთილი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ერთი წლის განმავლობაში პლენუმის შემდეგ,—გაკვეთილი ,რომელიც მიეცა ხალხს, ვინც გატაცებული იყო ფრაზით, ცარიელი კეთილი სურვილებით, დაწესებულებებში ადგილების განაწილების თამაშით და სხვა.

რა იყო რეალური პლენუმის საქმეებში? რეალური იყო მითითება კავშირზე პარტიული მუშაობის იდეურ-პოლიტიკური შინაარსისა და ფრაქციების მოსპობას შორის. რეალური იყო შეკრება იმ ფრაქციებისა ანდა მიმდინარეობებისა, რომლებიც ეთანხმებოდნენ ერთმანეთს არა იაფ შემარიგებლურ ფრაზაზე, არა დაპირებებზე, არა ცენტრებში ადგილების განაწილების თამაშზე, არამედ მუშაობაში, მომენტის იდეურ-პოლიტიკურ ამოცანების გაგებაში, ამ ამოცანების საქმით დაყენებაში და გადაწყვეტაში.

სანამ ფრაქციების გაუქმებაზე გაისმოდა იაფი ფრაზები იმ ხალხის მიერ, რომელთაც არ ესმოდათ არც განხეთქილების ობიექტიური წყარო, არც ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც საქმით უზრუნველყოფდა ცნობილ ლიტერატორთა ჯგუფების (როგორც მაგ.: ბ-ნ პოტრესოვის და კომპანიის ჯგუფი, ანდა მახისტების და ოტზოვისტების ლიტერატორთა ჯგუფი 5), დამოუკიდებლობას პარტიისაგან,—მანამ ფრაზები რჩებოდა ცარიელ, უძლურ ფრაზებად. იმ დროიდან კი, როდესაც ორ ძირითად და მთავარ ფრაქციაში, რომლებმაც თავისი დაღი დაასვეს მუშათა მოძრაობის მთელს ისტორიას რევოლიუციის დროს და კიდევ უფრო მეტი: რევოლიუციის მთელს ისტორიას რუსეთში,—გაძლიერდა, ობიექტიური პირობების შეცვლის გამო, დაახლოვება მუშაობაში, დაახლოვება ამ ობიექტიური პირობების გაგებაში. ინტრიგანების არავითარ ღონისძიებებს,—იმ ინტრიგანების, რომელთაც სურთ ჩაშალონ ეს დაახლოვება ანდა უნდობლობა გამოიწვიონ მისდამი, არ შეუძლია შეაჩეროს დაწყებული პროცესი. *)

—:—

საქმის ფაქტიური ვითარება, რომელიც შეიქმნა პარტიაში პლენუმის შემდეგ, სრული სიცხადით გამოირკვა გასულ წელს. ფაქტია ის, რომ გოლოსოველებმა და ვპერიოდელებმა ხელი მოაწერეს რეზოლიუციას ლიკვიდატორობასთან და ოტზოვიზმთან ბრძოლის შესახებ, ნამდვილად კი მთელ თავიანთ პროპაგანდას და აგიტაციას, მთელ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდენ და ეწევიან სწორედ ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის მხარის დასაჭერად და დასაცავად.

ეს ფაქტი აჩვენებს იმათ, ვისაც აქვს თვალი ხედვად, თუ რამდენად უილაჯოა პოლიტიკა, რომელიც კმაყოფილდება ბურჟუაზიული რევოლიუციებით, რამდენად საზიანოა ფრაზა, რომელიც შორდება საქმეს.

შემდეგ. ფაქტია ის, რომ არც გოლოსოველებს და არც ვპერიოდელებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ თავიანთი ფრაქციული დამოუკიდებლობა. ორივე ფრაქცია არსებობს წინანდებურად და ფაქტიურად სრულიად დამოუკიდებელი არიან პარტიისაგან, აქვთ თავიანთი სალარო, თავიანთი ორგანოები ჰყავთ თავიანთი აგენტურა. ოტზოვისტების ფრაქციული ორგანიზაციის ფორმას წარმოადგენს მათი საზღვარგარეთული ეგრეთწოდებული „სკოლა“. (ნამდვილად კი ეს არის დაწესებულება აგენტურის სისტემატიურად შერჩევისათვის და გეგმაშეწონილი ორგანიზაციული მუშაობის წარმოებისათვის პარტიის დაუკითხავად და პარტიის წინააღმდეგ); „სკოლას“ თან ერთვის ცალკე გამომცემლობა და ტრანსპორტი. გოლოსოველების ფრაქციული ორგანიზაცია უფრო lose (უფრო „თავისუფალია“, ნაკლებად ჩამოყალიბებულია), ამასთან მთავარ როლს ასრულებენ პარტიისაგან სრულიად დამოუკიდებელი ჯგუფი ბ. პოტრესოვისა და კომპანიის, 16-ის ჯგუფი, მიხაილის, რომანის და იურის ჯგუფი კომპანიასთან ერთად. გოლოსოველები მეტად აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ამ ჯგუფებში, პარტიის წინააღმდეგ ეწევიან მთელ საპროპაგანდო - საავიტაციო და საორგანიზაციო მუშაობას და ამავე დროს უარს არ ამბობენ მონაწილეობის მიღებაზე პარტიულ ცენტრებში, რათა სისტემატიურად გამოუთხარონ ძირი მათ მნიშვნელობას და შიგნიდან დაშალონ ისინი.

ყოველ პარტიულ სოციალ - დემოკრატს არ შეუძლია არ დაინახოს, თუ საით კენ მიგვყავართ საქმის ასეთ ვითარებას.

ლიტერატურის დარგში — მთელი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ცენტრალურ ორგანოს ნამდვილად უძღვებიან ბოლშევიკები პლიუს პლეხანოველები რედაქციაში მოკალათებულ გოლოსოველების წინააღმდეგ. ცხოვრებამ გვერდი აუხვია იმ ჩარჩოებს, რომლებიც შექმნა შემარიგებელმა ფრაზამ: „შემარიგებლები“ დაპირებით, „შემარიგებლები“ თანამდებობით, „შემარიგებლები“ ლიკვიდატორულ ცენტრებში დაგვალობით მხოლოდ ხელს უშლიდენ მუშაობას. პლეხანოვი და მისი თანამოაზრენი, რომლებსაც არავითარი დაპირება არ მოუციათ პლენუმზე და, არავითარი თანამდებობა არ მიუღიათ, ნამდვილად აღმოჩნდენ პარტიული ხაზის გამტარებლები.

აღმაშფოთებელ წინააღმდეგობას ფორმასა და შინაარსს შორის, ფრაზასა და საქმეს შორის, ვითომდა პარტიული კოლეგიის (ცენტრალურ ორგანოს რედაქციის) აშკარა თვალთმაქცურ არსებობასა და ამ კოლეგიის გარეშე ცენტრალურ ორგანოში ფაქტიურ მუშაობას შორის უდიდესი დაშლა შეაქვს პარტიულ ცხოვრებაში. რათა მოისპოს ეს დაშლა, ფორმალურად პარტიული დაწესებულებათა დაყვანა ისეთ როლამდე, რომელიც იწვევს დამსახურებულ დაცინვას და პარტიის მტრების სიხარულს, საჭიროა ბოლო მოეღოს თვალთმაქცობას და აშკარად ითქვას, ის, რაც არის, აშკარად იქნას აღიარებული, რომ პარტიულ მუშაობას ეწევა ორი ფრაქცია.

საზღვარგარეთული გაერთიანების დარგში სრულიად არაფერი არ გაკეთებულა წლის განმავლობაში. ჯგუფები გათიშულია ყველგან, სადაც გათიშული იყვნენ ისინი წინადაც. მენშევიკ - ლიკვიდატორების ჯგუფები აშკარად გადაიქცენ „გოლოსის“ მხარის დამჭერ ჯგუფებად. დაახლოება დაისახა და დაიწყო ნამდვილად მხოლოდ ბოლშევიკებსა და პლეხანოველებს შორის. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიურო, როგორც სოციალ-დემოკრატების; საზღვარგარეთული მუშაობის გამაერთიანებელი, გადაიქცა სამასხაროდ, რომელსაც სამართლიანად დასცინიან პერიოდელებიც და გოლოსოველებიც, და კმაყოფილებით ადევნებენ თვალს თუ როგორ ასრულებს პარტიული ცენტრი პროვოკატორულ საქმეთა და ყველასათვის უსარგებლო ქაღალდების მიწერ - მოწერის კოლეგიის როლს.10).

ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დარგში, სახელდობრ ორგანიზაციულ მუშაობის დარგში ადგილებზე რუსეთში სრულიად არაფერი გაკეთებულა პარტიის სასარგებლოდ წლის განმავლობაში. ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც, თანახმად პლენუმზე მოცემულ „დაპირებებისა“ უნდა მოეწვია მიხაილები, რომანები, და იურიები, გულმოდგინეთ აკეთებდა რევოლიუციონერისათვის ამ მადლიან და ღირსეულ საქმეს — პარტიაში იწვევდა იმათ, ვინც დასცინის მას და განაგრძობს მისთვის საზიანო მუშაობას, მაგრამ ერთი წლის განმავლობაში ვერავის „მოწვევა“ ვერ მოასწრო. ხოლო ამ ხნის განმავლობაში ანტი-პარტიულმა ფრაქციებმა გააძლიერეს თავიანთი ორგანიზაციები პარტიის წინააღმდეგ: გაძლიერდა აგენტურა და განვითარდა ვპერიოდელთა ფრაქცია, გაძლიერდა ბ. პოტრესოვის ჯგუფი და სხ. ლიკვიდატორული დაწესებულებანი, რომლებიც განაგრძობდენ ქადაგებას პარტიის წინააღმდეგ მთელ რიგ კლუბებსა და კოოპერატივებში და სხვ., განაგრძობენ ინტრიგებს პარტიის წინააღმდეგ სათათბიროს სოციალ დემოკრატიულ ფრაქციასთან. ცენტრალური კომიტეტის როლი, რომელიც ამ დროს „იწვევდა“ ლიკვიდატორებს მიწერ - მოწერას აწარმოებდა გოლოსოველებთანა და ვპერიოდელების „კინკლაობის“ შესახებ; პირდაპირ დამამცირებელი როლია, და ჩვენ არ უნდა მივსცეთ ნება პარტიის მტრებს დაიყვანონ ცენტრალური კომიტეტი ამ როლამდე.

მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც სრულიად არა აქვთ აზროვნების უნარი, ან სურთ ხელი მიჰყონ წვრილმან ინტრიგას, შეუძლიათ კიდევ არ დაინახონ, რომ პარტიული ცენტრების ასეთი მდგომარეობის გაგრძელება აუცილებლად ამზადებს ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების გამარჯვებას, რომლებიც კმაყოფილებით ადევნებენ თვალს, თუ როგორ დაიბნა ცენტრალური კომიტეტი და განაგრძობს დაბნევას შემარიგებელ ფრაზაში, იმათთან შერიგების თამაშში, ვისაც არ სურს შეურიგდეს პარტიას.

შემარიგებელი ფრაზა საუცხოვოდ გაიგეს ლიკვიდატორებმა და ოტზოვისტებმა, და საუცხოვოდ გამოიყენეს იგი პარტიის წინააღმდეგ.

ამ ფრაზის გმირი ტროცკი სავსებით ბუნებრივად გახდა იმ ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების გმირად და ნაფიც ვექილად, რომელთაც იგი არაფერში არ ეთანხმება თეორიულად და ყველაფერში ეთანხმება პრაქტიკულად.

ამ ვექილის თავაზიანი დახმარებით ლიკვიდატორებმაც და პერიოდელებმაც საუცხოვოდ შეითვისეს ტაქტიკა: იფიცონ რამდენიც გნებავთ, რომ ისინი პარტიულები არიან. ამას იმეორებს „გოლოსი“ და „ვპერიოდი“-ს ჯგუფის პლატფორმა, საქმით კი განაგრძობენ პარტიის დაშლას და მთელ მუშაობას აწარმოებენ პარტიის წინააღმდეგ. ფორმალური და სიტყვიერი „შემარიგებლობა“ გადაიქცა „გოლოსის“ მიმდევარ ლიკვიდატორებისა და ვპერიოდელების იარაღად.

გასაგებია, რომ გასულელებულთა ამ როლის შესრულება ჩვენ, როგორც ბოლშევიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებს, არ შეგვიძლია. ჩვენ მთელი წელიწადი ვიცადეთ, ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შესაძლებელი იყო ვპერიოდელების, გოლოსოველების და ტროცკის ანტი-პარტიულობის განმარტებისათვის ცენტრალურ ორგანოს ფურცლებზე, ჩვენ არ შეგვიძლია ვიკისროთ პასუხისმგებლობა პარტიის წინაშე იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც გართული არიან ლიკვიდატორების „მოწვევით“ და მიწერ-მოწერით ვპერიოდელთა „საქმეების გამო“. ჩვენ გვსურს არა კინკლაობა, არამედ მუშაობა.

ჩვენ გვსურს საერთო მუშაობა იმათთან, ვისაც უნდა მუშაობა და ვინც საქმით დაამტკიცა, რომ მას შესწევს უნარი აწარმოოს პარტიული მუშაობა, ე. ი. პირველ რიგში პარტიულ მენშევიკებთან და ნამდვილ არაფრაქციულ სოციალ - დემოკრატებთან. ჩვენ არ გვსურს პასუხი ვაგოთ იმათთან, კინკლაობისათვის, ვისაც არ სურს იმუშაოს პარტიასთან ერთად, არამედ სურს იმუშაოს ბ. პოტრესოვთან და ოტზოვისტებთან.

საქმის ვითარება რუსეთში ისეთია, რომ პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციების მხრით საჭიროა გაძლიერებული და შეთანხმებული მუშაობა. კონტრ - რევოლიუციის ოქროს დღეების სამწლიანი პერიოდი (1908—1910 წ. წ.) როგორც სჩანს, დასასრულს უახლოვდება და მას სცვლის დაწყებული განვითარების პერიოდი. მიმდინარე წლის ზაფხულის გაფიცვებიც და, დემონსტრაციებიც ტოლსტოის სიკვდილის გამო, ცხადათ გვიჩვენებენ ამას. პარტიის ორგანიზაციული მუშაობა რუსეთში უკიდურესად შესუსტდა. და ამ სისუსტით სარგებლობენ ყოვლად უსირცხვილოდ ვპერიოდელები და გოლოსოველები, ისინი ანვითარებენ ანტი-პარტიულ მუშაობას რუსეთისა და უცხოეთის ფრაქციული ცენტრების დახმარებით.

ასეთ პირობებში ამ ფრაქციულ ცენტრებთან შერიგების თამაშის გაგრძელება, მათი დამოუკიდებლობის თვალთმაქცურად არდანახვა, მათი წარმომადგენლების „მიწვევა“ საერთო ბრძოლისათვის მათივე პოლიტიკის წინააღმდეგ, მათი დაფარვა პარტიის წინაშე მათი წევრების მიღებით ცენტრებში — ეს იმას ნიშნავს, რომ ვერასოდეს ვერ დავაღწიოთ თავი კინკლაობას. ეს ნიშნავს საზღვარგარეთის ცენტრების მუშაობის შეფერხებას, რომელიც ისედაც შეფერხებულია, მთელი წლის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის არც ერთი კრება არ ყოფილა მოწვეული რუსეთში, არც ერთი არა თუ კონფერენცია, არამედ პარტიის ადგილობრივი მუშაკების კერძო თათბირის მოწყობაც კი არ მოხერხდა (იმ დროს, როცა ოტზოვისტების „სკოლას“ და ლიკვიდატორების ლეგალურ ორგანოებს არა ერთხელ მოუსწრიათ ყოველგვარი თათბირების, აგენტების, ჟურნალის კორესპონდენტების და სხვ. კრებების მოწყობა პარტიის წინააღმდეგ).

ჩვენ ვალდებული ვართ მოვიხსნათ პასუხისმგებლობა გოლოსოველებთან შერიგების თამაშით დაბნეულ ცენტრების მუშაობის სრული გაყინვისათვის და დაუყოვნებლივ დავიწყოთ დამოუკიდებელი და ენერგიული მუშაობა ორთოდოქსალური ბოლშევიკების, პარტიული მენშევიკების და არაფრაქციონერ სოციალ - დემოკრატების შესამჭიდროვებლად თათბირების, კონფერენციების, საოლქო ბიუროების პარტიულ ლიტერატურასთან კავშირის ჯგუფების და სხვ. მოსაწყობად, უნდა გავაჩაღოთ ისეთი მუშაობა, რომელიც შესძლებს ნამდვილად გამოიყვანოს პარტია ჩიხიდან და გაანთავისუფლოს ცენტრები გოლოსოველებთან „არშიყობისაგან“, აქეთკენ მოვუწოდებთ ყველა პარტიულ სოციალ-დემოკრატებს.

ჯერ კიდევ ბოლშევიკური ფრაქციის სახელით, პლენუმამდე, 1909 წლის გაზაფხულზე ჩვენ გამოვაცხადეთ პარტიულ მენშევიკებთან 11) დახმარების პოლიტიკა, და მას შემდეგ ამ პოლიტიკამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო, მიუხედავად გოლოსოველების „დაპირებებისადმი“ ნდობის გამოჩენისა და მათი როგორც პარტიელების განხილვის უშედეგო ცდისა. ყოველივე ის, რაც მას შემდეგ გაკეთდა არა ვპერიოდოველთა ქადაგებისა და გოლოსოველთა მიერ ლიკვიდატორობის დაცვის, არამედ პარტიის ხაზის ნამდვილად განმტკიცებისათვის, ორივე მთავარი ფრაქციის ძირითადი ბირთვის ნამდვილი დაახლოებისათვის, — ყოველივე ეს მოვიმოქმედეთ, მიუხედავად გოლოსოველებთან შერიგების ამ უშედეგო ცდებისა. და, ვიხსნით რა პასუხისმგებლობას ამ ცდების გაგრძელებისათვის, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მივაღწევთ კიდევ უფრო მეტ დაახლოებას ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ადგილებზე „რაბოჩაია გაზეტა“-ს მეშვეობით, ლეგალური ლიტერატურის მეშვეობითაც, „რაბოჩაია გაზეტა“-ს მომხრეებისა და პლეხანოვის მომხრეების ჯგუფების საზღვარგარეთ მუშაობის მეშვეობითაც.

პლენუმის შემდეგ, რომელმაც სავსებით გარკვევით დასვა ფრაქციებისა და მათი მოსპობის საკითხი, რომელმაც ეს საკითხი პირველად დასვა თვით ამ ფრაქციების იდეურ-პოლიტიკურ ხაზთან დაკავშირებით, ე. ი. პირველად დასვა მუშაობაში ნამდვილად დაახლოების და არა ცარიელი, ფორმალური დაპირებებისა და სხვა ფრაზების მხედველობაში მიღების რეალურ ნიადაგზე,—[illegible] და [illegible] ერთი წლის გამოცდის შემდეგ უკვე არ შეიძლება ძველი თვალთმაქცური თვალხუჭია თამაშის გაგრძელება.

საჭიროა აშკარად მოქმედება. საჭიროა გაბედულად ითქვას ის, რაც არის. თუ ცენტრალური კომიტეტი მოისურვებს პირდაპირ და აშკარად უთხრას პარტიას ის, რაც არის, ეს უბრალო განცხადება მის ხელში გადაიქცევა უდიდესი ძალის იარაღად, რომელიც ასჯერ უფრო დამაჯერებელი იქნება, ვიდრე რომელიმე რეზოლიუცია, სურვილი, გაკიცხვა, გამორიცხვა და სხვ.

იმის თქმა, რაც არის, ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ყველა ფრაქციების მოსპობის ცდა, სამწუხაროდ, ჩაშალეს გოლოსოველებმა და ვპერიოდოველებმა. მაგრამ ძირითადი ბირთვის დაახლოებამ, ორი მთავარი ფრაქციის ნამდვილად პარტიული ელემენტების დაახლოებამ, მათმა დაახლოებამ ნაციონალებისა და არაფრაქციულ სოციალ-დემოკრატების პარტიულ ელემენტებთან გადასდგა ნაბიჯი წინ. თუ ტროცკი და ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების სხვა მისი მსგავსი ვექილები ამ დაახლოებას აცხადებენ „პოლიტიკურად უშინაარსო“ დაახლოებათ, ასეთი სიტყვები მოწმობენ მხოლოდ ტროცკის უპრინციპობას, მისი პოლიტიკის რეალურ მტრულ დამოკიდებულებას ფრაქციების ნამდვილი (და არა მხოლოდ დაპირებებით) მოსპობისადმი. პლენუმის შედეგების ერთი წლის გამოცდის შემდეგ ამ მოსპობის დაპირება—ნამდვილი შარლატნობაა. მაგრამ თუ ფრაქციების მოსპობა არის ფრაზა, სამაგიეროთ ორი მთავარი ფრაქციის ძირითად მიმდინარეობათა დაახლოება ფაქტია. არავითარი „ბლოკები“, არავითარი საზეიმო ვალდებულებანი, უთანხმოებათა მოსპობის არავითარი დაპირებანი ამ ფაქტიდან არ გამომდინარეობს, აქედან გამომდინარეობს პარტიის ნამდვილად აშენების რეალური შესაძლებლობა, მენშევიკების ერთი ნაწილისა და ბოლშევიკების ერთი ნაწილის თანამშრომლობაზე დაყრდნობით.

თუ ცენტრალური კომიტეტი მოისურვებს სრული თანმიმდევრობით დაადგეს ასეთი აღიარებისა და ასეთი მუშაობის გზას, მოისურვებს გადააქციონ ყველა ცენტრალური დაწესებულებანი ასეთი დაახლოების ორგანოებად, გაანთავისუფლოს ისინი სრულიად შეუფერხებელი და მავნე „არშიყობისაგან“ გოლოსოველებთან ან გოლოსოველების „მიწვევისაგან“, და შექმნის უკინკლაოდ მუშაობის შესაძლებლობას, მაშინ ჩვენ მთელი სულით და გულით და მთელი ძალღონით დავუჭერთ მხარს ამ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ საქმით ვატარებდით 1909 წლის გაზაფხულიდან, ე. ი. თითქმის მთელი ორი წლის განმავლობაში.

თუ ცენტრალური კომიტეტი არ მოისურვებს ამ აუცილებელი დასკვნის გამოტანას პლენუმისა და მისი შედეგების გაკვეთილებიდან, მაშინ მან მთლიანობის აღდგენის საქმე გადასცეს გოლოსოველების, ვპერიოდელების და ტროცკის კავშირს. ეს იქნება უფრო პირდაპირი და პატიოსანი მოქმედება, ჩვენ კი განზე ვდგებით ამ კავშირისაგან, რომელმაც საქმით დაამტკიცა თავისი ანტიპარტიულობა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ გვეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩვენი ნაბიჯის შესახებ ზოგიერთი ადამიანი (მათ შორის უეჭველად იქნებიან ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების დახელოვნებული ვექილები) ასტეხს ყვირილს „გათიშვის“ შესახებ. თუმცა მეტად გულუბრყვილო და მეტად თვალთმაქცური იქნება ასეთი ყვირილი, მაგრამ იმათი გასაფრთხილებლად *), რომლებიც არ არიან საქმის კურსში, საჭიროა შევჩერდეთ ამ მოსალოდნელ საწინააღმდეგო მოსაზრებებზე.

ფორმალური მხრით ჩვენი ნაბიჯი—განცხადება ფულის დაბრუნების შესახებ, იმ ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, რომელიც დავდევით სავსებით განსაზღვრულ პირობების საფუძველზე,—უსათუოდ კანონიერია. ცენტრალურ კომიტეტთან ჩვენ მიერ დადებულ ხელშეკრულების პირობები აშკარადაა განცხადებული, დაბეჭდილია ცენტრალურ ორგანოში და ერთხმადაა მიღებული ცენტრალურ კომიტეტის მიერ პლენუმზე. ამ პირობების მიღებით მთელი პარტიის სახელით და მათი დაბეჭდვით პარტიის ცენტრალურ ორგანოში, ცენტრალურმა კომიტეტმა სავსებით გარკვეულად აღიარა, რომ მხოლოდ ამ პირობების ნამდვილად შესრულების დროს შეუძლია მას მოგვთხოვოს განსაზღვრული ხასიათის მოქმედება. არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ გოლოსოველებმა და ვპერიოდელებმა ეს პირობები არ შეასრულეს, მიუხედავად მათ მიერ ხელმოწერილი რეზოლიუციისა, ამიტომ უდავოა ჩვენი ფორმალური უფლება გავაუქმოთ ეს ხელშეკრულება. ვაუქმებთ რა ამ ხელშეკრულებას, ჩვენ გამოვდივართ იმისათვის, რომ დამოუკიდებლად ვიბრძოლოთ პარტიულობისათვის დამოუკიდებლად ვიმუშაოთ პარტიის ასაშენებლად იმათი გამოკლებით ვინც მთელი წლის გამოცდილებით დაამტკიცა, რომ მას არ სურს ამისათვის მუშაობა, და იმ მენშევიკებთან და არაფრაქციონერებთან ერთად, რომლებმაც დაამტკიცეს წინააღმდეგი. თუ ხელშეკრულება, რომელიც პირდაპირ და გარკვევით ითვალისწინებს გოლოსოველებისა და ვპერიოდელების გადასვლას პარტიულობაზე, დაარღვიეს მათ ამ შემთხვევაში ჩვენს სრულ უფლებას და ჩვენს მოვალეობას შეადგენს გავაუქმოთ ხელშეკრულება იმ ადამიანებთან, რომლებიც დასცინიან პარტიას, და ვეძებოთ იმ ადამიანებთან დაახლოების ყოველგვარი შესაძლებელი ფორმა, რომლებიც მხარს უჭერენ პარტიას.

მაგრამ საქმის ფორმალურ მხარეზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის ნამდვილ ვითარებას. ამ მხრით განსაკუთრებით ნათლად ირკვევა გოლოსოველებისა და ვპერიოდელების თვალთმაქცობა, რომლებიც პლენუმზეც და პლენუმის შემდეგაც აცხადებენ პრესაში თავიანთი პარტიულობის შესახებ. ასეთი ადამიანების მხრით ამგვარი განცხადებების თვალთმაქცობა და გათიშვის შესახებ ყვირილის აშკარა სიყალბე იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამის შესახებ ბევრი ლაპარაკი არ ღირს. სწორედ გოლოსოველებმა და ვპერიოდელებმა შექმნეს მაშინვე პლენუმის შემდეგ,—უფრო სწორად, მიუხედავად თავიანთი დაპირებებისა პლენუმზე, განუწყვეტლივ ჰქმნიდენ ფაქტიურად გათიშვას, სწორედ ისინი მთელი წლის განმავლობაში განაგრძობდენ ამ გათიშვას, აძლიერებდენ მას, მხარს უჭერდენ პოტრესოვის ჯგუფისა და კომპანიის, ლიტერატორების—„მახისტური“ სკოლის მომწყობთა ჯგუფს და სხვ. დამოუკიდებლობას პარტიისაგან. ასეთი გამთიშველების პარტიულ ცენტრებში დატოვება შემდეგშიაც ნიშნავს პარტიის საქმის საბოლოოდ დაღუპვას. წინანდელი მდგომარეობის დატოვება, როცა ეს გამთიშველები პარტიულ ცენტრებში ყოფნას იყენებდენ იმისათვის, რომ შეეფერხებიათ ყოველგვარი მუშაობა, დაეშალათ პარტია შიგნიდან ბ. პოტრესოვის ან „მახისტური“ სკოლის ბელადების სასარგებლოდ,—ნიშნავს უდიდესი და გამოუსწორებელი ზიანის მიყენებას პარტიული გაერთიანების საქმისათვის.

უკვე დიდი ხანია ნათქვამია: არა ყოველი, რომელიც ამბობს „უფალო, უფალო“, დაიმკვიდრებს სასუფეველსა უფლისასა. და ჩვენც პლენუმის გამოცდილების შემდეგ უნდა გავიმეოროთ: არა ყოველი, რომელიც ამბობს იაფფასიან ფრაზებს პარტიულობის შესახებ, ნამდვილად პარტიულია. გოლოსოველებმა და ვპერიოდელებმა პარტია გათიშეს პლენუმის შემდეგ. ეს ფაქტია. ტროცკი იყო მათი ვექილი ამ საქმეში ესეც ფაქტია.

გათიშვის შესაჩერებლად, მისი გავრცელებისათვის ხელის შესაშლელად არ არსებობს სხვა საშუალება გარდა იმათი დაახლოების განმტკიცებისა და ფორმალურად დადასტურებისა, ვინც ნამდვილად ეწეოდა პარტიულ მუშაობას პლენუმის შემდეგ, ე. ი. გარდა პარტიელების, მენშევიკების და ბოლშევიკების შეთანხმების განმტკიცებისა.

ვაცნობებთ რა პარტიის საქმეებზე ჩვენი შეხედულებათა შესახებ ყველა პარტიულ მენშევიკებს, არაფრაქციულ პარტიულებს ს(ოციალ)-დ(ემოკრატებს) და ბოლშევიკებს, აგრეთვე ყველა ნაციონალურ ს(ოციალ)-დ(ემოკრატიულ) ორგანიზაციებს, ჩვენ მოუწოდებთ რუსეთის ბოლშევიკების ჯგუფებს დაუყოვნებლივ დაიწყონ შეკავშირება*) და შეუდგენ იმ თათბირებისა და კონფერენციებისათვის მზადებას, რომლებიც საჭიროა პარტიის აღსადგენად და რომლებიც აუცილებლად, ასეთი მდგომარეობის გამო, უნდა დაიწყოს მეტად მცირე, არაოფიციალურ და არაფორმალურ ცდებიდან. უფრო ვრცლად ლაპარაკი ამ ცდების ხასიათის შესახებ პრესაში უხერხულია.

ჩვენ მოუწოდებთ ბოლშევიკების საზღვარგარეთელ ჯგუფებსაც გარდაიქმნან იმნაირად, რომ შესწყვიტონ ყოველივე კავშირი ვპერიოდელებთან, რომლებმაც სავსებით დაამტკიცეს თავიანთი ანტიპარტიულობა და, ოტზოვიზმის ამ დამცველთა მხრით ხელის შეუშლელად, დაიწყონ სისტემატიური მუშაობა პარტიის განმტკიცებისათვის, სხვა ფრაქციების პარტიულებთან დაახლოვებისათვის, საერთო კლუბების, ლექციების, რეფერატების და სხვ. შექმნისათვის, გადასდგან მოსამზადებელი ნაბიჯი ყველა იმათ ნამდვილ საზღვარგარეთულ გაერთიანებისათვის, რომლებიც არ მიჰყვებიან ვპერიოდელებს და გოლოსოველებს. თუ იქ, სადაც არიან გოლოსოველები, აუცილებელია ორი პარალელური ჯგუფის არსებობა, ბოლშევიკებს არ შეფერის მოითმინონ თავიანთ ჯგუფებში ანტიპარტიული ვპერიოდელები. მათ შეუძლიათ იშოვონ თავშესაფარი გოლოსოველებთან**)

[ძირითადი ტექსტის დამატება.]

პლენუმზე ჩვენ დავდევით ხელშეკრულება ცენტრალურ კომიტეტთან; ჩვენის მხრივ ხელშეკრულების მიზანი და პირობა იყო ყველა ფრაქციების დაშლა და მათი საერთო ბრძოლა ლიკვიდატორობასთან და ოტზოვიზმთან. პირობა არ შესრულებულა. ხელშეკრულება ირღვევა. ჩვენი ძველი რედაქცია ისევ უდგება მუშაობას13) და მისი მიზანია: წასწიოს წინ პარტიის გაერთიანების საქმე და იხსნას იგი იმ შეცდომებისაგან, რომლებიც დაუშვა პლენუმმა***).

---

* შემდეგ მიდის წაშლილი ტექსტი, რომელიც ჩვენს მიერ მოქცეულია კვადრატულ ფრჩხილებში. რედ.

[რომ გამოვარკვიოთ ჩვენი პარტიის ცხოვრების ფაქტიური პირობები, რომლებსაც ანგარიშს არ უწევენ „შემარიგებლური“ ფრაზის გმირები, თვალი გადავავლოთ ლიკვიდატორული და ოტზოვისტური ჯგუფის ისტორიას პლენუმის შემდეგ.

იანვრის ბოლოს (ახალი სტილით) პლენუმი დამთავრდა საზღვარგარეთ, თებერვალში კი (ძველი სტილით) ბ-ნ პოტრესოვმა ლეგალურ პრესაში განაცხადა, რომ პარტია, როგორც მთლიანი ერთეული, არ არსებობს. 6). ეს ბატონი პოტრესოვი—„გოლოსის“ აშკარა თანამშრომელია, „საზოგადოებრივი მოძრაობის“ 7) სარედაქციო კოლეგიის წევრია მარტოვთან ერთად, მარტოვის, დანის და სხვათა კოლეგაა ლიკვიდატორულ ჟურნალებში. და აი მისი უახლოესი კოლეგები იღებენ საპატიო და მათთვის სასარგებლო ადგილებს (ცენტრალური ორგანოს რედაქტორების ადგილებს) სწორედ პარტიისაგან, როგორც მთლიან ერთეულისაგან, იღებენ ბ. პოტრესოვის დანიშვნასაც კი ლეგალურ გაზეთის რედაქტორად, და მეორე დღეს „მათი“ ჟურნალი „ჩვენი განთიადი“ აცხადებს პრესაში, რომელსაც ითმენს სტოლიპინი (და რატომ არ უნდა მოითმინოს მან ის!), რომ პარტია არ არსებობს როგორც მთლიანი ერთეული“... ამავე დროს 16 პრაქტიკოს-ლიკვიდატორი რუსეთიდან (ლიკვიდატორული მოძრაობის ყველაზე უფრო გამოჩენილი და ხელმძღვანელი მოღვაწეები) გამოდიან „გოლოსში“ ლიკვიდატორების დაცვით და პარტიის დაცინვით 8), ამავე დროს სამი ცეკისტი - ლიკვიდატორი (ლიკვიდატორული მიმდინარეობის იმავე ფაქტიური ხელმძღვანელები რუსეთში) უარს ამბობენ ცეკაში შესვლაზე და ცეკას არსებობას საზიანოთ სთვლიან. 9)

იმ ხალხს, რომელსაც არ შეუძლია ამ ფაქტების პოლიტიკური მნიშვნელობის გაგება, ჩვენ].

*) შემდეგ წაშლილია: „ცდუნებისაგან თუნდაც სრულიად“. რედ.

*) შემდეგ წაშლილია: „მუშათა გაზეთის გარშემო“. რედ.

**) ხელთნაწერში ეს აბზაცი წაშლილია რედ.

***) ეს დამატება ხელთნაწერში წაშლილია. რედ.

II

იუდა ტროცკის უტიფრობის შესახებ*)

(1911 წელი)

პლენუმზე იუდუშკა ტროცკი ილაშქრებდა ლიკვიდატორობის და ოტზოვიზმის წინააღმდეგ. ფიცულობდა, რომ იგი პარტიულია. ღებულობდა სუბსიდიას 14).

პლენუმის შემდეგ ცენტრალური კომიტეტი შესუსტდა გაძლიერდნენ ვპერიოდელები — გაიჩინეს ფული. გამაგრდენ ლიკვიდატორები, რომლებიც „ნაშა ზარია“-ში სტოლიპინის წინაშე სახეში აფურთხებდენ არალეგალურ პარტიას.

იუდუშკამ „პრავდა“-დან გააძევა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი 15) და დაიწყო ლიკვიდატორული წერილების წერა „ფორვერტს“-ში. მიუხედავად იმ სასკოლო კომისიის პირდაპირი გადაწყვეტილებისა, რომელიც დანიშნა პლენუმმა და რომელმაც დაადგინა, რომ არც ერთი პარტიული ლექტორი არ წასულიყო ვპერიოდელების ფრაქციულ სკოლაში, იუდუშკა ტროცკი მაინც გაემგზავრა იქ და იხილავდა ვპერიოდელებთან ერთად კონფერენციის მოწყობის გეგმას. ეს გეგმა ეხლა „ვპერიოდ“-ის ჯგუფმა გამოაქვეყნა ფურცლის სახით.

და ეს იუდუშკა გულში იცემს ხელს, გაჰყვირის თავის პარტიულობაზე და გვარწმუნებს, რომ იგი არასოდეს არ ხოხავდა ვპერიოდელებისა და ლიკვიდატორების წინაშე.

ასეთია იუდუშკა ტროცკის უტიფრობა.

⁂

იმ პირებს, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდა პარტიის თანხები და სხვა ქონება.

1) ე. კაუცკის, ფ. მერინგს და კ. ცეტკინს.

2) ბოლშევიკების განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნებული იყო იანვრის პლენუმზე („სოციალ-დემოკრატი“ № 11 1910 წ. 26 თებერვლის) ნათქვამია:

„ისეთ ნაბიჯებად, რომლებიც გვაიძულებს ჩვენ მოვსთხოვოთ ხაზინადარს ფულის დაბრუნება, ჩვენ ვსცნობთ: მენშევიკების მიერ მათი ხელმძღვანელ ფრაქციული ორგანოს გამოცემის გაგრძელებას, მენშევიკების ფრაქციული სალაროს შენარჩუნებას, რუსეთსა და საზღვარგარეთ საერთოდ პარტიული ცენტრებისათვის დახმარების უარყოფას“.

3) მენშევიკები მარტოვი და დანი შეყვანილ იქნენ ცენტრალური ორგანო „სოციალ დემოკრატ“-ის რედაქციაში, სადაც აგრეთ-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

---

*) ვინაიდან ჩვენი გაზეთის 23 იანვრის ნომერში მოთავსებული ეს დოკუმენტი არ იყო გამოცემული სრულად, ვათავსებთ განმეორებით.

რედ.

მშენებლობის დარგშიო და სხვ. ეს აშკარად ობივატელური, ლიბერალურ-ოპორტუნისტული ლაყბობა, რომელიც მოწმობს სიფხიზლის მიძინებას, კლასობრივი ბრძოლის პირობებში გარკვევის უნარის დაკარგვას, უარყო სინამდვილემ.

სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს აპარატმა გამოაშკარავა და მოსპო მავნებლური ორგანიზაციები საქართველოს მიწსახკომში, საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში, „საქართველოს ჩაი“-ში და სხვაგან.

მავნებლობამ ყველაზე უფრო ღრმად გაიდგა ფესვები მიწათმოწყობის და [illegible] კანონმდებლობის დარგში, წყალთა მეურნეობის, ბამბის და ჩაის საქმეში.

მავნებელთა მთავარ მიზანს მიწათმოწყობის დარგში წარმოადგენდა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების განმტკიცება, და გაძლიერება, კულაკზე, როგორც ანტისაბჭოთა მოძრაობის მთავარ ფიგურაზე დაყრდნობა და ამავე დროს ღარიბი და საშუალო გლეხის ინტერესების შელახვა, რათა ამ გზით გამოეწვიათ გლეხობის ძირითადი მასების კონფლიქტი მუშათა კლასთან, ხელისუფლებასთან.

ორგანიზაციის დაპატიმრებული წევრი— სპეციალისტი ნადარეიშვილი შემდეგ ჩვენებას იძლევა: „მიწის კოდექსის ხაზი სავსებით ისეთი იყო, რომელიც ანვითარებდა და ანმტკიცებდა კაპიტალისტურ ურთიერთობას სოფლად, სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარებისა და განმტკიცების საზიანოდ“.

იმავე ორგანიზაციის მეორე მონაწილე გოგილაძე — მიწსახკომის სამიწადმომწყობო განყოფილების ყოფილი გამგე იძლევა შემდეგ ჩვენებას: „ამ სამიწადმომწყობო მუშაობის მთელი რეაქციონური ხასიათის გასაგებათ საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი არა თუ არ შეიცავდა საბჭოთა თვალსაზრისის არც ერთ ელემენტს, არამედ წარმოადგენდა ნაბიჯს უკან მიწათმოწყობის ბურჟუაზიულ ფორმებთანაც შედარებით“.

ხუთწლედის წარმატებებმა, სოციალისტური მშენებლობის კოლოსალურმა მიღწევებმა. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ ძირფესვიანად შესცვალეს მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში, განამტკიცეს საბჭოთა კავშირის მდგომარეობა და კიდევ უფრო უიმედო გახადეს კაპიტალისტური და ბურჟუაზიული ელემენტების ზრახვანი.

ახალ ვითარებას არ შეეძლო არ გამოეწვია გარდატეხა ძველი ტეხნიკური ინტელიგენციის ფსიქოლოგიაში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ.

ძველი საწარმოო ტეხნიკური ინტელიგენცია ჩვენთვის საჭიროა. ჩვენ რაც შეიძლება უკეთ უნდა გამოვიყენოთ მისი დიდი გამოცდილება და ცოდნა.

ჩვენ არ უნდა შევასუსტოთ სიფხიზლე და ამავე დროს ჩვენი ძველი სპეციალისტების მიმართ უნდა გამოვიჩინოთ ნდობა, ყურადღება და მზრუნველობა, ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი მათ ინიციატივას ჩვენი საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების დარგში.

ამხ. სტალინმა იმავე სიტყვაში სთქვა შემდეგი:

„დამოკიდებულების შეცვლა ძველი სკოლის საინჟინრო - ტეხნიკური ძალების მიმართ, მეტი ყურადღებისა და მზრუნველობის გამოჩენა მათ მიმართ, მათი უფრო გაბედულად ჩაბმა მუშაობაში —ასეთია ამოცანა“.

მზრუნველობა ჩვენს სპეციალისტებზე მათი მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე რეალურ და გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისახოს არა მარტო ყოველმა სამეურნეო მუშაკმა, არამედ მომარაგების სახალხო კომისარიატმაც სპეციალისტების მომარაგების გაუმჯობესების დარგში, განათლების სახალხო კომისარიატმა სპეციალისტთა ბავშვების აღზრდისა და განათლების საქმეში და სხვ.

ჯერ - ჯერობით სავსებით არ მომხდარა გარდატეხა სპეციალისტების მიმართ. ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი საკუთარი უთავბოლობის და მუშაობაში უუნარობის გასამართლებლად მზად არის საწარმოოს მთელი დეფექტები მიაწეროს მავნებლობას, მავნებლობას ეძებენ იქ, სადაც იგი ნამდვილად არ არის.

არიან ისეთი სამეურნეო მუშაკებიც, რომლებიც საერთოდ მზად არიან სპეციალისტის ყოველი მარცხი შეაფასონ როგორც მავნებლობა.

სიფხიზლე უსათუოდ საჭიროა, მაგრამ, ყოვლად დაუშვებელია მისი გამოაშკარავება ჩვენი სპეციალისტების საწარმოო შემოქმედებითი ინიციატივის შეზღუდვის სახით, მათ გარშემო უნდობლობის ატმოსფერის შექმნის სახით და სხვ.

მავნებელთა ორგანიზაციები მთელი წლობით მუშაობდენ და საგრძნობი ზიანი მოაყენეს ჩვენს სახალხო მეურნეობას.

მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის მოიწყო მთელი რიგი კომისიები და თათბირები. მაგრამ პირდაპირ უნდა სთქვას, რომ ამ დარგში ჯერ - ჯერობით ძალიან ცოტა რამ გაკეთდა რეალურად. არც ჩაის, არც წყალთა მეურნეობის და არც მიწათმოწყობის დარგში ჩვენ ჯერ - ჯერობით არ მოგვისპია სავსებით მავნებლობის შედეგები.

ეს ჩვენს ერთ-ერთ მორიგ და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ჩვენი პარტიის შემდგომი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს კონკრეტული ხელმძღვანელობის ნიშნით ყველა პარტიულ რგოლებში, დაწყებული ცენტრალური კომიტეტით და გათავებული ძირეული უჯრედით. კონკრეტული ხელმძღვანელობის ეს მეთოდი გამოყენებულ უნდა იქნას საბჭოთა, პროფესიონალური და სხვა მუშაობის დარგშიაც.

ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა შევასუსტოთ ბრძოლა ჩვენი პარტიის შემჭიდროებისა და მონოლიტობისათვის, ჩვენი რიგების მთლიანობისათვის.

ამხ. სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს სხდომაზე სთქვა, რომ „ამიერ - კავკასიაში არსებობს არა პარტიული ორგანიზაცია, არამედ ცალკე ატამანების ნებისყოფა“.

ეს „ატამანშჩინა“ ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ დაუზოგავად და აღმოვფხვრად საბოლოოდ მიუხედავად იმისა, თუ ვინ შეეცდება გაატაროს იგი.

ბრძოლამ შემჭიდროებისათვის უკვე გამოიღო ბრწყინვალე შედეგები.

ამხ. [illegible] შემდეგ ჩვენ ამიერ-კავკასიაში არ გვქონია ასეთი ძმური შემჭიდროება ცალკე რესპუბლიკათა შორის, აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს კომპარტიებს შორის. აზერბეიჯანის კომპარტია — ამიერ - კავკასიის პროლეტარიატის მოწინავე რაზმი — თავისი ცენტრალური კომიტეტის და საუცხოვო ბოლშევიკის ამხ. პოლონსკის ხელმძღვანელობით, სომხეთის კომპარტია ცენტრალური კომიტეტის და ამხ. ხანჯიანის ხელმძღვანელობით ამჟამად გვაძლევენ იმ შეთანხმებული მუშაობის ნიმუშებს, რომელიც შეიძლება არსებობდეს მოძმე კომპარტიებს შორის. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტი ბოლშევიკურად ჩაუდგეს სათავეში ამ ბოლშევიკური შემჭიდროების ენტუზიაზმს, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ასე იქნება.

ამხანაგებო! მიუხედავად ცალკე შეცდომებისა და დეფექტებისა, ის წარმატებანი, რომელთაც ჩვენ მივაღწიეთ, უდიდესია.

პარტიამ ამ წარმატებებს მიაღწია შეურიგებელ ბრძოლაში ორ ფრონტზე, პარტიის გენერალური ხაზის სწორად გატარების საფუძველზე საკ. კ. პ. (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით.

კლასობრივი მტრის წინააღმდეგობის დაძლევით, მისი აგენტურის — „მემარცხენე“ ოპორტუნისტების და განსაკუთრებით ეხლანდელ ეტაპზე მემარჯვენე ოპორტუნისტების მხილებით, სიფხიზლის გაძლიერებით ჩვენს წინააღმდეგ მტრულად განწყობილ უცხო კლასობრივი ელემენტების გამოსვლების მიმართ, ჩვენ მთელი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ შემდეგი ლოზუნგით: უფრო მაღალ დონეზე ავსწიოთ იდეურ - პოლიტიკური მუშაობა, გავშალოთ თვითკრიტიკა, გამოვასწოროთ დაშვებული შეცდომები და გავაძლიეროთ ბოლშევიკური შემჭიდროება ბრძოლაში პარტიის გენერალური ხაზისათვის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციისათვის, დადგენილების, რომელიც ჩვენთვის წარმოადგენს მოქმედების საბრძოლო პროგრამას.

„ატამანშჩინა“-ს და „არტელშჩინა“-ს ფესვების საბოლოოდ აღმოფხვრა, ანტიპარტიული დაჯგუფების ყოველგვარი გამოაშკარავების დაძლევა ბოლშევიკური პარტიის რკინისებური დისციპლინის შერყევის ყოველგვარი ცდის ალკვეთა, მკაცრი პასუხის მოთხოვნა ყველა იმათთვის, ვინც შეეცდება ჩირქი მოსცხოს ლენინიზმის ორგანიზაციულ - იდეური პრინციპების სიწმინდეს; — ყველა ამ მოთხოვნით უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს ყოველმა ბოლშევიკმა მთელ თავის ყოველდღიურ მუშაობაში.

ჩვენი ამოცანები დიდი და ფართოა. მდგომარეობა რთული და საპასუხისმგებლოა. ომის საფრთხეს აქტუალური მნიშვნელობა ეძლევა.

მე უეჭველად გამოვხატავ ყველა თქვენგანის გრძნობას, თუ ვიტყვი, რომ ამ საპასუხისმგებლო მომენტში ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია — საბჭოთა ქვეყნის მშვიდობიანი მუშაობის ეს ბურჯი უყოყმანოდ შეასრულებს ყოველივე იმას, რასაც დააკისრებს მას ისტორია.

ჩვენ, ამხანაგებო, რა თქმა უნდა, მშვიდობიანობის მომხრე ვართ. ბრძოლა მშვიდობიანობისათვის წითელი ზოლივით ტარდებოდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ მანძილზე, მთელმა ქვეყანამ იცის ეს, მაგრამ თუ საჭირო იქნება მთელი არმია, ყველა ჩვენ უკლებლივ, როგორც ერთი კაცი მკერდით დავიცავთ მშრომელთა ერთად - ერთ სოციალისტურ სამშობლოს.

ჯერ - ჯერობით კი ჩვენი დიადი სოციალისტური მშენებლობა გრძელდება ისე, რომ ერთი წუთითაც არ შენელებულა.

ამხ სტალინის ექვსი ისტორიული მითითების განხორციელებისათვის ბოლშევიკური ბრძოლით, „ახალ პირობებში მუშაობას ახალ წესზე გარდაქმნით“, შეურიგებელი ბრძოლის გაჩაღებით ორ ფრონტზე, ტროცკისტული კონტრაბანდისტების, შემარიგებლების, დამპალი ლიბერალების და ყველა ჯურის ოპორტუნისტების დაძლევით, საქართველოს კომუნისტური პარტია დაამტკიცებს, რომ იგი იყო, არის და იქნება საკ. კ. პ. (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის ერთგული დასაყრდენი.

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ამხ. სტალინს!

(მქუხარე ტაში).

დასაწყისი მე-3 გვ.

ვე შევიდა ორი ბოლშევიკი (ლენინი და ზინოვიევი) და პოლონეთის ს.-დ. წარმომადგენელი.

4) გულისხმობს დეკემბრის საერთო პარტიულ კონფერენციას 1908 წ. (ძვ. სტილი) პარიზში.

5) პოტრესოვი იდეურად ხელმძღვანელობდა ლიკვიდატორულ ჯგუფს, რომელიც უშვებდა არალეგალურ ჟურნალს „ნაშა ზარია“-ს. „მახისტური და ოტზოვისტური“ ლიტერატორები: ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი, ალექსინსკი, ლიადოვი და სხვ 1909 წლის ზაფხულზე გამორიცხულ იქნენ ბოლშევიკების რიგებიდან; ამჟამად მათ ფრაქციულ ცენტრს წარმოადგენდა ფრაქციული სკოლა ბოლონიაში.

6) ლიკვიდატორების ჟურნალ „ნაშა ზარია“-ში (№ 2, 1910 წ.) პოტრესოვმა პროგრამულ წერილში განაცხადა, რომ „არ არის პარტია, როგორც მთლიანი და შეკავშირებული იერარქია დაწესებულებების“.

7) „საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში მე-20 საუკუნის დასაწყისში“—1905 წლის რევოლუციის ისტორიის 5-ტომიან შრომას რედაქტორობდნენ მარტოვი, პოტრესოვი და სხვ.

8) 16 რუსმა მენშევიკმა (მათ შორის ც. კ-ის წევრებმა რომან-ერმოლაევმა და იური—ბრონშტეინმა „გოლოს სოციალ-დემოკრატა“-ში გამოაქვეყნეს ლიკვიდატორული მანიფესტი, რომელშიაც ამართლებდნენ წასვლას არალეგალური პარტიიდან, რომელიც თითქოს „მოკვდა“.

9) ც. კ-ის რუსეთის კოლეგიაში, პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად, ბოლშევიკებიდან უნდა შესულიყვნენ შემარიგებლები: ნოგინი, რიკოვი, დუბროვინსკი გოლდენბერგი; მეშკოვსკი და ლინდოვი; მენშევიკებიდან: ჟორდანია; რამიშვილი; ისუვი („მიხეილი“); ერმოლაევი („რომან“); ბრონშტეინი („იური“) და, ამას გარდა, ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების (პოლონეთის, ლატვიის, ბუნდას) 3 წარმომადგენელი, მენშევიკებს აღებული ჰქონდათ კურსი ც. კ-ის მუშაობის მთლიანად ჩაშლისაკენ. 1910 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ არ მოხერხდა ც. კ.-ის შეკრება. შემარიგებლები ც. კ-დან ყოველნაირად „ეარშიყებოდენ“ (ლენინის სიტყვები) ლიკვიდატორებს და ცდილობდენ, რომ ამ უკანასკნელებს მიეღოთ მონაწილეობა ც. კ-ში.

10) ც. კ-ის საზღვარგარეთელი ბიურო შესდგებოდა 5 წევრისაგან (ბოლშევიკი, მენშევიკი, პოლონეთის სოც.-დემოკრატი, ლატვიის სოც.-დემოკრატი და ბუნდელი). 1910 წლის ნახევრიდან ბიუროს უმრავლესობას შეადგენდნენ ლიკვიდატორები, რომლებმაც ც. კ-ის საზღვარგარეთელი ბიურო გადააქციეს ბოლშევიკებთან ბრძოლის და ც. კ-ის იმ პლენუმის ჩაშლის იარაღად, რომლის მოწვევასაც დაჟინებით მოითხოვდენ ბოლშევიკები.

11) ნაგულისხმევია „პროლეტარია“-ს რედაქციის გაფართოებული თათბირი (1909 წლის ივნისი).

12) „რაბოჩაია გაზეტა“—ბოლშევიკების პოპულიარული ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1910-12 წლებში.

13) 1910 წლის იანვრის პლენუმამდე „სოციალ-დემოკრატ“-ში უმრავლესობა ეკუთვნოდა ბოლშევიკებს (3 ბოლშევიკი, 1 პოლონეთის სოც.-დემოკრატი, 1 მენშევიკი).

14) სუბსიდიას ც. კ-იდან თითქოს არაფრაქციულ გაზეთის „პრავდა“-ს გამოსაცემად.

15) ამ წარმომადგენლად იყო ლ. კამენევი, რომელიც პლენუმზე იცავდა ტროცკისთნა „გაერთიანებას“.

16) „ფორვერტს“-ი გერმანიის ს.-დ. ცენტრალური ორგანო.

წინასწარ ხელი მოაწერეს

თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის

მოსკოვი, 26 იანვარი. 25 იანვარს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა და პოლონეთის მოსკოველმა ელჩმა ბ. პატეკმა წინასწარ ხელი მოაწერეს თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის. პაქტის პირველი მუხლი ამბობს:

„ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარე ადასტურებს, რომ მათ უარი განაცხადეს ომზე, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღზე, ისინი თავიანთ ურთიერთობაში კისრულობენ თავი შეიკავონ ერთი მეორის მიმართ ყოველგვარი აგრესიული მოქმედებისაგან ან ერთი მხარის მეორეზე თავდასხმისაგან როგორც ცალკე, ისე სხვა სახელმწიფოებთან ერთად, ამასთან ამ მუხლის ვალდებულებათა საწინააღმდეგო მოქმედებად ჩაითვლება ძალადობის ყოველგვარი აქტი, რომელიც არღვევს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიის მთლიანობას და ხელშეუხებლობას, ან პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, თუნდაც ეს მოქმედება განხორციელდეს ომის გამოუცხადებლად და მისი ყველა შესაძლებელი გამოხატულების აცილებით“.

მეორე მუხლი ამბობს:

„იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ მხარეს თავს დაესხმის მესამე სახელმწიფო, ან სახელმწიფოთა ჯგუფი, ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარე კისრულობს არც პირდაპირ, არც არა პირდაპირ არ აღმოუჩინოს დახმარება და ხელი არ შეუწყოს თავდამსხმელ სახელმწიფოს მთელი კონფლიქტის განმავლობაში. თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარე მიმართავს აგრესიას მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ, მეორე მხარეს უფლება ექნება გაუფრთხილებლად გააუქმოს ეს ხელშეკრულება“.

მესამე მუხლი ამბობს:

„ხელშეკრულების მონაწილე თითეული მხარე კისრულობს არ მიიღოს მონაწილეობა რაიმე შეთანხმებაში, რომელიც აგრესიული თვალსაზრისით აშკარად მიმართულია მეორე მხარის წინააღმდეგ (გამოტოვებულია)“.

მეხუთე მუხლში ლაპარაკია იმ დავის შემთანხმებელი პროცედურის გზ[illegible], რომელიც შეიძლება წარმოიშვას.

ხელშეკრულება დამტკიცდება რაც შეიძლება მოკლე ვადაში და დამტკიცებული სიგელები გაიცვლება ვარშავაში 30 დღის ვადაში საბჭოთა კავშირის და პოლონეთის მიერ მისი რატიფიკაციის დღიდან, რის შემდეგ ხელშეკრულება დაუყონებლივ შევა ძალაში. ხელშეკრულება დადებულია 3 წლის ვადით იმ ანგარიშით, რომ, რამდენადაც ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს მის გაუქმების შესახებ ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატიურად გაგრძელდება შემდეგი ორი წლის ვადით (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მისალმება ამხ. სკრიპნიკს

მოსკოვი. 25. იან. „გამობრძმედილ ძველ ბოლშევიკს ამხ. სკრიპნიკს მისი დაბადების 60 წლის თავზე საკ. კ.პ.(ბ) ცეკას უძღვნის ბოლშევიკურ სალამს.

საკ. კ.პ.(ბ) ცეკა

ამხ. სკრიპნიკი

საკ. კ.პ.(ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მისალმება

მტკიცე ლენინელს, რომელმაც პროლეტარულ რევოლუციონერის აღტკინება გაატარა ციხისა და გადასახლების მრავალ წლებში, სამი რევოლუციის გმირულ ათეულ წლებში — ამხ. ნიკოლოზ სკრიპნიკს საკ. კ. პ. (ბ) ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტი მებრძოლ სალამს უძღვნის ორმაგ იუბილეს დღეს. თავისი თავგანწირული დაუღალავი ბრძოლით მშრომელთა საქმისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისთვის, ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკისთვის, თქვენ ფართოდ გავეცნოთ და შეგიყვარათ მთელი საბჭოთა კავშირის, დასავლეთ უკრაინის და ყველა იმ ქვეყნების პროლეტარიატმა, მშრომელმა მასებმა, სადაც ლენინის დროშით ბრძოლას აწარმოებენ უკრაინელი მუშები და გლეხები, დეე თქვენი სახელოვანი ბრძოლის ცხოვრების შემდგომი ათეული წლები სავსე იყოს იმავე ცხოველი ენერგიით ლენინის საქმის დამთავრებისთვის ბრძოლაში, რისთვისაც თქვენ ასე გაფასებენ და უყვარხართ თქვენს ძველ მეგობრებს და თანამებრძოლთ, რაც თქვენს ცხოვრებას სანიმუშოდ ხდის კომუნიზმის ახალგაზრდა გვარდიისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კავკ. სამხარეო კომიტეტი.

ამხ. სტუჩკას გარდაცვალება

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

მოსკოვი. 25 იან. საკ. კ.პ.(ბ) ც.-კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება ძველი ბოლშევიკის, ჩვენი პარტიისა და კომინტერნის აქტიური მოღვაწის, მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის რევოლუციონური მებრძოლის ამხ. სტუჩკას გარდაცვალებას (ადს).

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმისაგან

მოსკოვი. 25 იან. საკ. ცაკის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება ამხ. პეტრე იანესძე სტუჩკას გარდაცვალებას 1932 წ. 25 იანვარს. (ადს).

ამხ. სტუჩკას დამკრძალავი კომისია

მოსკოვი. 25. საკ ცაკის პრეზიდიუმმა გამოჰყო ამხ. სტუჩკას დამკრძალავი სპეციალური კომისია ამხ. კრილენკოს თავმჯდომარეობით. დაკრძალვის დრო და წესი ცალკე იქნება გამოცხადებული. (ადს).

ა.-კ. ცაკის სესია

25 იანვარს თბილისში წითელი არმიისა და ფლოტის სახლში გაიხსნა ა.-კ. ცაკის მეორე სესია.

სესია გახსნა ამხ. ფ. მახარაძემ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ განვლილ პერიოდში ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერატიულ და სხვა აპარატების გაუმჯობესებას.

საბჭოთა აპარატი ამჟამად საკმაოდ განმტკიცებულია და შეეფარდება სოციალიზმის მშენებლობის მძლავრ ტემპებს. მიუხედავათ ამისა, საბჭოთა აპარატს ზოგიერთ საფეხურზე საქმე სულ კარგად კიდევ ვერ არის. გადამჭრელი ბრძოლა სჭირდება, რომ ეს ნაკლოვანებები უახლოეს მომავალში აღმოფხვრილ იქნან და მათ ხელი არ შეუშალონ ჩვენს მშენებლობას. ამ მიზნით ა.-კ. ცაკმა გასული წლის დამლევს ჩაატარა ამიერ-კავკასიის ქალაქების საბჭოების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც დადებითი შედეგები გამოიღო. გარდა ამისა, გასული წლის შემოდგომაზე ა.-კ. ცაკის დადგენილებით ჩატარებული იქნა სოფლის საბჭოების შემოწმება.

ა.-კ. ცაკის მეორე სესია, განაცხადა ამხ. მახარაძემ,—იკრიბება მეტად საპასუხისმგებლო მომენტში, როდესაც ჩვენ დავამთავრეთ 5-წლედის მესამე გადამწყვეტი წელი და გადავედით 5-წლედის საბოლოო მე4 წელიწადში.

რა დავალებები გვაქვს ჩვენ 5-წლედის საბოლოო მე-4 წელიწადში? ამ დავალებებს უნდა იცნობდეს არა მარტო პარტიის წევრი ან უპარტიო პასუხისმგებელი ამხანაგი, არამედ უნდა იცნობდეს აგრეთვე თითეული მუშა და თითეული გლეხი.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები არ ნახულა კაცობრიობის ისტორიაში. ისე სწრაფად სვლა წინ, როგორც ჩვენ მივდივართ, შესაძლოა მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, როდესაც მშრომელთა მასები დაინტერესებული არიან ამ მშენებლობის და უშუალო მონაწილეობას იღებენ მასში.

მთელს მსოფლიოში ამჟამად ვითარდება მხოლოდ ჩვენი ქვეყანა.

ყოველი ძალღონე უნდა ვიხმაროთ მიმდინარე წლის დავალებათა შესრულებისათვის. მიღწევების არსებობა და ის ფაქტი, რომ ჩვენ წინ ვუსწრებთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყოველივე ამას იოლად ვაღწევთ, რომ ჩვენ არა გვაქვს სიძნელეები. არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს და ჩვენ არავის არ ვუმალავთ, რომ დიდი სიძნელეები გვაქვს. მაგრამ ეს სიძნელეები არის ზრდის სიძნელეები. სულ წინააღმდეგი ხდება ბურჟუაზიული სამყაროს ქვეყნებში. არავის შეუძლია სთქვას, რომ იქ კეთილდღეობაა და პროგრესი.

უკვე მესამე წელიწადია, რაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში თანდათან იზრდება სამრეწველო-სამეურნეო და ფინანსიური კრიზისი. წარმოება დღითი-დღე სისტემატიურად მცირდება.

ბურჟუაზიული გაზეთები ვეღარ ფარავენ, რომ არის მხოლოდ ერთი ქვეყანა—საბჭოთა კავშირი, რომელიც ზრდის და ადიდებს თავის პროდუქციას, როდესაც მსოფლიოს მეორე პოლიუსზე, ყველა ბურჟუაზიული და კოლონიალურ ქვეყნებში, მწვავდება რევოლუციონური მოძრაობა. ბურჟუაზია გაფაციცებით ეძებს გამოსავალს, მაგრამ მას ვერავითარი ზომა ვერ იხსნის. გამოსავალი მისთვის არის მხოლოდ ახალი იმპერიალისტური ომი, რომლისთვისაც იგი განუწყვეტლივ ემზადება.

ჩვენს მშვიდობიანობის პოლიტიკას იცნობს მთელი ქვეყანა. ამ პოლიტიკას ჩვენ ვატარებთ არა სიტყვით, არამედ საქმით. ჩვენი მთავრობა განუწყვეტლივ იბრძვის მშვიდობიანობის პოლიტიკისათვის. ომის თავიდან აცდენის მიზნით იდება ხელშეკრულებები. მაგრამ ხელშეკრულება ერთია, ხოლო ის, რასაც ფიქრობენ და ფარულად აკეთებენ ბურჟუაზიული სახელმწიფოები—სულ სხვაა. ბურჟუაზიული ქვეყნები, მხოლოდ იმპერიალისტები უკანასკნელ ხანებში რამდენიმეჯერ შეეცადნენ ჩავეთრიეთ ომში, მაგრამ მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. თქვენ ყველას მოგეხსენებათ თუ რა ხდება ეხლა შორეულ აღმოსავლეთში. რა დღეს აყრის იაპონია ჩინეთსა და მანჯურიას, ყველასათვის ცხადია, რომ იქ რაღაც მზადდება საბ. კავშირ. წინააღმდეგ, და რომ იაპონიის გარდა ამ საქმეში ურევია ევროპიულ სახელმწიფოების ხელი.

ჩვენ მზად უნდა ვიყვეთ. საბაბს არავის მივცემთ, რომ თავს დაგვესხან. საბჭოთა კავშირის არსებობის მთელს პერიოდში ჩვენ მთელს ქვეყანას დაუმტკიცებთ, რომ სხვისი ტერიტორია არ გვინდა, მაგრამ თუ მოინდომებენ ჩვენი ტერიტორიის ნაწილის წართმევას, ცხადია, ჩვენ საბჭოთა მიწის ერთ გოჯსაც არავის დაუთმობთ. ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე სდგას ჩვენი სახელოვანი წითელი არმია. მასთან ერთად ვიდგომებით ყოველი ჩვენგანი, უკანასკნელ კაცამდე და დავიცავთ ჩვენი ტერიტორიის თითეულ გოჯას.

ჩვენს წინაშე სდგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა—ჩვენი მრეწველობის ყველა გეგმების შესრულება. მეორე ძირითადი ამოცანა არის ტეხნიკური კულტურების გადმონერგვა გავრცელება. ამ ამოცანების გადაჭრა ადვილი არ არის, მაგრამ ჩვენ უკვე შევუდექით მის განხორციელებას და შევუდექით დიდის წარმატებით. ტეხნიკურ კულტურებში პირველი ადგილი ბამბას უკავია. ბამბის ნათესები წელს ჩვენ დიდათ გავაფართოვეთ. ეხლა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ნათესების უკეთ დამუშავებას, უკეთეს ხარისხს. დანარჩენ ტეხნიკურ კულტურებიდან მთავარი ადგილი უკავია ჩაის კულტურას, რომლითაც მთელი საბჭოთა კავშირია დაინტერესებული. ჩვენ ავიღეთ ვალდებულება, რომ მეორე 5-წლედის დამლევისათვის ამიერ-კავკასია და კერძოდ საქართველო დააკმაყოფილებენ მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას ჩაის მხრივ.

ჩვენი სოფლისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. დროა ვისწავლოთ თუ როგორ უნდა ვაშენოთ კოლმეურნეობები, დროა აღმოვფხვრათ ის შეცდომები, რომლებიც ჩვენ გვქონდა ამ დარგში, დროა სწორად წავიყვანოთ კოლექტიური მეურნეობა. ჩვენ უკვე გვაქვს გამოცდილება თუ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს. ჩვენ ყველა რესპუბლიკებში გვაქვს სანიმუშო კოლმეურნეობები, მაგრამ ამათთან ერთად გვაქვს ისეთი კოლმეურნეობებიც, რომლებიც ყოველგვარი კრიტიკის გარეშე სდგანან. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ამხ. ფ. მახარაძის შესავალ სიტყვის შემდეგ სესიამ მიიღო დღის წესრიგი, რის შემდეგაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. მუსაბეკოვი.

სესიის 26 იანვრის დილის სხდომა დაიწყო ამხ. ფირუმოვის თანამოხსენებით ამიერ-კავკასიის 1932 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ. რის შემდეგ დაიწყო კამათი ამხ. მუსაბეკოვის მოხსენებისა და ამხ. ფირუმოვის თანამოხსენების გამო (ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

პროფ. ზაქარია ყანჩაველის ხსოვნას

24 იანვარს გარდაიცვალა ბოტანიკის პირველი ქართველი პროფესორი ზაქარია ყანჩაველი.

ზაქარია ყანჩაველი დაიბადა სოფელ კაკაბეთს, 1890 წ. [illegible] 16 (ძვ. სტ.) სასწავლებელში შევიდა 1893 წ. და 1910 წელს დაამთავრა ქართული გიმნაზია. იმავე წელს შედის ხარკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1915 წ. და იმავე წელს ინიშნება სამკურნალო მცენარეთა კვლევის პარტიის ხელმძღვანელად აღმოსავლეთ საქართველოში. ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის დაარსებისთანავე მიწვეულ იქმნა ბოტანიკის კათედრის უფროს ასისტენტათ, ხოლო საქართველოს უნივერსიტეტის დაარსებისას მის ბოტანიკის კათედრის უფროს ასისტენტათ, 1921 წლიდან, აკადემიკოს ნავაშინის წასვლის შემდეგ, იბარებს ბოტანიკის კათედრას, რომელსაც ხელმძღვანელობდა უკანასკნელ ხანამდე. ინსტიტუტების დაარსების შემდეგ ის განაგებდა ბოტ. კათედრებს პედინსტიტუტში, სასოფ.-სამეურნეო ინსტიტუტში, სამედიცინო ინსტიტუტში და სხვ.



გარდა პედაგოგიური მუშაობისა იგი იყო ბოტ. ბაღის უფროსი სპეციალისტი და 1929 წლიდან ტფილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი. მოკლეა მისი ცხოვრების გზა, მაგრამ მძიმე და ყოველი ნაბიჯი დიდი ენერგიის დახარჯვით დასაპყრობი. პირველადაა შესაქმნელი მეცნიერული ტერმინოლოგია ბოტანიკაში. არ გვქონდა ქართულად წიგნები და ამას ზაქარია ყანჩაველი აკეთებს მარტოთ მარტო. მოსამზადებელია კადრები, მოსამზადებელია მომუშავენი და ესეც მას აწევს ზურგზე. იკრებს თავის ირგვლივ ახალგაზრდობას იშვიათი პედაგოგიური მიდგომით, აღვიძებს ინტერესს ბოტანიკისადმი. და გიკვირს კიდეც რჩება დრო საკვლევო მუშაობისათვის; მაგრამ მას ვხედავთ როგორც დაუღალავ მკვლევარს საქართველოს და კავკასიის ფლორისას, რის შედეგთაც მოგვეცა გეობოტანიკური ნარკვევები ალაზნის ველის, შირაქის, გარე-კახეთის და სხვანი.

მრავალი შრომა დაწყებული, მრავალი შრომა დაგეგმილი და როდესაც თავის მუშაობის შედეგებს გამოჩნდენ ახალგაზრდა ბოტანიკოსები მის სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი. განუკურნებელმა სენმა გამოგვტაცა ხელიდან სამუდამოთ წყნარი, მაგრამ დიდი მუშაკი. დაუვიწყარი იქნება ამხ. ზაქარია, შენი ხსენება—როგორც საუკეთესო ბოტანიკოსის და პროფესორის ბოტანიკაში.

ნ. კეცხოველი

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ 1932 წლ. 31 იანვარს, დილის სრულ 10 საათზე შესდგება გაფართოებული საორგანიზაციო თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ ქვემოდდასახელებული ამხანაგები: ცატუროვი (ლენ. რაიკომი), ლუსკინა (სტალინის რაიკომი), შელია (ორჯონიკიძის სახ. რაიკომი), გორდელაძე („26“ სახ. რაიკომი), ხორბალაძე და ტატულოვი (დეპო), შანცილო (ამიერ-კავკ. საგზაო ინჟინერთა ინსტ.), ბიჩენკო („26“ რაიკომი), კაუფმანი, თოდრია (ტრამვაი), თბილისის კოოპკვების პარტკოლექტივის მდივანი, ვაშაკიძე (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა), საქ. მიწსახკომის პარტკოლექტივის მდივანი, ვაშაკიძე (ფინ-კოოპინსტიტუტი), ფეხსაცმელის ფაბრიკის პარტკოლექტივის მდივანი, არუთინოვი (მკერავი № 2), დარსაძე, ბარიგიანი (სარემონტო ქარხანა). კუცია (ამიერ-კავკ. ინსტიტუტი), ფურცულია, ობასოვი (სარეწაო კავშირი), ქანთარია (მექანიკური ქარხ.), დილერზონი და პანიევი (თამბაქოს ქარხანა), ნალბანდოვი („ზარია ვოსტოკა“), რუხაძე (მაუდის ფაბრიკა), ვარნაზოვი („სოიუზტრანს“-ი), შალამიანი (მკერავი № 1), სადგურის კომიტეტის მდივანი და პარტიის რაიკომის ინსტრუქტორები.

28 იანვარს, დილის 11 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ყურულაშვილის კაბინეტში შესდგება თათბირი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლების მდგომარეობის შესახებ. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება დაუგვიანებლად: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამკუთხედი, ლაფნის ახალ კულტურათა ინსტიტუტის სამკუთხედი, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის სამკუთხედი, მათიკაშვილი და ცინცაძე, (მიწსახკომი), მ. ოკუჯავა და კრასნოშჩეკოვი (ლაფნის ახალ კულტურათა ტრესტი), კანდელაკი და თოთაძე (ლიმონმანდარტრესტი), ჯუღელი და ბერიძე („საქართველოს ჩაი“), ლეკიშვილი (ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტი), საქ. პროფსაბჭოს და ა.ლ. კომ. კავშირის ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილებათა გამგეები, თეორიული სწავლების სექტორის გამგე, საქ. პროლეტსტუდენტობის ალმასიურის თავმჯდომარე, თბილისის კომიტეტი—მდივანი და ცენტრალური კომიტეტი—გორდელაძე.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ ა.-წ. 28 იანვარს შუადღის 12 საათზე აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილებაში დანიშნულია თათბირი რაიონის საწარმოებისათვის ნედლეულის მიწოდების შესახებ 1932 წლის პირველ კვარტალში.

საჭიროა გამოცხადდენ შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: საქვაჭრაგასაღება—ამხ. ლევსტამა, საქ. სახელგამი—გამგე, „ზარია ვოსტოკა“—სტამბის დირექტორი, „ზაკშელპრომ“-ი—დირექტორი, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის დირექტორი—არუთინოვი (საორგანიზაციო - საღრიცხვო განყ.), ამიერ-კავკ. სახალხო კომისართა საბჭო — გამომცემლობისა და [illegible]-ბიუროსგან ყოფილები წარმომადგენელი, საქ. პოლიგრაფტრესტის დირექტორი, პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიის დირექტორი.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდდასახელებულ პარტუჯრედების მდივნებს 1932 წლ. 27 იანვარს შუადღის 12 საათზე გამოცხადდენ რაიკომში ამხ. ზვიადაძესთან: განსახკომის, ამიერ-კავკ. ხილბოსტანის, უზენაეს სასამართლოს, საქ. შრომის სახ. კომისარიატის, ამიერ-კავკ. მომარაგების სახ. კომისარიატის, „ზაკსოაუზ“-ის, ამიერ-კავკ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს, ამიერ-კავკ. სახ. კომისართა საბჭოს, კავშირგაბმულობის, თბილისის საბჭოს და ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის.

—:—

„26“ კომუნარის სახ. რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდდასახელებულ ამხანაგებს ჩაატარონ „26“ კომუნარის რაიონში მოხსენება თემაზე—ამხ. პოსტიშევის სიტყვის შესახებ (საკ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის მე-3 პლენუმზე): ს. სოსიანი ა(მიერ-კავკ. პროფსაბჭო)—„მკერავის“ ფაბრიკა № 2, 29 იანვ., 4 ს., ა. შახნაზაროვი (ამიერ-კავკასიის მუშფლეხანი),—არსენალი, 30 იან., 4 ს., კალანდაძე (სარეწაო კოოპერაცია)—სარეწაო კავშირი 30 იანვ., 4 საათზე, ას. რატიხაე (სახელმწიფო პოლიტსამმართველო)—ფეხსაცმელის ფაბრიკა № 1, 1 თებერ., 3 საათზე, სკანდაროვი (საც. რეკ. ინსტ.)—ტყავეულობის ქარხანა № 1, 28 იანვ., 4 საათზე, მამულოვი (ტყავეულობის ქარხანა № 2, 29 იაგ., 4 ს., პეტროსიანი (ამიერ-კავკ. კომუნივერსიტეტი)—ქეჩის ფაბრიკა, 30 იანვ., 4 საათზე, დავიდოვი (ამიერ-კავკ. კომუნივერსიტეტი) — სასაკლაო, 1 თებ. დღის 5 საათზე, კალანდაძე (კომბანკი),—კომბანკი, ბუტირინი ე.ს., 29 იანვ., საღამოს 7 ს., გულიანი (ამიერ-კავკ. კომუნივერსიტეტი)—საქ. ს.მ; (ქვის საჭრელი ფაბრიკა)—ქვის საჭრელი ფაბრიკა, 30 იანვარს 4 საათზე, მაკინინი (სამხ. საწყობი № 24) სამხ. საწყობი 24, 110, 112, 30 იანვ., ირინა ამატუნი (მარქს. ლენინიზმის ინსტ.), ტყავის სახელოსნოთა კავშირი, სახელგამი (გაერთიანებ.), 29 იანვ. 4 ს., მარკარიანა (ჯანმრთელობის დაცვის რაიონული განყ.)—ფეხსაცმელის ფაბრიკა № 2, „პროლეტარკა“, ჯაგრის ფაბრ. (გაერთიან.), 28 იანვ. 4 საათზე, ლ. ბეჟანოვი (ჰიდროტეხნიკუმი)—ჰიდროტეხნიკუმი, ალავერდაშვილი (ამიერ-კავკ. საგზაო ინჟინერთა ინსტ.) —ნავთლუღის სადგ. 30 იანვ., დღის 5 ს., როსტიაშვილი (მუშფაკი)—მუშფაკი (ტყის ჰიდროელექტრ.), ყამარაული (კამოს სახ. საფაბრიკო-საქარხნო სკოლა)—კამოს სახ. საფ. საქ. სკოლა, იაზკო (ამიერ-კავკ. კომუნივერსიტეტი)—ებრაელთა დამხმარე კომიტეტი, 29 იანვ. 4 საათზე, გალუსტოვი („26“ რაიკომი)—უპრ., ხაჩიკ ესაიანი (ტყავტრესტის საფაბრიკო საქარხნო სკოლა), ბამბის საქსოვი და საპნის სახარშ ქარხ. 30 იანვ. 4 საათზე, გოლუბიატნიკოვი (მე-65 სკოლა)—„სოიუზხლებ“, 29 იან. 4 ს., გოლუბიატნიკოვი (მე-65 სკოლა) მასწავლებელთა უჯრედი, 30 იანვ. საღამოს 7 საათზე, სტეფანიშვილი (კომკავშირის რაიკომი)—ქალაქის საავადმყოფო და „უსტანოვკა“, 30 იანვ. საღამოს 6 საათზე, პონომაროვი (სასურსათო ბაზა)—სასურსათო ბაზა და პურის მცხობლები, 30 იანვ. ასათიანი („26“ რაიკომი) მაკარონის ფაბრიკა და საშაქარლამო 30 იანვ., დღის 3 ნახევარ საათზე.

— 27 იანვარს დილის 10 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში დანიშნულია ფილოსოფიური სექციის სხდომა. სექციის წევრებისა და ასპირანტების დასწრება სავალდებულოა.

— მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში 27 იანვარს საღამოს 7 საათზე შესდგება მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების ღია კრება. მოსმენილი იქნება ისტორიულ ლიტერატურის [illegible] შემბელ ბრიგადების მოხსენება ანგარიში. უნდა დაესწრონ ბრიგადების წევრები, ისტორიულ დისციპლინათა მასწავლებლები (ყველა ტიპის სკოლების) და ისტორიის სპეციალისტები..

— დღეს, 27 იანვარს, საღამოს 6 ნახ. საათზე, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება საქ. რემედასის ც.კ. და თბილისის აქტივის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნება საკავშირო რემედასის ც. კ. კომისიის მოხსენება საქ. რემედასის გამოკვლევის შედეგების შესახებ. სხდომაზე უნდა გამოცხადდენ საქ. რემედასის ცეკას და სარევ. კომ. წევრები, სარაიონო კომიტეტისა და მათი სარევ. კომ. წევრები, რემედასის უჯრედების ბიუროს და სარევ. კომ. წევრები, საგამოკვლევო ბრიგადის წევრები და სხვ.

— ლენინის რაიონის საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ივანე თომას ძე თუთარაულს და ბაგრატ პავლეს ძე ნავროზაშვილს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ლენრაიკომში ამხ. ახობაძესთან (ლენრაიკომის შენობაში).

სახელმ. ოპერა

დღეს, 12 სა. 7 წ. კუზიანი კვიცი

28 იანვ 17 სა. 6 წ. ნ. კ. პეჩკოვსკის მონაწილეობით პიკის ქალი

29 იან. 9 სა. 9 წ. ჩიო-ჩიო-სან ქ-ნი ბატერფლაი

დილის წარმ. იწყება დღ. 12 ს. 15 წ. საღ. 8 საათზე. აბონენტები, რომელთაც მე-6-ე საბ. შესატანი არ გადუხდიათ, წარმოდგენაზე არ იქნებიან დაშვებულნი. ნ. 208

რუს. თეატრი ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით

28 იანვარს აბონემენტის გარეშე განგაში

დასაწყისი 8 საათზე. ნ. 202

სახ. დრამა სსსრ. სახ. არტ. კ. მარჯანიშვ. ხელმძ.

27 იან 4 სა 6 წ პური

28 იანვ სა. გარ. როგორ „ბეგლარი“—შ.მანგი ჩხეიძე

30 იანვ. 10 სა 6 წ კოჭლა ჩვენ [illegible]

1 თებერვალს უნდა იყოს შემოტანილი მე-6 გადასახადი. ნ. 207

სახ. ცირკი დასაწყ. 8 15 წ.

დღეს სნობილი მწვრთნელი ნ. პ. გლადილშჩიკოვის პირველი გამოსვლა მხეცთა შერეული ჯგუფით და ბევრი სხვა საინტერესო ნომრები. ი. 210

გრძელდება 1932 წ ხელისმოწერის მიღება სახელგამის პერიოდულ გამოცემაზე:

1. „მნათობი“
2. „პროლეტარული მწერლობა“
3. „პარტიული მშენებლობა“
4. „კომუნისტური რევოლუცია“
5. „წიგნი“
6. „ლიტერატურულ ფრონტზე“
7. „პიონერი“
8. „ოქტომბრელი“
9. „კარმირ-წილერი“
10. „ენი კუვვე“.

ჟურნალების 1932 წლის პირველი ნომრები დაიბეჭდება ხელისმომწერთა რაოდენობის მიხედვით.

ვისაც სურს 1932 წ. მთელი კომპლექტის შეძენა, საჭიროა დააჩქარონ ხელისმოწერა.

ხელისმოწერა მიიღება

თბილისი, ჯორჯაძის ქ. № 1 „პერიოდსექტორში“ პერიოდსექტორის რწმუნებულთან.

სახელგამის ყველა მაღაზიებში და ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.

2—2 ნ. 184 სახელგამის პერიოდსექტორი.

ნომერი კინო ოქტომბერი (ყ. აპოლო) სეან. 12.2.4.6-30.8-30.10-30.

დღის კინო სპარტაკი სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.

საღამოს კინო სპარტაკი სეან. დას. 6. 7-30. 9. 10-30.

კინ დამკვრელი (ყოფ. პალასი) სეან. დას. 6, 7-30. 9, 10-30.

რ. ლიუქსემბურ. სახ (ყოფ. მინიონი) სეან. დას. 6-30, 8. 9-30, 11.

კინო დარბაზი სეან. დას. 6, 7-30. 9. 10-30.

მე-3 თვეა მიდის სურათი ახალი ცხოვრებისაკენ

ახალი ამერიკული ფილმი ტემბი (აფრიკის ჯუნგლების ცხოვრება) პროგრამის გარეშე ხის ოქრო.

გაროლდ ლოიდი სურათში მორცხვი

ახალი იაპონური სურათი სუმიკო

მის მენდ მეორე სერია

სპარტაკი დღისით და საღამოთი დღეიდან 27 იანვრიდან ამერიკული ახალი მხატვრული სურათი ტემბი (აფრიკის ჯუნგლების ცხოვრებიდან) ხელმძღვანელი ჩერრი კერტონ. პროგრამის გარეშე ხის ოქრო. ნ. 209

ვღებულობ სრულიად უცოდინარებს და მცირე მცოდნეს და ვასწავლი არითმეტიკას ქართულ, რუსულ წერა-კითხვას: მუშფ. მუშათა უნივ. შესასვლელად აგრეთვე ვასწავლი ალგებრას გეომეტრიას, ტრიგონომეტრიას და ვასწორებ სუსტს მოწაფეებს საშუალო სკოლის პროგრამით. პლეხანოვის ქუჩა № 25 (შესავალი კუთხიდან ჩერნიშევის ქუჩის). 9—1 ს. 3—7 ს. 1—1 696

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული საშარდე-სასქესო ორგანოების. სიფილ. და კანის ავადმყოფ. დილ.—1 ს საღ. 5—8. ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრ. „ევროპას“ (ყ. „ნოე“-ს პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 3. 25—22

ექიმი ა. დ. კეკელია სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულებანი მიღ. დილით 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის გამზ. № 116, სასტუმრო „ევროპა“-ს პირდაპირ, ტელ. 12—67. 25—16 8004

ქ.თ. ტყეშელაშვილი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება (სიფ. ვენერიულ, კანის და შარდის სასქესო ორგ. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1 დილ. 8 1/2—9 საღ. 7—8 77886 13—12.

ექიმი მ. ლ. ზანდუკელი შინაგან და ნერვიული სნეულებანი ელექტრო-სინათლის სამკურ. კაბინეთი. პეტრიაშვილის ქ. (ყ. უდელ.) 79 № 11. იღებს საღ. 7—8. ტელ. № 21-45. 25—18

დაიკარგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროპედევტიული კლინიკის რგვალი ბეჭედი ჩ. ბ. 701

ექიმი ა. დ. ულენტი შინაგანი სნეულებანი. სპეც. კუჭ-ნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 6—7 საათამდე. ოთხშაბათობით უფასოდ. წყნეთის ქ. № 8. 0—7

ექიმი ს. ა. დიშელი დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები სახის სილამაზის მოვლა რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტს და სხვ. ძნელაძის ქ. № 22. 13—3 5464

კბილის ექიმი დ. ს. რიჟანაშვილი კბილის და პირის სნეულებათა მკურნალ. პლომბები. კბილების უმტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნ. კბილების ჩასმა. ავადმყოფ. მიღება: 10—3ს. და 5—7 ს. მისამარ.: გრიბოედოვის ქ. № 34, რუსთაველის გამზ. კუთხე 25—13 801

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად

კავშირის წიგნაკები: სერგო კოროშინაძის. [illegible] № 7848. მუშკოოპის წიგნაკი სერგო კოროშინაძის. ივანე გამრეკელის. სამხედრო წიგნაკი ვანო ჯურასპაშვილის. პირადობის მოწმობა [illegible]. 63

დამწუხრებულნი: დედა ეკატერინე, მეუღლე კატო ნუკურითა და თინიკოთი, და ძმა ქეთო მარო ქმარშვილით, გოგია ცოლშვილით და ლევანი იუწყებიან დაუვიწყარი **შაქრო ყანჩაველის** გარდაცვალებას. გამოსვენება პედინსტიტუტიდან დღეს, 27 იანვარს, 4 ს. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 661 2-2

თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექცია აუწყებს საზოგადოებას ამავე ბაღის ყოფილი დირექტორის, ბოტანიკოსის პროფესორ **ზაქარია ალექ.-ძე ყანჩაველის** გარდაცვალებას. გამოსვენება პედინსტიტუტიდან 27 იანვ. საღ. 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 692

ა.კ. სამეცნიერო-კვლევითი ზოოტექნიკურ ინსტიტუტის საკვებთ-მოპოვების თანამშრომლები გულისტკივილით აუწყებენ საზოგადოებას დაუღალავ მეცნიერ-მუშაკის **პროფ. ზაქარია ყანჩაველის** უდროოდ გარდაცვალებას. 686

თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი იუწყება ბოტანიკის კათედრის გამგის **პროფ. ზაქარია ყანჩაველის** უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტიდან 27 იანვარს, 4 საათზე. 687

საქ. სახ. სას.-სამ. ინსტ. მემინდვრეობის ფაკულტეტი და ბოტანიკის კათედრა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ფაკულტეტის ენერგიული თანამშრომლის, ბოტანიკის კათედრის გამგის **პროფ. ზაქარია ყანჩაველის** უდროოდ გარდაცვალებას. 688

პელაგია, ნიკოლოზ და მიხეილი თავის მეუღლით გულისაშვილები, გიო და რუსუდან ჭილაშვილები. ნიკოლოზ ქუჩუკაშვილი ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს [illegible] ძვირფასესი სიძის **პროფესორ შაქრო ყანჩაველის** უდროოდ გარდაცვალებას. 693

დამწუხრებულნი შვილები: კოლია და ვიქტორი, რძალი ცუგია, შვილიშვილები: ნინიკო და კოტიკო მასხარაშვილები იუწყებიან საყვარელ დედის **ფედოსი მასხარაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს, 30 იანვარს დილის 10 ს. ჭიათურიდან ლენინის ქ. 44, დასაფლავება ს. ხალიფაურში. 691

გულმოკლული შვილი ტასო ლეჟავა, შვილიშვილები ლილი, ვერიკო და თინა დასტირიან ძვირფას **ფედოსი საჩინოს ას. მასხარაშვილის** ცხედარს. გამოსვენება ჭიათურიდან სოფ. ხალიფაურში 30 იანვარს, ლენინის ქ. 44. 691

შვილი ფუდიკა და სიძე შოშია ქადაგიძეები პატარა ოხო და მეგით მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარი **ფედოსი საჩინოს ას. მასხარაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს 30 იანვარს. 691

მუსიკალური ქარხანა „სოლ-დო“-ს გამგეობა და მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ამავე ქარხნის მუშის ამხ. სოსია აგამალოვის დედის **ოლღა ივანეს-ას. აგამალოვას** გარდაცვალებას 716

დამწუხრებული შვილი ექ. ერმალოზ წულაია, რძალი თამარი, შვილიშვილი ჟორა, ნორა, ნაზიბროლა იუწყებიან, რომ 25 იანვარს ქ. თბილისში გარდაიცვალა საყვარელი დედა **ეკატერინე გაბუნია-წულაიასი** დაკრძალვა მარტვილ ნახუნოვოში 30 იანვარს. 718

მე-9 დისპანსერული გაერთიანების თანამშრომლები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ექიმ ერმალოზ იოსების-ძე წულაიას დედის **ეკატერინე გაბუნია-წულაიას** გარდაცვალების გამო. 711

თავზარდაცემული მეუღლე მართა, შვილები: ელენიკა, შალვა, ჭუჭუა, ქიონია, ელპიტი, ალექსანდრე, სიძეები: ტარასი, ტიტიკო, ისიდორე შვილებით იუწყებიან საყვარელ **სამსონ მაქსიმეს-ძე გოგიბერიძეს** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30 იანვარს ხიდისთავში, სოფ. ქვენობანში 709

სამუდამოთ გულდამწვარი მშობლები: დავით და ელენე ბაბუა ივანე, დიდედები: პოლინა და ანეტა, მამიდა ქეთო, ბიძები: შალვა, კონსტანტინე გუნიავა ბი და მიხეილ (გო ოჩიავი) ულრმესი მწუხარებით დასტირიან **პატარა მარლენ დავითის ძე გუნიავას** მოულოდნელ დაკარგვას. გამოსვენება 27 იანვარს ორჯონიკიძის ქ. № 74, კუკიის სასაფლაოზე [illegible] 4 საათისათვის.

ჯაბულო ნიკოლაიშვილი, ცოლი დოსია შვილებით: ვახტანგი, თამარი, რუსუდანი, მარგარიტა, თადეოზი, სიძეები. კონსტანტინე ქლენტი, გოგი ხარაძე და გრიშა ხუნდაძე იუწყებიან დაუვიწყარი ძმის **ტრიფონ ვახტ.-ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას. 712

ვანო და მართა შარაშიძეები დედა ატატოთი, შვილებით: ნინა, თინა, კაკო, ამირანი და ანტუშათი აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ადამიანის **ტრიფონ ვახტ.-ძე ნიკოლაიშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. 715

გულდათუთქული ივანე ძაძამიძე თავისი შვილი რეხიკოთი ღრმა მწუხარებით დასტირის ძვირფას მეგობრის მეუღლის, დაუვიწყარ **ქეთუშას** მოულოდნელ და უდროო გარდაცვალებას დასაფლავება 28 იანვარს. გამოსვენება ექ. ნემსაძის ბინიდან ქ. ქუთაისი, ინტერნაციონალის ქ. № 96. 694

უსაზღვროთ გულდაწყვეტილნი: გიორგი, საშა და ზურიკო ახვლედიანები და ლუბა კახეთელიძე დავსტირით ჩვენ საყვარელ **ფუთუშიკას** გარდაცვალებას. 671

ეკატერინე და მიხეილ მდივნები თავის შვილებით: დიმიტრი, გიორგი ცოლშვილით, თამარა ქმრით თინა, ქეთევან და ელენა ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ უძვირფასესი და უსაყვარლესი **ფუთუშა (ქეთო) ნემსაძე-ძაძამიძის** დაკარგვის გამო. 672

ბიცოლა იდა, ბიძები: ვარდენ, ვარლამ ჟორჟოლაძეები, დეიდა მარიამი ქმრით ნიკოლოზ სირბილაძით, ბიძაშვილები: ჭიკჭიკ, დათიკო, გოგუცა, ლულო, ჟორა, გოგონიკა, დეიდაშვილები: შოთა, დათო, დავსტირით ჩვენს უძვირფასეს **ფუთუშა ნემსაძე-ძაძამიძეს** 699

დამწუხრებული მამა ვარდენ, შვილები: ქეთო, ვალიკო, თამარა, ბიძაშვილები: სიმონ, აკაკი იუწყებიან ძვირფასი სატყეო ინსტ. სტ. **დიმიტრი უჯმაჯურიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის 1-ლი საავადმყოფოდან. დასაფლავება 27 იანვარს კუკიის სასაფლაოზე. 697

დამწუხრებულნი შვილები: ელენე და მარო, სიძეები: ეზეკი რუხაძე და სოკრატ მელაძე შვილის-შვილები: მადლენა, ლილი, ციალა, შოთა და ხოდარი იუწყებიან საყვარელ დედის **სალომე მოსეშვილი-ძიძიგურის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. იანეთში 29 იანვარს. 698

დამწუხრებული შვილები, პავლე გრიგოლი ცოლშვილით, მატრონა ქმარშვილით, დები: ცუცუ ლოლუა შვილებით და მართა კანკველი ქმარშვილით იუწყებიან საყვარელ **ნატალია შელიას** გარდაცვალებას. გამოსვენება, მაზუთის ქ. № 4 28 იანვარს 4 ნახ. ს. კუკიის სასაფლაოზე.

მშობლები: ქსენია და რაფიელი, და თინა, ბებია ბაბუსი, მამიდები: თამარა და მინადორა, ბიძა გიორგი ცოლშვილით იუწყებიან **ვიოლიკო რაფ.-ას: ცინცაძის** გარდაცვალებას. დასაფლავება 28 იანვარს ქ. ლანჩხუთში. 690

სამუდამოდ გულმოკლული მამა რაფიელ, დედა ქსენია ცინცაძეები, ბიძები: აკაკი და გრიგოლ, ბიცოლები: მანია და კატუშა გოგიჩაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პატარა **ვიოლას** უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება ლანჩხუთში ხუთშაბათს, 28 იანვარს. 702

აკაკი, მანია, გიგა და კატუშა გოგიჩაიშვილები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარი პატარა დისშვილის **ვიოლა ცინცაძის** გარდაცვალებას. დასაფლავება ლანჩხუთში ხუთშაბათს 28 იანვარს. 703

დამწუხრებული ნინა ივანეს ასული ალნიაშვილი შვილებით და ევგენია ივ. ასული ორჯონიკიძე იუწყებიან ძვირფას დის **ოლღა ივანეს ას. აგამალოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 27 იანვარს 4-ნახ. საათზე, მე-2 თუმანოვის № 8. 695

დამწუხრებულნი: ვასასი ჭანტურია შვილებით, რძლებით, სიძეებით და შვილისშვილებით იუწყებიან დაუვიწყარ ბიძა **ივანე დავითის-ძე გაბუნიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 იანვარს ქ. ახალსენაკში. 689

გულდამწვარი დედა დუსია, მამა შალიკო, ბაბუები და ბებიები, ბიძები, დეიდები. მირიან ზურაბიშვილი მამიდები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ნორჩი **ჯერიკო გურული** გამოსვენება მოხდება ქ. ჭიათურაში. 684

დამწუხრებულნი: ლევან და ნინა ენუქიძეები იუწყებიან ძვირფას დაუვიწყარ დედის და დედამთილის **მარიამ მიხეილის ას. ენუქიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27 იანვარს, მატინოვის ქ. № 32, ვერის ახალ სასაფლაოზე.

26 კომუნართა სახ. რაისაბჭოს თანამშრომელნი მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე რაისაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლევან ენუქიძის დედის **მარიამ მიხ.-ასულ ენუქიძის** გარდაცვალების გამო. 705

სახბანკის ა-კ. სამხარეო კანტორასთან არსებული 4 თვიანი ანგარიშმცოდნეობის ქართული სექტორი მწუხარებას გამოსთქვამს კურსების გამგის გიორგი კიკვაძის დედის **დესპინე მეცხრიკაძის** გარდაცვალების გამო. 612

ცოლი სოფიო შვილებით: ალექსანდრე, კოლა, თამარი, გოგი და ვახტანგი ქუმაშვილები აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ქმრის და მამის **ივანე გიორგის-ძე ქუმაშვილის** გარდაცვალებას. 714

გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტის რწმუნებული ა 967